

22)634.8

რ-996

ს. რეხილაძე

ქართული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ შევნახეობა და მელვინეობა



სახალმწიფო გამომცემლობა
თბილისი

1954

689
A 93
ქართული
ბიბლიოთეკა

ი. ტ. რცხილაძე

+

საქართველოს სსრ მევენახეობა და მეღვინეობა

1751

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1954

634.8(ც922) + 663.2(ც922)



1) მევენახეობა საქართველოში
2) მეღვინეობა საქართველოში

სარჩევი

წინასიტყვაობა

3

I. საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა	5
ა) მევენახეობა-მეღვინეობა XIX საუკუნემდე	5
ბ) მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში XIX საუკუნეში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე	8
გ) მევენახეობისა და მეღვინეობის მდგომარეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ	15
II საქართველოს მევენახეობის რაიონები და მათი მოკლე დახასიათება	20
ა) აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები	21
ბ) დასავლეთ საქართველოს რაიონები	23
III მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა	25
IV მეღვინეობის თანამედროვე მდგომარეობა	52
V მევენახეობა-მეღვინეობის წარმოება საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში	62
ა) საბჭოთა მეურნეობები	62
ბ) კოლმეურნეობები	70
VI მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა მევენახეობასა და მეღვინეობაში	77
VII საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების უახლოესი პერსპექტივები	88

რედაქტორი მ. რამიშვილი
ტექნიკური რ. ჩავეტაძე

საქ. სს. რ. ც. ბ. ბ. ბ.
სახ. სსს რესპ. ბ.
გეოგრაფიკული

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/II-54 წ. ში 00271. ანაწილის ზომა 5,5 X 9. ქაღალდის ზომა 54 X 84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6. ტირაჟი 3.000. შეკვ. № 584.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

წინასიტყვაობა

მევენახეობა და მეღვინეობა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებია, რომლებსაც რევოლუციამდე ძირითადად მოხმარებისა და მოხალისეობის ხასიათი ჰქონდა და თავმოყრილი იყო მემამულეებისა და კაპიტალისტების მცირე ჯგუფის ხელში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი და პროგრესული განვითარების შედეგად მეურნეობის ამ დარგებმა მთლიანად იცვალეს სახე.

გარდა იმისა, რომ საბჭოთა კავშირში ვენახების ფართობი თითქმის ერთიორად გაიზარდა სამი ათეული წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ყურძნის ასორტიმენტი, ღვინის ტექნოლოგია და სუფრის მშრალი და ტკბილ-მაგარი ღვინოებთან ერთად, ფართოდ განვითარდა ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი შამპანური ღვინოების, კონიაკებისა და ყურძნის წვენის წარმოება.

ვენახების სრულიად საკავშირო აღწერით საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ვენახების მასივები ჯერ კიდევ 1940 წელს საბჭოთა კავშირში 180 ათას ჰექტარს შეადგენდნენ, რაც უღრის რევოლუციამდე არსებული მთელი ვენახების ფართობს.

მევენახეობა დანერგილია ახალ რაიონებში; ამასთან ერთად, მან შორს გაიწია, ჩრდილოეთისაკენ. მევენახეობის ყველა რაიონებში აშენებულია და მრავლად შენდება ქარხნები სუფრის, მაგარი და შამპანური ღვინოების, კონიაკებისა და სპირტის საწარმოებლად. შესამჩნევად გაუმჯობესდა მეღვინეობის პროდუქციის ხარისხი.



გამოზრდილია კადრი მაღალკვალიფიციური ტექნიკოსებისა და მევენახე და მეღვინე ტექნიკოსებისა.

გაფართოვდა ამ დარგის მომსახურე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ქსელი.

მყარდება მჭიდრო კავშირი მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის, რაც ხელს უწყობს მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომ განვითარებას.

მეცნიერებისა და წარმოების წინაშე ისმის დიდი ამოცანები ვენახების ფართობის შემდგომი გადიდებისა, აგროტექნიკის გაუმჯობესებისა; მევენახეობა-მეღვინეობის წარმოებაში მექანიზაციის კიდევ მეტი დანერგვისა, მოსავლიანობის ზრდისა და მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

დასახული ამოცანების განხორციელების საქმეს დიდი დახმარება უნდა გაუწიოს ჩვენი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის მევენახეობა-მეღვინეობის ცალკეული რაიონების შესწავლამ.

ამ შრომაში მოცემულია მოკლე ისტორია, თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საბჭოთა კავშირის მევენახეობისა და მეღვინეობის ერთ-ერთი ძირითადი რაიონისა — საბჭოთა საქართველოსი.

I

საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა¹

ა) მევენახეობა-მელვინეობა XIX საუკუნემდე

ვაზის კულტურა საქართველოში უძველესი დროიდანაა ცნობილი.

ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში აპოლონ როდოსელი თავის პოემაში არგონავტების შესახებ (იაზონი და მედეა) აღნიშნავს, რომ ქუდაისის (ქუთაისის) მეფის აეტესის სასახლეში მოსვლისას, სასახლის ზღურბლის წინ მათ ნახეს მაღალ ხეებზე შეხვეული ვაზები, ხეების ჩრდილში კი ღვინო შადრევანადა სცემდაო.

ღვინის დაყენება საქართველოში უძველესი დროიდან მოდის. ქსენოფონტის ცნობით დღევანდელი საქართველოს ფარგლებში აყენებდნენ ღვინოს და ინახავდნენ მას ქვევრებში (ჭურბვში). სტრაბონის გეოგრაფიაში აღნიშნულია ძველ გორქენში (საქართველოს ტერიტორია) ყურძნის სიუხვე, ამასთანავე მოყვანილია საფუძვლიანი ცნობები ალბანეთში (კახეთი) ვაზის კულტურის შესახებ.

ქ. თელავის ახლო, შუამთის მონასტრის (დაარსებულია IV საუკუნეში) მიდამოებში, დღესაც ნახულობენ ძლიერ ძველი კონსტრუქციის ქვევრებს.

კახეთის ძველი ნაქალაქარების გათხრების შედეგად (გრემი, ნეკრესი) და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც ბლომად პოულობენ ქვევრებს, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყის საუკუნეებს ეკუთვნის.

ვარციხის ნაციხარის ადგილას ნაპოვნია უზარმაზარი ქვევ-

¹ ამ თავის „ა“ და „ბ“ ნაწილები შედგენილია ეკონომისტ ა. ხუციშვილის მიერ.



რების ნაშთები.

ზემო-რაჭაში, მინდაციხესთან ახლო, რომელიც აშენებულია ძველ დროში ერთ-ერთი ერისთავის მიერ, ცნობილი იყო კლდეში გამოკვეთილი გიგანტური ზომის (700 დეკალიტრამდე) ქვევრი.

რუსთაველის ეპოქის (XII საუკ.) მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობენ მევენახეობა-მეღვინეობის დიდ როლს საქართველოს მეურნეობაში. ყურადღებას იპყრობს მთელი რიგი ქვევრების წყობა ერთ მარანში, რაც აღმოჩენილია ძველ ქალაქ დმანისსა და გამოქვაბულ ციხე-ქალაქ ვარძიაში.

ვაზი, ყურძენი და მისი პროდუქტები წმინდად ითვლებოდა. როგორც ცნობილია ღვინო იხმარებოდა „საიდუმლო“ ზიარების დროს; მონასტრების კაპიტალური ჩუქურთმები მდიდარია ორნამენტებითა და ფრაგმენტებით, სადაც გამოსახულია ვაზი და ყურძენი.

უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მევენახეობა-მეღვინეობას სახელმწიფო შემოსავლის მხრივაც, რადგან ეს დარგი — საუფლისწულო მამულები, ზვრები და მარნები, ღვინის გამოსაღების საქმე (კულუხი) გაერთიანებული იყო უმაღლეს უწყებაში და მას სასახლის კარზე მყოფი მეღვინეთ-უხუცესი განაგებდა მეღვინენითა და მეკულუხენით.

მონღოლების შემოსევის შედეგად (XII — XIV საუკ.) საქართველოს ძველი მატერიალური და სულიერი კულტურა დაეცა მთელი 3 — 4 საუკუნის განმავლობაში.

ცნობილმა მოგზაურმა შარდენმა, რომელმაც საქართველო 1669 წელს ინახულა, საკმაო ცნობები დაგვიტოვა საქართველოში ვაზის კულტურის მდგომარეობის შესახებ. მისი ცნობით ვენახების უმრავლესობა მაღლარი იყო და ლიანების სახე ჰქონდა. იგი აქებს სამეგრელოს მაღლარის ღვინოებს. იგივე მოგზაური აღნიშნავს, რომ კახეთის ტყეები ვაზებით იყო სავსე; ზვდებოდა ბევრი ვენახებიც, რომლებიც ისეთივე ზრუნვით იყო მოვლილი, როგორც საფრანგეთში.

ვახტანგ მეფის კანონმდებლობით (შედგენილია 1703 — 1709 წლებში) გადასახადი ვენახებზე ზუსტად იყო განსაზ-

ღვრული „კულუხის“ სახით მოსავლიდან 1/5 — 1/7 ოდენობით.

ვახუშტის გეოგრაფიაში (შედგენილია XVIII საუკუნის დასაწყისში) მდიდარი ცნობებია საქართველოში ვენახების გეოგრაფიული განლაგების შესახებ. ასე, მაგალითად, კახეთი — დიდად ნაყოფიერი ქვეყანაა, მდიდარი ყოველი მარცვლეულით, განსაკუთრებით ალაზნისა და იორის პირები. პანკისის ხეობა (კახეთის ჩრდილო ნაწილი) მდიდარია ხილითა და ყურძნით. პანკისიდან ქიზიყამდე, რომელსაც შიგნით კახეთი ეწოდება, გვხვდება ვენახები და ხეხილის ბაღები.

არმაზის დასავლეთით ამართულია დიდი კოშკი, ამ კოშკის დასავლეთით ძეგვის ხეობაა. აქაური ღვინო და ალუბალი კარგი თვისებისაა.

ატენის ხეობა — ვენახებით, ხეხილის ბაღებით... ატენი პატარა ქალაქია, სადაც კეთდება საუკეთესო ღვინო.

ხეობა სკრისა და ხვედურეთისა — ვენახებითა და ხეხილის ბაღებით...

მუხრანი გამოირჩევა ზამთარში სითბოთი, ზაფხული მშვენიერია: ადგილი სააგარაკოა, ცივი წყაროს წყალით, საამო პავით. ხილის, ყურძნისა და მარცვლის მოსავალი უხვია...

გორის ირგვლივ ბევრი ვენახები და ხეხილის ბაღებია...

ყველა ზემოთ მოყვანილი ცნობები და სხვა დოკუმენტები მოწმობენ, რომ საქართველოს მოსახლეობა განსაკუთრებული სიყვარულითა და ზრუნვით ეკიდებოდა მევენახეობა-მეღვინეობის საქმეს.

თუმცა აგრონომიული ცნობები მევენახეობის შესახებ არ შემონახულა, მაგრამ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ-გამდიდრებული ტერმინოლოგია და ასევე მდიდარი ჯიშობრივი შემადგენლობა (500-მდე სახელწოდება) ნათლად მოწმობენ იმას, რომ ყოველივე ეს მუშავდებოდა ხანგრძლივი გულდასმითი დაკვირვების შედეგად.

მევენახეობას და მეღვინეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკაში. ყურძენი, ყურძნის წვენიდან დამზადებული ფელამუში (თათარა) და ჩურჩხელა შეადგენდნენ საკვებ პროდუქტებს. აღსანიშნავია, რომ პურეულის ნა-



კლებობისა, სიძვირისა და შიმშილის დროს, რაც ხშირად ხანგრძლივი შემოსევებისა და ხშირი ომების გამო, მოსახლეობა ყურძნით, მისი პროდუქტებითა და ხილით იკვებებოდა.

მეტად ფასობდა ღვინო, რომელიც მაღალი თვისებების გამო გადიოდა საზღვარგარეთ იმ დროსაც კი, როდესაც ქვეყანა ეკონომიურად დაუძლურებული იყო და კულტურულად დაქვეითებული.

მოგზაურ შარდენის ცნობით XVII საუკუნეში ღვინო ბლომად გადიოდა სომხეთში, მიდიაში, სპარსეთის სატახტო ქალაქ ისპაჰანში. და როგორც მართებულად აღნიშნავს აკად. ი. ჯავახიშვილი — თუ კი მევენახეობა-მელვინეობას ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა შაჰ-აბაზის შემოსევის შედეგად განადგურებულ და გაღარიბებულ საქართველოში, ძნელი არაა იმის წარმოდგენა, თუ რა როლი ექნებოდა მას ექსპორტში იმ დროს, როცა ქვეყანა აყვავებული იყო.

საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მევენახეობისა და მელვინეობის მნიშვნელობა უთუოდ კარგად ესმოდათ მტრებს და ქვეყნის დასაუძლურებლად, დასაჩოქებლად და დასამონებლად დამპყრობნი: თემურ ლენგი (XIV საუკ.), შაჰ-აბასი (XVII საუკ.) და სხვები თავიანთ ურდოებს ვენახებს აჩენვინებდნენ. ასე მოიხპო მევენახეობა-მელვინეობა სამხრეთ საქართველოში, კერძოდ მესხეთში, საქართველოს კულტურის კერაში.

ბ) მევენახეობა-მელვინეობა საქართველოში XIX საუკუნეში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე

მაჰმადიანურ აღმოსავლეთთან ხანგრძლივ ბრძოლაში სისხლით დაცლილი და დაქუცმაცებული საქართველო რუსეთს შეუერთდა. ქვეყნის დაშლილი ეკონომიური ცხოვრება აღდგენას იწყებს, მოსახლეობა ხელს ჰკიდებს მევენახეობა-მელვინეობას, როგორც ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს თავისი არსებობისას.

XIX საუკუნის დასაწყისში, როგორც მოგზაური სტევენსი მოწმობს, საქართველოს მევენახეობა-მელვინეობაში პირველი



ადგილი კახეთს ეჭირა. ალაზნის ველზე ვენახები განუწყობდა. ველ ჯაჭვად მისდევდნენ ერთმანეთს. ავტორის აზრით ღვინო შეადგენდა მოსახლეობის კეთილდღეობის წყაროს და განიჩეოდა თავისი მაღალი ხარისხოვნებით, რაც განპირობებული იყო ხელსაყრელი ნიადაგობრივი და ბუნებრივი პირობებითა და ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობით. ადგილობრივი ღვინოებიდან გამოირჩეოდნენ თავიანთი ხარისხით ახმეტის თეთრი ღვინოები, წინანდლისა და სხვა ადგილების ღვინოები.

„ამიერკავკასიის სტატისტიკურ აღწერილობაში“, რაც 1835 წელსაა გამოცემული, აღნიშნულია: „საუკეთესო ღვინოები კახურია, ე. ი. საქართველოში — თელავისა და სიღნაღის მაზრებში დაყენებული ღვინოები, რომლებიც თავიანთი ხარისხით არ ჩამოუვარდებიან საფრანგეთის კარგ ღვინოებს; წითელ ღვინოებს აქვთ ბურგუნდიის ან ბორდოს ღვინოების გემო და ღირსებანი; თეთრი ღვინოები ისე მაგარი და გემოიანია, როგორც საუკეთესო მადერა ან პორტვეინი. კახეთის ღვინოებს აქვთ თავისი განსაკუთრებული სურნელება, რომლითაც განიჩევიან უცხოეთის ღვინოებისაგან“.

ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი კახეთში მგზავრობის დროს შედგენილ შენიშვნებში (1846 წელს) აღნიშნავს:

„მევენახეობას კახეთში განსაკუთრებული მოსაქმეობის ხასიათი აქვს. იგი შეიძლება გაფართოვდეს მთელი ველის ფართო სივრცეზე. იყო დრო, როდესაც მევენახეობას საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჰქონდა მიზნად. ამჟამად მან მოიპოვა მნიშვნელობა და წონა ვაჭრობის მხრივ, და იგი გახდა შინაური სიმდიდრის ერთადერთი გასაღები. კახეთის ღვინომ უნდა შეამციროს სხვა ქვეყნებში გასული ფულის ხარჯი ევროპული ღვინოების სასყიდლად. დადგება დრო, როდესაც იგი ხარისხით რეინისა და ბურგუნდიის ღვინოების ხარისხს გაუთანაბრდება. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია კონდოლის, ნაფარეულისა და წინანდლის ღვინოები“.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში სოფ. იანეულში დასახლდა ი. მარი, რომელმაც თავი ისახელა მთელ ქუთაისის გუბერნიაში მეღვინეობაში გაუმჯობესებათა შეტანით. ი. მარის მიერ დაყენებული ღვინოები საღებოდა არა მარტო ქუ-



თაისის გუბერნიაში, არამედ რუსეთის სამხრეთის ზღვიან ქალაქებში. ი. მარმა პირველად გააცნო ევროპას ღვინოები.

ქართლის ღვინოებიდან უფრო განთქმული იყო ქსნის ხეობის ღვინოები, რომლებიც განირჩეოდნენ სინაზით, სიმსუბუქითა და სურნელებით.

კარგი ღვინოები დგებოდა აგრეთვე ატენის ხეობაში (თეთრი) და სოფ. ხიდისთავში (თეთრი და წითელი). ქართლის წითელი ღვინოებიდან საუკეთესოდ ითვლებოდა „თავკვერი“ თავისი სისქით, მუქიმოწითალო ფერით და საკმაო ნაზი სურნელოვანებით.

ცნობილი მოგზაური დიუბუა დემონპერო ლეჩხუმში მოგზაურობის დროს (XIX საუკუნის პირველ ნახევარში) აღნიშნავს: „სოფ. ზუბში დაბლარ ვენახებს აშენებენ; ყურძენი მშვენიერია, როგორც ჩვენს ვენახებში“.

ჯრუჭის მონასტერში ყოფნისას (საჩხერის რაიონი) მას თეთრი ცქრიალა ღვინო მიართვეს, რომელიც შამპანურსა გავდა. ასეთი ღვინო, თარჯიმანის გადაცემით, დგებოდა იმ ვენახების ყურძნიდან, რომლებიც იმყოფებოდა შორაპნის ზემოთ კირნარ ნიადაგებზე. საუკეთესო ღვინოებად ითვლებოდნენ ღვინოები, რომლებიც მოდიოდა შორაპნიდან სურამისკენ მიმავალი გზის ახლო-მახლო ადგილებში.

მოგზაური ღვინო, რომელმაც შემოიარა სამეგრელო, გურია და იმერეთი, ყველგან ხვდებოდა მაღლარს — ხეებზე შეშვებულ ვაზებს. სოფ. ობჩაში მან ნახა ჭიგოზე აკრული ვაზები, რომლებიც ისხვლებოდა მიწიდან 4 ფუტის სიმაღლეზე. სიმონეთსა, ბაღდადსა, ქუთაისისა და შორაპნის მაზრების სხვა ადგილას ვენახები დიდი მოსავლიანობით იყო ცნობილი. სოფ. დიმში მას მოუხადეს ორი ქვევრი ღვინო, რომლებმაც მას შამპანის წითელი ღვინოები მოაგონა. რაჭის მაზრის ზოგიერთ სოფლებში იგი ბევრ ვენახებსა ხვდებოდა.

გურიაშიც მისდევდნენ მეღვინეობას, და ვაზები, რომლებიც არ საჭიროებდნენ განსაკუთრებულ მოვლას, თავისუფლად იზრდებოდა ტყეებში და მთების ფერდობზე.

კახეთის ვენახები, რომლებიც გაშენებული იყო ჯერ კი-



დევ ლონიერ გამოუფიტავ ნიადაგებზე და რომლებსაც უცხო იყო სოკოვანი ავადმყოფობანი, დიდი მოსავლიანობით ხასიათდებოდა: დესეტიინიდან ჩვეულებრივ 315—450 ვედრო ღვინოს იღებდნენ, და ამგვარად, მოსავლიან წლებში, კახეთის რაიონი 4 მილიონ ვედრო ღვინოს აყენებდა, 2 მილიონი ვედრო ღვინოს მოსავალი კი სულ მცირე მოსავლად ითვლებოდა.

ასეთივე მაღალი მოსავლიანობით ხასიათდებოდა საქართველოს მევენახეობის სხვა რაიონები, როგორცაა ქართლი, იმერეთი და სხვ.

კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის ცნობებით საქართველოს ვენახების ფართობი 1875 წელს 71.022 ჰექტარს შეადგენდა, ხოლო 1895 წელს კი 76.727 ჰექტარს. ვენახები გაშენებული იყო „დაბლარის“ სახით, — დაბალშტამბიანი, სარებზე აკრული, და „მაღლარის“ სახით, — მაღალშტამბიანი, ხეებზე შეშვებული. დაბლარი გავრცელებული იყო საქართველოს მევენახეობის ყველა რაიონში, მაღლარი კი განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, კერძოდ გურიასა, სამეგრელოსა, აჭარასა და აფხაზეთში.

მეურნეობის ნატურალური ხასიათის, ბატონყმური წყობილების, მიმოსვლის მძიმე პირობებისა და მეღვინეობის ტექნოლოგიის პრიმიტიულობის გამო, მეღვინეობა მოხმარებითი ხასიათისა იყო, გარდა მევენახეობა-მეღვინეობის ძირითადი რაიონებისა — კახეთისა და იმერეთისა.

ბატონყმური შრომისა და მიწათსარგებლობის პირობები ხელფხვს უბოჭავდნენ სამრეწველო მეღვინეობის განვითარების საქმეს.

შემდეგაც კი, ბატონყმობის „გაუქმების“ დროს, მისი ნაშთები ათეული წლების მანძილზე ამუხრუჭებდნენ საწარმოო ძალების განვითარებას.

ძირითადად მწარმოებლებს წვრილი მიწათმოქმედი გლეხები წარმოადგენდნენ თავიანთი დაქუცმაცებული ნაკვეთებითა და მცირედი შესაძლებლობით. მსხვილ მემამულეთა მეურნეობანი დაყრდნობილი იყვნენ გლეხური შრომის განუსაზღვრელ ექსპლოატაციაზე.



ჩამორჩენილი იყო იმ დროისათვის მეღვინეობის კულტურა-ლოგია. მეღვინეობა სწარმოებდა პრიმიტიულ მარხებსა და თიხის ქვევრებში. ყურძენი ფეხით იჭყლიტებოდა, ღვინო გადაჰქონდათ ტიკებში და კოლოტებში ურმებითა და ცხენით (ჩალვადრები).

მეღვინეობის განვითარებას განსაკუთრებით უგზოობა აფერხებდა.

კახეთში რკინიგზის გაყვანის საკითხი არა ერთხელ იქნა აღძრული XIX საუკუნის ბოლოს.

დ. ფურცელაძე წერს: „კახეთის ველზე მშვენივრად ხარობს სხვადასხვა ჯიშის ყურძენი. მთელი ეს სიმდიდრე პირველყოფილ მდგომარეობაშია, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ვერც ერთმა დარგმა ვერა ჰპოვა სრული განვითარება. საჭიროა მცოდნე ხელი და კაპიტალი. ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია ადგილობრივ ვაჭრებისათვის სარფიანი არაა, როგორც საქმე მათთვის არახელსაყრელი და უცოდნელი. მეტად გაძნელებულია კახეთის ნაწარმოებ საგნების გატანა გასაღების ბაზარზე. ამ დაბრკოლების გადალახვა მათ ძალღონეს აღემატება; ამას უნდა განსაკუთრებული სახსრები, რომლებიც მათ არ მოეპოვება“.

გასაღების გაძნელების გამო მეღვინეობის პროდუქტების მთავარი მასა ადგილობრივ იხმარებოდა, და მხოლოდ კახური ღვინოები გადიოდა და საღებოდდა თბილისის ბაზარზე. ღვინით ვაჭრობას უმთავრესად გადაწყიდველები აწარმოებდნენ, რომლებიც მოსალოდნელ მოსავალს წინასწარ ყიდულობდნენ კაბალურ პირობებში და შემდეგ მეტად დიდ ფასებში ასაღებდნენ.

ფოთიდან თბილისამდე რკინიგზის გაყვანით (1871 წელი) და თბილისიდან გომბორის უღელტეხილით კახეთამდე შარავზის დამთავრებით (1870 წელი), რომელიც მანძილსაც საგრძნობლად ამცირებდა, გაადვილდა ღვინის გატანა-გასაღება.

კახეთის ღვინოებმა მიიპყრო მომხმარებლის ყურადღება და ქება დაიმსახურა რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოფენებზე.

ამ დროს საქართველოში თავს იჩენს საზღვარგარეთიდან



შემოსული მანებლები და ავადმყოფობანი — ნაცარი, კრაქმა და ფილოქსერა.

კრაქმა თავი იჩინა პირველად დასავლეთ საქართველოში (1881 — 1883 წ. წ.); 1886 წელს იგი აღმოჩენილ იქნა კახეთშიც, 1888 წელს კი ქართლში.

ნაცარი აღმოჩენილ იქნა კიდევ ადრე, გასული საუკუნის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოში; 1855 წელს ეს დაავადება შედის ქვემო იმერეთში, სადაც ვენახებს დიდი ზიანი მიაყენა. რაჭა-ლეჩხუმმა ნაცრის შედეგად დიდი ზარალი განიცადა. 1857 წლიდან ეს ავადმყოფობა გადადის აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლი, კახეთი).

ნაცარმა და კრაქმა დიდი ზარალი მიაყენეს ვენახებს და დიდი გავლენა იქონიეს ყურძნის მოსავალზე. განსაკუთრებით დამლუბველი გავლენა იქონიეს მალღარებზე, რომელთა წამლობა გაძნელებულია შტამბის სიმალის გამო.

1884 წელს აღმოჩენილ იქნა ფილოქსერით ვაზის დაავადება მდინარე ყვირილას მარჯვენა მხარეზე და აგრეთვე ქუთაისის მიდამოებში. 1890 წელს უკვე ბევრ ადგილას ვენახები სრულიად განადგურდა. ამავე დროს ფილოქსერა მასიურად იქნა აღმოჩენილი მთელი იმერეთის ტერიტორიაზე, ლეჩხუმის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრების სოფლებში. 1892 წელს ფილოქსერამ გადალახა დასავლეთი საქართველო და გადავიდა ჯერ ქართლში, შემდეგ კი კახეთში (1911 წ.).

ვენახების სრული განადგურების საშიშროებამ წარმოშვა ყველა ზემოთ დასახელებულ დაავადებების და განსაკუთრებით კი ფილოქსერის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის საჭიროება.

ბრძოლის პირველ ეტაპზე წამოყენებულ იქნა დაავადებული ვენახების გაჩეხა-ამოძირკვა და ნიადაგის დამუშავებზე გოგირდოვანი ნახშირბადით.

შემდეგში კი, ამ ღონისძიების ნაკლები ეფექტიანობისა და დიდი ხარჯების გამო, ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ მეთოდად მიღებულ იქნა ვენახების განახლება ფილოქსერგამძლე ამერიკულ საძირეზე, რამაც საქართველოს ვენახები იმ დროს სრულ განადგურებას გადაარჩინა.



ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ამ მეთოდისა და
ტორი და ორგანიზატორი კავკასიის საფილოქსერო კომიტე-
ტის აგრონომი ვ. ა. სტაროსელსკი იყო.

ვენახების წამლობისთვის საჭირო პრეპარატების შესანახ
ბაზად, გასული საუკუნის 90-იან წლებში, აგრონომ ვ. ა. სტა-
როსელსკის წინადადებით, შორაპნის მაზრის სოფ. სა-
ქარაში, — იმერეთის მევენახეობის ცენტრში, მოწყობილ
იქნა საჭირო საწყობი. შემდეგში ამ საწყობთან გამოყოფილ
იქნა მიწის ნაკვეთი. მოეწყო ლაბორატორია, მეტეოროლოგი-
ური სადგური და ბიბლიოთეკა. ფილოქსერის წინააღმდეგ
ბრძოლის მეთოდად შემოღებულ იქნა ვენახების გაშენება ფი-
ლოქსერაგამძლე საძირეზე, რისთვისაც საწყობთანვე ჩამოყა-
ლიბებულ იქნა საცდელი ნაკვეთები ფილოქსერაგამძლე ამე-
რიკული საძირეს სადღის და ნამყენის სანერგეს მოსაწყობად.
ამ სამუშაოთა საწარმოებლად მოწვეული იყვნენ აგრონომი-
ენტუზიასტები, რომლებიც აწარმოებდნენ ნიადაგების გამო-
კვლევას, საძირესა და ნამყენის გამოყვანას. ისინი ამუშავებ-
დნენ შესაფერ აგროტექნიკურ ღონისძიებებს.

დასავლეთ საქართველოს გლეხოზა ხალისით იკრიბებოდა
საქარაში ნამყენის გამოყვანის ტექნიკისა და ნამყენი ვაზის
მოვლის აგროტექნიკის შესასწავლად.

რეაქციის წლებში (1906 წ.) დევნილ ვ. ა. სტაროსელსკი
გადაიხვეწა საზღვარგარეთ და გარდაიცვალა პარიზში 1916
წელს.

საქარაში ჩამოყალიბებული საცდელი ნაკვეთები გახდა ბა-
ზა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს საქარის მე-
ვენახეობა-მელვინეობის საცდელი სადგურისა, რომელმაც მე-
ტად დიდი როლი შეასრულა საქართველოს მევენახეობა-მელ-
ვინეობის საქმეში.

კახეთში, საქართველოს ძირითად მევენახეობის რაიონში,
ფილოქსერა აღმოჩენილ იქნა 1911 წელს. იგი სწრაფად და
ძლიერ გავრცელდა კახეთის დასავლეთ მხარეში, შემდეგ კი
მთელ კახეთში.

ფილოქსერის გავრცელების შესწავლისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოებს საქართველოში კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი აწარმოებდა, მაგრამ პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა ხელი შეუშალა ეწარმოებინა იგი ცოტად თუ ბევრად ორგანიზებულად. ფილოქსერიტა და სოკოვან დაავადებებისაგან მევენახეობაში მიყენებული ზარალი იმდენად დიდია, რომ ვენახის ფართობი — 76.727 ჰექტარი (1895 წელს), პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე (1914 წელს) 61.862 ჰექტარამდე დავიდა და მოსავლიანობაც ძლიერ შემცირდა.

ომის წლებში მევენახეობა კიდევ უფრო მკვეთრად დაეცა: ფილოქსერა და სოკოვანი დაავადებანი, რომლებიც ამ დროისათვის უკვე ყველგან გავრცელებული იყო, მოითხოვდნენ მათ წინააღმდეგ სისტემატურ ბრძოლას; ღვინითა და მაგარი სასმელებით ვაჭრობის აკრძალვით კი გაძნელდა პროდუქციის გასაღება და ეს სასაქონლო და შემოსავლიანი დარგი დეფიციტურ დარგად გადაიქცა. მუშახელისა და პურეულის ნაკლებობის გამო და შესაწამლი აპარატურისა და პრეპარატებით მომარაგების გაძნელების შედეგად მოსახლეობა იძულებული გახდა ბევრ ადგილას მევენახეობაზე აეღო ხელი და პურეული კულტურების წარმოებაზე გადასულიყო.

ყველა ამის შედეგად ვენახების ომისწინა ფართობი 61.862 ჰექტარიდან ომის ბოლოსათვის — 1917 წელს 47.125 ჰექტარამდე შემცირდა.

მევენახეობა-მელვინეობის დაცემის ფაქტორებმა კიდევ მეტი სიძლიერით იჩინეს თავი საბჭოთა რუსეთთან კავშირის გაწყვეტის დროს მენშევიკების ბატონობის ხანაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წელს (1921 წ.) ვენახების ფართობი 29.500 ჰექტარს შეადგენდა.

გ) მევენახეობისა და მელვინეობის მდგომარეობა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მევენახეობასა და მელვინეობას, ისე როგორც მთელ



სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებული ყურადღებას უსწრებდა.

საქართველოს სამრეწველო მეღვინეობა, რომელიც წარსულში ვაჭრების კაპიტალისტური მოგება-გამდიდრების საქმეს წარმოადგენდა, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების ხელში მოექცა. საუფლისწულო და მიწათმოქმედებელთა მამულების ბაზაზე აღმოცენდნენ საბჭოთა მეურნეობანი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში, რომლებიც გაერთიანებულ იქნენ სპეციალურ ტრესტში, „სამტრესტში“.

კოოპერატიული მეღვინეობის ორგანიზაციები, როგორც „კავშირთ-კავშირი“, „საერო“, „კახეთი“, „იმერეთი“ და „ხვანჭყარა“ გაერთიანდნენ კოოპერატიულ საწარმოო კავშირში „საქართველოს ღვინოს“ სახელწოდებით, რომელიც 1931 წელს „სამტრესტს“ შეუერთდა.

საქართველოს მეღვინეობის მთელი ძირითადი მრეწველობა თავისი საბჭოთა მეურნეობებით, საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში ყურძნის დამზადებით, გადასამუშავებელი პუნქტებითა და ღვინის ქარხნებით, ამგვარად, თავმოყრილ იქნა „სამტრესტის“ სისტემაში.

სამტრესტის მიერ გამოთქმული მეღვინეობის მთავარი პროდუქცია იყო: მშრალი, ორდინარული და სამარკო ღვინოები, ტკბილი და შემავარგებელი, შუშხუნა და ნაწილობრივ შამპანური ღვინოები; სამტრესტი აწარმოებდა აგრეთვე კონიაკებს, ლიქიორებს, სხვადასხვა მაგარ ტკბილ სასმელებსა და ჭაჭის არაყს.

სამტრესტი ატარებდა აგრეთვე ზოგიერთ ღონისძიებებს ნედლეული ბაზის გასაფართოებლად. რამდენადაც ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის სადედეები და სანერგეები ძირითადად თავმოყრილ იქნა „სამტრესტის“ ხელში, ამდენად სანერგე და შესაწამლი მასალებით მომარაგების საქმეც მასვე დაეკისრა.

კოლმეურნეობებში ახალი ვენახების გაშენების გრძელვადიანი დაკრედიტება და აგრონომიული ღონისძიებანი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ტარდებოდა; იგივე ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-კვლევით საქმეს მევენახეობასა და მეღვინეობაში.

მევენახეობისა და მეღვინეობის საქარის საცდელ სადგურთან ერთად 1922 წელს ჩამოყალიბებულ იქნა კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის ცენტრში — ურიათუბანში (აწინდელ ვაზის უბანში) საცდელი სადგური. აღნიშნული საცდელი სადგურები მუშაობდნენ ვენახების აღდგენის აგროტექნიკის, ვაზის მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

1931 წელს ჩამოყალიბდა სრულიად საქავშირო მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც შევიდა სრულიად საქავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ლენინის სახელობის აკადემიის სისტემაში. ამით ჩაეყარა საფუძველი მთელ საბჭოთა კავშირში მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში მეცნიერული სამუშაოების გეგმურ საწყისს.

1932 წელს ინსტიტუტი გადატანილ იქნა საქართველოს ძირითად მევენახეობა-მეღვინეობის რაიონში — კახეთში (ქ. თელავში). 1934 წელს იგი გადაკეთებულ იქნა ამიერკავკასიის ინსტიტუტად, 1937 წელს კი — საქართველოს ინსტიტუტად.

ამგვარად, მუშაობა მევენახეობისა და მეღვინეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებაზე ყველა მიმართულებით წარიმართა — ორგანიზაციულ, ტექნიკურსა და მეცნიერების ხაზით.

მიუხედავად მევენახეობაში წარმოებულ აღდგენითი სამუშაოებისა, 1926 წლის ვენახების ფართობი 37 ათასი ჰექტარის რაოდენობით, 1935 — 1936 წლებამდე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

მევენახეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს ფილოქსერაგამძლე სარგავი მასალის ნაკლებობა წარმოადგენდა.

საძირე ვაზის სადედეების ნაკლებობის გამო (არა უმეტეს 300 ჰექტარისა), ნერგის ყოველწლიური წარმოება 7 — 8 მილიონი ძირის ოდენობით ძლივსა ჰყოფნიდა ყოველწლიურად ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახების აღდგენას (2 — 3 ათასი ჰექტარი).



1932 წელი შემობრუნების წელი იყო მევენახეობის განვითარების და შემდგომი განვითარების საქმეში. ამ საქმეში ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და მიიღო სათანადო ზომები იმ შეცდომათა გამოსასწორებლად, რაც დაშვებულ იქნა წინა პერიოდში სოფლად მუშაობის დარგში.

საქართველოს კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე ძირითადი ყურადღება მიქცეულ იქნა საძირე ვაზის სადღედეგების განვითარებაზე, რადგან მევენახეობის განვითარებას აქამდე განსაზღვრავდა ვაზის საძირე მასალა.

დამოკიდებულება საქართველოს მევენახეობისადმი 1932 წლამდე ხასიათდებოდა სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის შეუფასებლობითა და უგულვებელყოფით.

ამის ნათელი მაგალითები იყო: დატვირთვა ყვარლის რაიონისა 1931 წელს 1.000 ჰექტარი კენაფით, სიღნაღის რაიონისა 8.200 ჰექტარი ბამბითა და კენაფით, ზესტაფონის რაიონისა 1.500 ჰექტარი სოიას წმინდა ნათესით.

ყველა ეს მევენახეობას ზიანს აყენებდა.

ამას გარდა დამზადების ფასები (7 მანეთი ვედროში) მცირე იყო; ყურძნისა და ღვინის დამზადება პურეულით არ საქონლიანდებოდა, სადღედეგების გაშენების ტემპი სავსებით არაღამაკმაყოფილებელი იყო.

ამის შედეგად მკვეთრად გაუარესდა ნარგაობის დამუშავება და მოვლა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით 1932 — 1933 წლებში გატარებულ იქნა ღონისძიებანი მევენახეობის აღსადგენად, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ძირითად მევენახეობის რაიონებს, სადაც ტექნიკური შრომატევადიანი კულტურები (კენაფი, სოიას წმინდა ნათესი და სხვა) მეტოქეობას უწევდნენ ყურძნს, მოეხსნა ეს დავალება; კახეთში შემცირდა ბამბის ნათესი 1932 — 1933 წლებში, 1934 წელს კი იგი სავსებით მოიხსნა, გადიდდა ღვინის დამზადების ფასი, დიფერენცირებულ იქნა ჯიშებისა და ხარისხის მიხედვით, ღვინისა და ყურძნის დამზადება დასაქონლიანებულ იქნა პურითა და მანუფაქტურით.



საძირე ვაზის სადედეების გაშენების საქმის ფორსირების შედეგად (საძირე ვაზის სადედეების ფართობი 1940 წელს 815 ჰექტარამდე), კოლმეურნეობებში სა-
 თვის აყვანილ იქნა 815 ჰექტარამდე), კოლმეურნეობებში სა-
 თბურების მშენებლობისა და ნამყენის წარმოების გაშლით
 უზრუნველყოფილ იქნა ვენახების არა მარტო აღდგენა, არა-
 მედ შეიქმნა წინაპირობანი შემდგომ წლებში ვენახების ფარ-
 თობების მნიშვნელოვანი ზრდისათვის.

1937 წლიდან ვენახების ფართობი განუხრელად იზრდება და 1940 წლის შემოდგომისათვის ვენახების ფართობი სრუ-
 ლიად საკავშირო აღწერით 54.748 ჰექტარს უდრის (დაბლარი).

სამამულო ომის წლებში ვენახები შესამჩნევად დაზარალ-
 და და მათი ფართობი რამოდენიმეთი შემცირდა. 1947 წლის
 შემოდგომის აღწერით დაბალშტამბიანი ვენახების (დაბლარის)
 ფართობი აღრიცხულია 48.142 ჰექტარის რაოდენობით.
 1951 წლისათვის ახალი ვენახების გაშენების გაძლიერებით
 ომის წინანდელი ფართობი აღდგენილია.

ყველა შემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით დაბალ-
 შტამბიანი ვენახების (დაბლარის) დინამიკა შემდეგ სურათს
 იძლევა:

წლები	ფართობი-ჰა	თვითეული წლის ფართობი %/წ-ში	
		1914 წელთან	1921 წელთან
1914	51862*	100,0	—
1917	47125	90,8	—
1921	29500	56,9	100,0
1926	37472	72,3	127,0
1937	41405	79,9	140,4
1940	54743**	105,6	185,6
1947	48142**	92,9	163,2
1951	53838	103,8	182,5

პირველი მსოფლიო (იმპერიალისტური) ომის წინა წელ-

* 61862 ჰექტარ ვენახის საერთო ფართობიდან გამორიცხულია 10000 ჰექტარი „მაღლარი“, რადგან შემდგომი წლების ცნობები „მაღლარის“ გარეშეა და განიხილება საერთოდ მხოლოდ „დაბლარი“.

** ცნობები ყველა წლების მიმართ წლის დასაწყისისთვისაა, 1940 და 1947 წლების მიმართ კი წლების ბოლოსათვის.



თან შედარებით 1917 წელი თითქმის 9%-ით შემცირებულა და 1921 წლისათვის ვენახის ფართობი ომის წინა წლის 56,9%-ს შეადგენს.

1926 წლიდან უკვე იწყება ვენახების ფართობების თანდათანობითი ზრდა და 1940 წლის ბოლოსათვის, ომის წინა წელთან შედარებით, იგი 5,6%-ით გამოიხატა. სამამულო ომის განმავლობაში ვენახების ფართობის რამოდენიმედ შემცირება 1951 წლის დასაწყისისათვის ლიკვიდირებულია 3,8% ნამატივით.

1921 წელთან შედარებით, ანუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა წელთან შედარებით, ვენახების ფართობი თანდათანობით მატულობს და 1950 წლის ბოლოსათვის იგი 82,5%-ით გაიზარდა.

II

საქართველოს მევენახეობის რაიონები და მათი მოკლე დახასიათება

საქართველოს სსრ-ს 76.375 კვ. კილომეტრი ფართობი უკავია. მიუხედავად თავისი ტერიტორიის სიმცირისა, საქართველო ხასიათდება ბუნებრივი პირობების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით იმის გამო, რომ იგი გარშემოზღუდულია მაღალი მთების მასივებით, როგორც ჩრდილოეთით (მთავარი კავკასიონის ქედი), ისე სამხრეთით (მცირე კავკასიონი), დასერილია მათი განტოტებით და ზღვასთან ახლო მდებარეობს.

საქართველო კლიმატის მიხედვით იყოფა ორ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ნაწილად: აღმოსავლეთ საქართველოდ, შედარებით კონტინენტალური ჰავით, რომელსაც დაქანება კასპიის ზღვისაკენ აქვს, და დასავლეთ საქართველოდ, უფრო ნესტიანი ჰავით, რომლის დაქანებაც შავი ზღვისაკენაა და ამის გამო მის გავლენას განიცდის.

საქართველოს ამ თვითეულ ნაწილში ბლომადაა ისეთი ცალკეული რაიონი, რომელიც თავისი სპეციფიკური ბუნებრივი



პირობებით ხასიათდება და რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის მეურნეობის ხასიათზე და, კერძოდ, მევენახეობაზე.

საქართველო იყოფა მთელ რიგ ისეთ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებად, რომლებიც მევენახეობის მხრივაც სპეციფიკური რაიონებია და თავისებურებით ხასიათდებიან.

აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი მაკრორაიონებია — კახეთი, ქვემო ქართლი, ქართლი — სამხრეთ ოსეთით, მესხეთი; დასავლეთ საქართველოში — იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია-აჭარა და სამეგრელო-აფხაზეთი.

მოვიყვანთ ამ რაიონების მოკლე დახასიათებას.

ა) აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები

კახეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და შეიცავს შემდეგ ადმინისტრაციულ რაიონებს: ახმეტის, თელავის, გურჯაანის, კაჭრეთის, სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარელის, ლაგოდეხისა და საგარეჯოსას.

თავისი ტოპოგრაფიით კახეთი წარმოადგენს თანდათანობით დაქანებას ცივ-გომბორისა და კავკასიის ქედებიდან, რაც მდორედ გადადის ველის დავაკებაში, სადაც ალაზნის მიმდინარეობს; ცივ-გომბორის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრივ კი — ასევე დაქანებას — მდინარე იორის ველისაკენ.

კახეთი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ ძირითად მევენახეობის რაიონს, რომელიც იძლევა მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოებს და აგრეთვე ტკბილ-მაგარ ღვინოებს (კარდანახის მიკრორაიონი). ვენახები აქ განლაგებულია ძირითადად ზემოაღნიშნული მთების მდორე ფერდობებზე.

კლიმატისა და ნიადაგის მხრივ კახეთს საუკეთესო პირობები აქვს მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი ფართოდ განვითარებისათვის.

ქვემო ქართლი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ განაპირას მდინარე მტკვარისა და მისი შენაკადების ველზე, ქალ. თბილისის აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრივ. იგი შეიცავს მარნეულის, ბოლნისის, გარდაბანის, თეთრი წყაროსა და დმანისის ადმინისტრაციულ რა-

იონებს. ეს რაიონი ხასიათდება მდიდარი ნიადაგებითა და მშრალი ჰავით, რის გამოც სოფლის მეურნეობის კულტურები და მათ შორის ვაზი კარგადა ხეირობს მხოლოდ მორწყვის პირობებში.

რაიონი აწარმოებს სუფრის ღვინოებს, მაგრამ თავისი ადგილმდებარეობის გამო (სიახლოვე ქალ. თბილისთან), სუფრის ღვინოების წარმოების გარდა, სუფრის ყურძენსაც უნდა აწარმოებდეს, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე რაიონის ბუნებრივი პირობები. ზოგიერთ ადგილას (გიაურარხი) გაშენებულია სუფრის ყურძნის ჯიშები.

ქართლი — სამხრეთ ოსეთით მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში, დაწყებული ქალ. თბილისით და დამთავრებული მესხეთის ქედით. მასში შედის თბილისის, მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის და ბორჯომის ადმინისტრაციული რაიონები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ქართლი შემოზღუდულია ყოველმხრივ საკმაო მაღალი მთების რკალით და ველის მთელ სიგრძეზე მას მდინარე მტკვარი სჭრის. მისი ტერიტორია დატოტვილია მთელი რიგი ქედებით, რომელთა შორის მდებარეობს სხვადასხვა სიდიდის ველები.

ქართლისა და სამხრეთ ოსეთის ბუნებრივი პირობებიც ასევე ხელსაყრელია ვაზისათვის; აქ მთელი რიგი მიკრორაიონებია, რომლებიც მაღალხარისხოვან მასალებს იძლევა, როგორც სუფრის ღვინისა და შამპანურისათვის, ასევე სუფრის ყურძნის სახით.

მესხეთს უკავია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ეს რაიონი ყოველმხრივ შემორკალულია მაღალი მთებით: აღმოსავლეთის მხრივ, მდინარე მტკვრის დინების მიმართულებით, იგი ქართლს ემიჯნება, თრიალეთის მთები მას ჯავახეთისაგან ჰყოფს; დასავლეთით გურია-აჭარის მთებით გურია-აჭარას ემიჯნება; ჩრდილოეთით მესხეთის ქედით იმერეთს ესაზღვრება; სამხრეთის მხრივ მცირე კავკასიონის ქედით თურქეთს ემიჯნება.



ამ რაიონში შედის ახალციხის, ადიგენისა და ასპინძლის მინისტრაციული რაიონები.

მევენახეობის მხრივ მესხეთი დიდად საინტერესო რაიონს წარმოადგენს. წარსულში, როგორც ამას მოწმობენ მატერიალური კულტურის ძეგლები (მარნები, ქვევრები, საწნახლები და სხვა), ხელოვნური ბაქნები (ტერასები), შემონახულ ცალკეულ ვაზის ძირებით და სხვა — მევენახეობა და მეღვინეობა მესხეთში დიდად ყოფილა განვითარებული.

შემდეგში კი იმის გამო, რომ ეს მხარე დიდი ხნის განმავლობაში (2,5 საუკუნე) თურქეთის ხელში იმყოფებოდა და აქ იძულებით იყო გავრცელებული მაჰმადიანობა, რომელიც ღვინის მოხმარებას კრძალავდა, განადგურებულ იქნა ვენახები, რომელთა აღდგენაზე ცარიზმის დროს არავინ ზრუნავდა.

მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის სპეციალური გამოკვლევებით (1939 — 1945 წლებში) დადგენილია, რომ შესაძლებელია ამ დარგის აქ აღდგენა და განვითარება და მასთან ერთად შერჩეულია ამ მხარისათვის შესაფერი ჯიშები.

ბ) დასავლეთ საქართველოს რაიონები.

იმერეთი საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის მეორე უმთავრესი რაიონია, პროდუქციის როგორც რაოდენობის ისე ხარისხიანობის მხრივ.

იმერეთში შედის ორჯონიკიძის, საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, ვანის, ქუთაისის, სამტრედიის, წყალტუბოს, წულუკიძისა და ტყიბულის ადმინისტრაციული რაიონები.

ჩრდილოეთით იმერეთი შემოზღუდულია რაჭისა და ლეჩხუმის მთებით (მთავარი კავკასიონის განატოტი მთებით), აღმოსავლეთით მესხეთის ქედით, რომელიც დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთიდანა ჰყოფს, სამხრეთით მესხეთის ქედითა და ახალციხე-იმერეთის მთებით (მცირე კავკასიონის მთებით), დასავლეთის მხრივ კი იგი ღიაა შავი ზღვისაკენ, რის გამოც ზღვის გავლენას განიცდის.

იმერეთის დიდი ნაწილი (განსაკუთრებით აღმოსავლეთ-



თის) — ძლიერ მთავარიანია; ვაკე ადგილები აქ განსაკუთრებით საუკეთესო ვენახები განლაგებულია მთებისა და ბორცვების ფერდობებზე. ცენტრალური, განსაკუთრებით კი დასავლეთი ნაწილი შეიცავს მდინარე რიონის ველის დავაკებს.

ამ რაიონის ბუნებრივი პირობები, ძირითადად, ფრიად ხელსაყრელია მევენახეობის განვითარებისათვის.

იმერეთი იძლევა მაღალხარისხოვან მასალას შამპანური ღვინოებისათვის (განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი) და სუფრის ღვინოებისათვის (მისი ცენტრალური და დასავლეთი ნაწილები).

რაჭა-ლეჩხუმი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთით, რიონისა და ცხენისწყლის ზემო ნაწილში. რაჭა-ლეჩხუმი შეიცავს სამ ადმინისტრაციულ რაიონს: ამბროლაურის, ონისა და ცაგერისას.

ეს რაიონი წარმოადგენს მთიან-ბორცვიან მაღლობს, დასერილია ხევებით და პატარ-პატარა მდინარეებით, რომლებიც რიონსა და ცხენისწყალს ერთვის. ვენახები შეფენილია მთების ფერდობებსა და მდინარეთა ხეობებში. რიონის მარჯვენა მხარის ვენახები იძლევა მაღალხარისხოვან სუფრისა და ბუნებრივ ნახევრადტკბილ ღვინოებს, მარცხენა მხარე კი — ორდინარულ სუფრის ღვინოებს.

გურია-აჭარას უკავია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იგი შემორკალულია აჭარა-აბალციხის ქედით და მისი განტოტებით, დასავლეთით მას აკრავს შავი ზღვა. მასში შედის ლანჩხუთის, ჩოხატაურის და მახარაძის ადმინისტრაციული რაიონები და რაიონები აჭარის ასსრ-ისა.

მევენახეობის მხრივ გურია-აჭარა მეორეხარისხოვანი რაიონია, მაგრამ ცალკეული მიკრორაიონები იძლევა კარგი ხარისხის სუფრის ღვინოს. ვენახები აქ მდებარეობს რაიონის ბორცვიან ზოლში, უმთავრესად კირნარ მასივებზე.

სამეგრელო-აფხაზეთი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს მთავარი კავკასიონის ქედისა და შავი ზღვის შორის რსფსრ-ის საზღვრებამდე. იგი შეიცავს ცხაკაიას, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ზუგდიდის,



ბობისა და აბაშის ადმინისტრაციულ რაიონებს და აფხაზეთის ასსრ-ის რაიონებს.

ეს რაიონი, ისე როგორც გურია-აჭარის რაიონი, მევენახეობის მხრივ მეორე ხარისხოვანი რაიონია, მაგრამ აქაც არის ისეთი ცალკეული მასივები, რომლებიც ხარისხოვან ღვინომასალებს იძლევა.

აფხაზეთის ასსრ-ში საკმაოდ კარგი პირობებია სუფრის ყურძნის მიმართულების მევენახეობის განვითარებისათვის, აფხაზეთის კურორტების ყურძნით მოსამარაგებლად.

III

მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა

საქართველოს 73 ადმინისტრაციულ რაიონიდან, აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩათვლით, მევენახეობას 64 რაიონში მისდევენ.

სრულებით არაა ვენახები (გარდა მცირედი საცდელი ნაკვეთებისა) რესპუბლიკის შთიან რაიონებში — წალკის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, თიანეთის, ყაზბეგის, ქვემო სვანეთის, ზემო სვანეთის, ქლუხორისა და ფოთის ადმინისტრაციულ რაიონებში, სადაც მათ განვითარებას ხელს უშლის კლიმატური პირობები.

მევენახეობის რაიონები გაყოფილია რამოდენიმე ჯგუფად:

- ა) რაიონებად, სადაც მევენახეობა მთავარი დარგია სოფლის მეურნეობაში;
- ბ) რაიონებად, სადაც მევენახეობა საკმაოდაა განვითარებული, მაგრამ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზე დაბლა დგას, და
- გ) რაიონებად, სადაც ვენახები ძალზე მცირეა და მევენახეობას ამჟამად მნიშვნელოვანი როლი არ უკავია.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება, ძირითადად, კახეთის, ქვემო ქართლის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რაიონების უმეტესობა.



მეორე ჯგუფს — ქვემო იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის რაიონების მცირედი რაოდენობა.

მესამე ჯგუფს — ქვემო იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის რაიონების უმეტესობა.

ცალკეული რაიონისათვის მევენახეობის მნიშვნელობის გასაზღვრველ მაჩვენებლად შესაძლებელია მიღებულ იქნეს ვენახების აბსოლუტური ფართობი, ვენახების ფართობის ხვედრითი წონა რაიონის დამუშავებული მიწების ფართობში და ვენახის ფართობი სოფლის მეურნეობის მოსახლეობის თვითეულ ას სულზე.

პირველი მაჩვენებლის მიხედვით — ვენახების აბსოლუტური ფართობით (საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს 1951 წლის 1-ლი იანვრის ცნობებით) რაიონები შემდეგნაირად ლაგდება:

რიგ. №№	რაიონებისა და ავტონომიური ერთეულების დასახელება	ვენახის ფართობი	რიგ. №№	რაიონებისა და ავტონომიური ერთეულების დასახელება	ვენახის ფართობი
1	გურჯაანის	4916	27	გვეჯკორის	670
2	ზესტაფონის	4472	28	კაჭრეთის	596
3	თელავის	3259	29	ტყიბულის	593
4	მაიაკოვსკის	2529	30	მარნეულის	575
5	ორჯონიკიძის	2290	31	ჩოხატაურის	529
6	სიღნაღის	2130	32	ონის	520
7	გორის	2079	33	ჯარეზბნის	501
8	საჩხერის	2077	34	წულუკიძის	498
9	ამბროლაურის	1979	35	სამტრედიის	436
10	თერჯოლის	1887	36	წითელწყაროს	419
11	ჭიათურის	1644	37	წყალტუბოს	414
12	ვანის	1621	38	წალენჯიხის	367
13	ყვარელის	1605	39	ჩხოროწყუს	367
14	ბოლნისის	1458	40	თეთრი წყაროს	277
15	კასპის	1367	41	ცხაკაიას	266
16	ცაგერის	1233	42	გარდაბანის	244
17	ქუთაისის	1205	43	დუშეთის	237
18	მცხეთის	1112	44	ლანჩხუთის	226
19	საგარეჯოს	1104	45	აპარის ასსრ	203
20	ხაშურის	837	46	მახარაძის	191
21	ახმეტის	806	47	აზალციხის	157
22	ქარელის	779	48	ადიგენის	57
23	ლაგოდეხის	759	49	ასპინძის	80
24	აფხაზეთის ასსრ	720	50	დმანისის	45
25	სამხრეთ ოსეთის ა. ო.	716	51	ხობის	40
26	ზუგდიდის	711	52	ბორჯომის	18



რაიონების დაჯგუფება ვენახების ფართობების მიხედვით
შემდეგ სურათს იძლევა:

რაიონების ჯგუფები ვენახების ფართობებით	რაიონების რაოდენობა		ვენახების საერთო ფარ- თობი ჯგუფში	
	აბსოლ.	% ⁰ / ₀ -ში	აბსოლ.	% ⁰ / ₀ -ში
4000 ჰა-ზე მეტი	2	3,9	9388	17,4
2500-დან 4000-მდე	2	3,9	5788	10,8
1500-დან 2500-მდე	9	17,3	17312	32,2
1000-დან 1500-მდე	6	11,5	7479	13,9
500-დან 1000-მდე	14	26,9	9302	17,3
250-დან 500-მდე	8	15,4	3044	5,7
150-დან 250-მდე	6	11,5	1258	2,3
100 ჰა მდე	5	9,6	267	0,4
	52	100,0	53838	100,0

29 რაიონს, ანუ რესპუბლიკის ყველა რაიონის 36,6% აქვს 1000 ჰექტარზე მეტი ვენახის ფართობი. ამ რაიონებში თავ-მოყრილია 39967 ჰექტარი, ანუ 74,3% საქართველოს ჰელვი ვენახების ფართობებისა. ყველაზე დიდი ჯგუფი, რაიონებია, რომელთაც აქვთ ვენახი 500-დან 1000 ჰექტარამდე; ამ ჯგუფში შედის 14 რაიონი, ანუ 26,9%.

მეორე ნიშნის მიხედვით — ვენახების ფართობის ხვედ-რითი წონის მიხედვით რაიონის დასამუშავებელი მიწების ფართობში, რაიონები შემდეგნაირად ლაგდება:

რაიონების ჯგუფები ვენახების ხვედრითი წონის მიხედვით	რაიონე- ბის რაოდენ- ობა	რაიონების დასახელება
20%-ზე მეტი . . .	2	ხესტაფონის, მაიაკოვსკის.
10%-დან 20%-მდე	5	თერჯოლის, ორჯონიკიძის, ამბროლაუ-რის, გურჯაანის, კიათურის.



რაიონების ჯგუფები ვენახების ხვედრითი წონის მიხედვით	რაიონე- ბის რაო- დენობა ჯგუფში	რაიონების დასახელება
5 ⁰ / ₀ -დან 10 ⁰ / ₀ -მდე	10	თელავის, ყვარელის, საჩხერის, მცხეთის, ვანის, ბოლნისის, ცაგერის, კასპის, ონის, ტყიბულის.
3 ⁰ / ₀ -დან 5 ⁰ / ₀ მდე	8	სიღნაღის, საგარეჯოს, გორის, ქუთაისის, ხაშურის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წულუკიძის.
2 ⁰ / ₀ -დან 3 ⁰ / ₀ -მდე	7	ახმეტის, კაჭრეთის, ლაგოდეხის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, ზუგდიდის, სამტრედიის.
1 ⁰ / ₀ -დან 2 ⁰ / ₀ -მდე	11	ქარელის, ცხაკაიას, გარდაბნის, წყალტუბოს, წითელწყაროს, მარნეულის, სამხრეთ ოსეთის ა. ო., დუშეთის, თბილისის, ლანჩხუთის, მანარაძის.
1 ⁰ / ₀ -მდე	10	თეთრი წყაროს, აფხაზეთის ასსრ, ზობის, აჭარის ასსრ, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, აბაშის, დმანისის.

მესამე ნიშნის მიხედვით — სოფლის მოსახლეობის თვითულ 100 სულზე ვენახების ფართობის მიხედვით, რაიონები შემდეგნაირად ნაწილდება:

რაიონების ჯგუფები	რაიონების რაოდენობა ჯგუფში	რაიონების დასახელება*
5 ჰა-ზე მეტი	8	ხესტაფონის, თერჯოლის, მიაკოვესკის, გურჯაანის, ორჯონიკიძის, ბოლნისის, თელავის, ყვარელის.
3-დან 5 ჰექტარამდე	10	ამბროლაურის, საგარეჯოს; ჭიათურის, სიღნაღის, მცხეთის, საჩხერის, კასპის, ვანის, ტყიბულის, ცაგერის.
1,5-დან 3 „	10	ახმეტის, გორის, ონის, კაჭრეთის, წულუკიძის, ლაგოდეხის, ჩხოროწყუს, წითელწყაროს, წყალტუბოს.
1-დან-1,5 „	12	ქარელის, გეგეჭკორის, ჩოხატაურის, ხაშურის, გარდაბნის, წალენჯიხის, მარნეულის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის.
1 ჰექტარამდე	13	თბილისის, სამტრედიის, თეთრი წყაროს, დუშეთის, ლანჩხუთის, აფხაზეთის ასსრ, მანარაძის, ზობის, სამხრეთ ოსეთის ა. ო., დმანისის, ბორჯომის, აჭარის ასსრ, აბაშის.



სამივე მაჩვენებლის მიხედვით უდიდესი ვენახების ფართობების მქონე რაიონები უმთავრესად მაღალ ჯგუფებში ხვდება. მაგრამ მხედველობაში მისაღებია ამასთანავე, რომ ვენახების ფართობების ხვედრითი წონის მიხედვით მთელ დასამუშავებელ მიწებში, როგორც წესი, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები, რომელთაც მეტი მიწის ფართობები აქვთ, რამოდენიმეთი დაბალ ჯგუფებში ხვდებიან.

ცალკეული ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონები თავიანთი ვენახების ფართობების ხვედრითი წონით მთელ დასამუშავებელ მიწის ფართობში და ვენახების ფართობის მიხედვით სოფლის მოსახლეობის 100 სულზე შემდეგნაირად ლაგდება:

რაიონების დასახელება	ვენახების ფართობის % დასამუშავ. მიწების ფართობში	მოდის ვენახის ფართობი (ჰა) მოსახლეობის თვითოეულ 100 სულზე
კახეთი	7,0	4,2
ქვემო ქართლი	2,0	1,9
ქართლი—სამხრეთ ოსეთი	4,3	2,6
იმერეთი	10,4	4,6
რაჭა-ლეჩხუმი	9,1	3,6
გურია-აჭარა	1,6	0,8
სამეგრელო-აფხაზეთი	1,2	0,7
სულ რესპუბლიკაში	4,6	2,2

როგორც ვხედავთ, ყველა მაჩვენებლებით, განსაკუთრებით გამოირჩევა იმერეთი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქართლი.



დაბლარი ვენახების საერთო ფართობი, რაც, როგორც ზევით იყო აღნიშნული, 1951 წლის 1 იანვრისათვის ჰექტარს შეადგენს, ცალკეული ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

რიგ. №№	რაიონების დასახელება	მთელი ვენახის ფართობი-ჰა	ხვედრითი წონა %/0-ში
1	კახეთი	15588	29,0
2	ქვემო ქართლი	2599	4,8
3	ქართლი—სამხრეთ ოსეთი .	7643	14,2
4	მესხეთი	324	0,6
5	იმერეთი	19656	36,6
6	რაჭა-ლეჩხუმი	3732	6,9
7	გურია-აჭარა	1149	2,1
8	სამეგრელო-აფხაზეთი . .	3147	5,8
სულ		53838	100,0

ამ რაიონთაგან შედარებით მეტი ვენახების ფართობი იმერეთშია — 19.656 ჰექტარი, რაც საქართველოს მთელი ვენახების ფართობის 36,6%-ს შეადგენს. ეს მდგომარეობა იმ გარემოებით აიხსნება, რომ აქ შედარებით ადრე გაჩნდა ფილოქსერა და ამის გამოც ვენახების აღდგენა ფილოქსერაგამძლე საძირეზეც ადრე გატარდა, ძირითადად კრიზისის დაწყებამდე (1914 — 1917 წ. წ.).

ვენახების ფართობი კახეთში 15.588 ჰექტარს შეადგენს, ანუ საქართველოს მთელი ვენახების ფართობის 29%-ს. ამ რაიონში ჯერ კიდევ არაა აღდგენილი პირველი მსოფლიო ომის წინა წლის მდგომარეობა; და მასთან, ახალი ვენახების გაშენებასთან ერთად, ჯერ კიდევ ადგილი აქვს საკუთარ ძირებზე გაშენებულ ვენახების დაღუპვას.

ამ ორ რაიონში თავმოყრილია საქართველოს მთელი ვენახების ორ მესამედზე მეტი.

დანარჩენი რაიონებიდან მნიშვნელოვანი ადგილი ქართლი—სამხრეთ ოსეთს უკავია, სადაც ვენახების ფართობი 7.643 ჰექტარს შეადგენს, მათი ხვედრითი წონა კი 14,2%-ს.



ყველა დანარჩენი რაიონების ზვედრითი წონა უმნიშვნელოა — 0,6%-დან (მესხეთი) 6,9%-მდე (რაჭა-ლეჩხუმი).

ვენახების დანაწილება მეურნეობათა კატეგორიების (სექტორების) მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

რიგ. №-ს	რაიონების დასახელება	ვენახის ფართობი 1951 წ. 1-ლი იანვრისათვის				ვენახის ფართობი %/0-ში			
		საბჭ. მეურნეობებში	კოლმეურნეობებში	საკარმიდამო ნაკვეთებზე	ს უ ლ	საბჭ. მეურ.	კოლმეურნეობ.	საკარმიდამო ნაკვეთებზე	ს უ ლ
1	კახეთი	1612	6683	7293	15588	10,3	42,9	46,8	100
2	ქვემო ქართლი	440	1581	578	2599	16,9	60,9	22,2	100
3	ქართლი — სამხრეთ ოსეთი	252	2919	4472	7643	3,3	38,2	58,5	100
4	მესხეთი	35	264	25	324	10,8	81,5	7,7	100
5	იმერეთი	171	7398	12087	19656	0,9	37,6	61,5	100
6	რაჭა-ლეჩხუმი	8	1639	2085	3732	0,2	43,9	55,9	100
7	გურია-აჭარა	19	600	530	1149	1,7	52,5	46,1	100
8	სამეგრელო-აფხაზეთი	24	1246	1877	3147	0,8	39,6	59,6	100
ს უ ლ		2561	22330	28947	53838	4,8	41,5	53,7	100

მიუხედავად იმისა, რომ ვენახების დიდი ფართობია თავმოყრილი კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, კოლწევრების საკარმიდამო ნაკვეთებზე, პირად სარგებლობაში მყოფი ვენახები საქართველოს ვენახების ნახევარზე მეტ ფართობს შეადგენს. ეს მდგომარეობა მით აიხსნება, რომ გლეხებს, შედიოდნენ რა კოლმეურნეობებში, უფლება ქონდათ აერჩიათ საკარმიდამო ნაკვეთებად (ნორმების ფარგლებში — 0,5-დან 1 ჰექტარამდე) პირველ ყოვლისა ვენახებით დაკავებული ადგილები. ამას გარდა, მევენახეობა ეკონომიურად ხელსაყრელია და მოსახლეობას იმდენად უყ-



ვარს იგი, რომ კოლწევრები თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებს პირველ ყოვლისა ვენახების გასაშენებლად იყენებენ.

კოლმეურნეობების ხელში თავმოყრილია 22.330 ჰექტარი, ანუ 41,5% მთელი ვენახებისა, საბჭოთა მეურნეობებში 2561 ჰექტარი, ანუ 4,8%; კოლწევრების საკარმიდამო ნაკვეთებზე მყოფი ვენახის ფართობი 28947 ჰექტარს, ანუ 53,7%-ს შეადგენს.

ცალკეულ რაიონებს შორის ვენახების განაწილება ძირითად მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით ერთი მეორისაგან დიდად განსხვავდება: საბჭოთა მეურნეობების ვენახები ყველაზე მეტად კახეთშია, სადაც იმყოფება სამტრედიის ცნობილი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები: ხირსის, წინანდლის, ნაფარეულის, ყვარელის; ქვემო ქართლში — ყულარის, გიაურარხის და ბოლნისისა.

სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ვენახების ხვედრითი წონა ყველაზე მეტია მესხეთში (92,3%) — მევენახეობის ახალ რაიონში, სადაც დიდი ხანი არაა, რაც დაარსებულ იქნა საბჭოთა მეურნეობა (აწყურში); ამასთანავე ვენახების გაშენება აქ სწარმოებს, პირველ ყოვლისა, საკოლმეურნეო მიწებზე. ასეთივე მდგომარეობაა ქვემო ქართლში. კერძოდ ბოლნისისა და თეთრი წყაროს ადმინისტრაციულ რაიონებში (საქართველოს სსვა რაიონებიდან გადმოსახლებულ მოსახლეობაში), სადაც მთელი ყურადღება, პირველ ყოვლისა, განსაზოგადოებულ მევენახეობას ექცევა.

საკოლმეურნეო მევენახეობის შედარებით დიდ ხვედრით წონას ადგილი აქვს აგრეთვე კახეთში (42,9%) და რაჭა-ლეჩხუმში (43,9%), საქართველოს ამ ძირითად მევენახეობის რაიონებში, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს მევენახეობას საკარმიდამო ნაკვეთებზე და სადაც ამავე დროს სწრაფი ტემპით ვითარდება საკოლმეურნეო მევენახეობა, რომელიც მიწის სულ ახალ-ახალ მასივებს იჭერს.

საკოლმეურნეო მევენახეობას შედარებით დაბალი პროცენტი უკავია საქართველოს მეორე ძირითად მევენახეობის რაიონში — იმერეთში, სახელდობრ 37,6%, რაც ამ რაიონის შედარებით მიწის ნაკლებობით აიხსნება და მასთან ამ გარე-

მოებით, რომ მთიანი რელიეფის გამო გაძნელებულია ვენახების დიდ მასივებად გაშენება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დიდ ყურადღებას მოითხოვს, ეს საქართველოს ვენახების ფილოქსერაგამძლე საძირეზე გადაყვანის პრობლემაა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ვაზის მთელი რიგი ძირითადი ჯიშები, როგორც რქაწითელი, მწვანე, ჩინური და სხვა, სპეციალურ საცდელ ნაკვეთებზე გამოცდების შედეგების მიხედვით შედარებით ფილოქსერაგამძლეობას იჩენენ და სწარმოებს ამ ჯიშების გამოცდა ამ მხრივ საწარმოო პირობებში, საკითხს ვენახების გაშენების შესახებ ფილოქსერაგამძლე საძირეზე თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

საქმე იმაშია, რომ ფილოქსერაგამძლე ჯიშები ყველა ბუნებრივ (განსაკუთრებით ნიადაგების მხრივ) პირობებში არ ამჟღავნებენ გამძლეობის უნარს; ამას გარდა, მთელი რიგი მნიშვნელოვანი ჯიშის ვაზი, როგორც საფერავი, ცოლიკაური და სხვა, ამ მავნებელს სრულებით ვერ უძლებს.

1947 წლის შემოდგომის აღწერის მიხედვით (უახლესი ცნობები არ მოგვეპოვება) მდგომარეობა ამ მხრივ ასეთია:

№ რიგ.	რაიონების დასახელება	ვენახების ფართობი-ჰა							
		საკუთარ ძირზე		ნამკენი		ჭიბრიდი		სულ	
		ჰა	%	ჰა	%	ჰა	%	ჰა	%
1	კახეთი . . .	6519	46,2	7540	53,6	36	0,2	14095	100
2	ქვემო ქართლი	1238	54,5	1035	45,5	—	—	2273	100
3	ქართლი — სამხრეთ ოსეთი .	2062	30,9	2215	33,1	2408	36,0	6685	100
4	მესხეთი . . .	22	25,0	66	75,0	—	—	88	100
5	იმერეთი . . .	6283	35,2	10455	58,5	1134	6,3	17872	100
6	რაჭა-ლეჩხუმი	790	23,5	2329	69,4	240	7,1	3359	100
7	გურია-აჭარა .	105	10,9	860	83,6	5	0,5	970	100
8	სამეგრელო-აფხაზეთი . . .	391	14,0	2327	83,0	82	3,0	2800	100
სულ . . .		17410	36,2	26827	55,7	3905	8,1	48142	100

საქართველოში ნამყენი ვენახები, როგორც ამ მონაცემებით ჩანს, აღწერის დროისათვის 26.827 ჰექტარს შეადგენდა (55,7%), ანუ მთელი ვენახების ნახევარზე ცოტა მეტს. შედარებით დიდი ფართობი ისევ საკუთარ ძირზე გაშენებულ ვენახებს უკავია — 17.410 ჰა, ანუ 36,2%, ჯერ კიდევ დიდია (რაც დაუშვებელია) ჰიბრიდებით — პირდაპირი მწარმოებლებით გაშენებული ვენახების ფართობი — 3905 ჰა, ანუ მთელი ვენახების 8,1%.

საკუთარ ძირზე გაშენებული ვენახების ხვედრითი წონა დიდია ქვემო ქართლსა და კახეთში. ქვემო ქართლში საკუთარ ძირზე გაშენებული ვენახების დიდი ხვედრითი წონა აიხსნება ამ რაიონში ფილოქსერის შედარებით გვიან გაჩენით და ამასთან იმით, რომ ვენახები აქ სარწყავია და სასუქებიც ბლომად შედის, რაც საკუთარ ძირზე გაშენებულ ვენახებს სიცოცხლისუნარიანობას მეტხანს უნარჩუნებს. კახეთში კი არსებული ამ მხრივ მდგომარეობა აიხსნება ამ რაიონში ძირითადი ჯიშის — რქაწითელის ფილოქსერის წინააღმდეგ შედარებით დიდი გამძლეობით და მასთან ერთად საკუთარ ძირზე რქაწითელს მასიური გაშენებით კოლწევრთა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

შემდეგი და საკმაოდ დიდი ადგილი საკუთარ ძირზე გაშენებულ ვენახებს იმერეთსა და ქართლში უკავია, სადაც ნაღებების დიდი რაოდენობა ცალკეულ პერიოდებში, და ნიადაგების ზედმეტი ნესტიანობა (იმერეთში) და მორწყვა (ქართლში) რამოდენიმედ ხელს უშლის ფილოქსერის განვითარებას. ამას გარდა, ვენახებში ბლომადაა ისეთი ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც შედარებით მეტ გამძლეობას იჩენენ ფილოქსერის წინააღმდეგ. ასეთია საკმაოდ გავრცელებული ჯიშები — იმერეთში — ციცქა და ქართლში — მწვანე და ჩინური.

რაჭა-ლეჩხუმსა და მესხეთში საკუთარ ძირებზე გაშენებულ ვენახებს შედარებით უმნიშვნელო ფართობი უკავია.

დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში, გურია-აჭარისა და სამეგრელო-აფხაზეთის რაიონებში საკუთარ ძირზე გაშენებული ვენახების ფართობი და მათი ხვედრითი წონა უმნიშვნელოა იმის გამო, რომ წარსულში აქ „დაბლარ“ ვენა-

ხებს დიდი ადგილი არ ეკავა და ახალი ვენახები მხოლოდ და მხოლოდ ნამყენით შენდება.



განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს — რაც ძალზე არასასურველი მოვლენაა — ზოგიერთ რაიონებში სხვადასხვა ჰიბრიდების — ჰირდაბირი მწარმოებლების გავრცელება. განსაკუთრებით სიძლიერითა და სტიქიურად შენდებოდა ჰიბრიდები ამ უკანასკნელ დრომდე ქართლ — სამხრეთ ოსეთის რაიონებში და იმერეთის ჩრდილო რაიონებში. ჰიბრიდების ნარგაობა ქართლში 2408 ჰექტარს, ანუ ამ რაიონის მთელი ვენახების ფართობის 36% შეადგენს, იმერეთში 1134 ჰექტარს, ანუ ამ რაიონის 6,3%, მაგრამ კიათურისა და საჩხერის ადმინისტრაციულ რაიონებში მათი ფართობი 20 — 25%-მდე აღწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიბრიდების პროდუქცია (ყურძენი, ღვინო) ძალზე მდარე ღირსებისაა, მოსახლეობა ამ ჯიშებს მაინც აშენებს, რადგან ისინი მოვლა-პატრონობას არ მოითხოვენ, დაავადებებსა და მავნებლებს ადვილად უძლებენ, იოლი გასაშენებელია (შენდება ლერწით) და საკმაოდ მოსავლიანი არიან.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჰიბრიდების გავრცელების მიზეზად უნდა ჩაითვალოს ამ უკანასკნელ დრომდე ნამყენ დასარგავ მასალის ნაკლებობა და მისი სიძვირე.

ცალკეული რაიონების ბუნებრივი პირობები განსაზღვრავენ მევენახეობის აგროტექნიკას. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგიერთ რაიონებში მიღებულია ვენახების რწყვა, როგორც სავალდებულო აგროკულტურული ღონისძიება.

იმის გამო, რომ დასავლეთ საქართველოში ატმოსფერული ნალექები საკმარისადაა, ზოგან ჰარბადაც კია, ზოგიერთ რაიონებში ზედმეტია ვენახების მორწყვა. მეტწილ რაიონებში კი, ცალკე პერიოდებში სინესტის ნაკლებობის გამო, საჭირო ხდება ვენახების რწყვა.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები სიმშრალით ხასიათდება და ამასთან დაკავშირებით ვენახების საკმაოდ დიდი ნაწილი, სადაც ნალექების ნაკლებობაა, ან სადაც ტენის გამ-

ტარი ნიადაგებია (ქვემო ქართლი, ქართლი — სამხრეთ და ნაწილობრივ კახეთი), ირწყვება.

საქართველოს რაიონები სარწყავი ვენახების მიხედვით ასე ნაწილდება: სარწყავი ვენახების დიდი ნაწილი ქვემო ქართლზე მოდის, შემდეგ ქართლ — სამხრეთ ოსეთზე და, ბოლოს, კახეთზე.

ნარგაობის სისტემის მიხედვით რიგში ნარგაობა სქარბობს; შერეული სისტემის ნარგაობა გვხვდება მხოლოდ ზოგიერთ, აქამდე შემორჩენილ, საკუთარ ძირზე ნარგავ ვენახებში. რიგში ნარგავი ვენახები საერთო რაოდენობის 80 — 85%-ს შეადგენენ.

რიგში ნარგაობის უპირატესობა იმდენად დიდია და ამკარაა მათი მოვლა-პატრონობის გაადვილების, ცხენისა და მექანიკური გამწევი ძალის გამოყენების შესაძლებლობის, თვით ნარგაობაში უკეთესი აერაციისა და მზის სხივების გატარების გაუმჯობესების მხრივ, რომ ახალი ვენახების გაშენება ამ უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში გამოუკლებლივ რიგში ნარგაობის სახით სწარმოებს.

რიგში ნარგაობის უპირატესობა აშკარა ხდება განსაკუთრებით ვენახების მავთულის შპალერზე გადაყვანის დროს, ხე-ტყის მასალისა და მუშახელის დიდი ეკონომიის გამო. ვაზის სარზე (ჭიგოზე) კულტივირების დროს ყოველწლიურად საჭირო ხდება სარების ერთი მესამედის — ჰექტარზე თითქმის 1000 — 1500 ცალი სარის გამოცვლა; მავთულის შპალერზე ვენახის გადაყვანისას კი საჭიროა ჰექტარზე 100 ცალი ბოძისა და სარის გამოცვლა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ვენახების დიდი ფართობი გადაყვანილია მავთულის შპალერზე. 1951 წლიდან ყველა საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები უზრუნველყოფილია საჭირო მავთულით და დიდი მუშაობა მიმდინარეობს ვენახების შპალერზე გადასაყვანად.

საქართველოს მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობის სრული სურათის წარმოსადგენად მოვიყვანო ცნობებს ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა მე-



ტად მრავალფეროვანია, მაგრამ ფართო გავრცელება და მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია ოცამდე ჯიშს მიეკუთვნება. ამასთანავე, თვითეულ რაიონს (კახეთი, იმერეთი და სხვა) თავისი ადგილობრივი ჯიშები აქვს, სადაც წამყვანად ითვლება არა უმეტეს ორი-სამი ჯიშისა.

ცალკეული ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა, გარდა უკანასკნელ წლებში საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში წარმოებულ მასიურ ნარგობათა, — ჭრელია. ვენახებში ხშირად გვხვდება ამავე რაიონის ჯიშების უმრავლესობა, მაგრამ აღსანიშნავია, როგორც წესი, რომ ყოველ ვენახში სჭარბობს ერთ-ერთი ძირითადი ჯიში, დანარჩენი ჯიშები კი გვხვდება შენარევის სახით.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, განსაკუთრებით კახეთში, ჯიშობრივი სიჭრელე ნაკლებადაა, ვიდრე დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს ვენახებში წამყვან ჯიშს 80% უკავია, დასავლეთ საქართველოში კი გვხვდება ვენახები, სადაც რამოდენიმე თანაბარი მნიშვნელობის ჯიშია მეორე ხარისხოვანი ჯიშების შენარევით.

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ვენახებში, როგორც წესი, ირგვება რომელიმე სტანდარტული ჯიში.

უწინდელ დროში, ვენახებში ძირითად ჯიშებში სხვა ჯიშების შერევა შემთხვევითი როდია; მას საამისო საფუძველი ჰქონდა: ძირითად ჯიშებში შეურევდნენ, ერთის მხრივ, სასურველ ჯიშებს, მაგრამ რომლებიც მოითხოვდნენ სხვა ჯიშებით დამტვერვას (თავკვერი, ბუერა და სხვა), მეორე მხრივ — სხვა ჯიშების შერევა (მწვანე, ხიხვი, მცვივანი, ბუდეშური, ციცქა და სხვა) სწარმოებდა ძირითადი ჯიშების ღვინოების გაუმჯობესების მიზნით არა ღვინის კუბაყის მეშვეობით, არამედ თვითონ ყურძნის შერევის საშუალებით. ამ საკითხს საჭიროა მიექცეს სათანადო ყურადღება.

1947 წლის ვენახების აღწერის მონაცემებით საქართველოს ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა მევენახეობის ცალკეული რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა (შემკვიდროებული ფართობი):

რაიონი №№	ჯარის დასახელება	რაციონების ფაქტობრივი					
		კახეთი		ქვემო ქართლი		ქართლი-სამხ. ოლქი	
		ფართობი	%	ფართობი	%	ფართობი	%
1	2	3	4	5	6	7	8
1	ჩქაწითელი	9368	77,2	1335	74,1	649	11,6
2	საფრთხი	1814	15,1	35	2,0	183	3,2
3	კახეთი მწვანე	618	5,4	3	0,2	10	0,2
4	ხახვი	27	0,2	—	—	—	—
5	კახური	47	0,4	—	—	3	0,0
6	ფორთხი მწვანე	14	0,1	9	0,5	670	11,9
7	ჩანჭი	3	0,0	—	—	723	12,8
8	ალაღობე (მეტრანდელი)	3	0,0	18	1,0	259	4,6
9	ბანი	—	—	2	0,1	87	1,5
10	ოცქა	2	0,0	—	—	—	—
11	ცილიკური	11	0,1	4	0,2	2	0,0
12	კახენა	—	—	—	—	—	—
13	ალექსანდროპოლი	—	—	—	—	4	0,0
14	ქსინდოპოლი	—	—	—	—	—	—
15	ჩხავჭია	—	—	—	—	—	—
16	ოვალური	—	—	—	—	—	—
17	თაგვარი	8	0,0	101	5,7	99	1,8
18	იზრული და რაჭული მწვანე	1	0,0	—	—	1	0,0
19	ჩქა	—	—	1	0,0	39	0,7
20	ბელაჯი	—	—	1	0,0	114	2,0
21	დონდოლაბი	—	—	—	—	—	—
22	წილეთის თორი	—	—	—	—	3	0,0
23	ბარბიანი	36	0,3	—	—	2408	42,9
24	ფარსენი ჯარისი	143	1,2	291	16,2	385	6,8
სულ		12126	100	1800	100	5639	100

მესტრო		მურგული		ჩაჭა-ფრინული		ფურია-აგარა		სამხ. ოლქი		სულ	
ფართობი	%	ფართობი	%	ფართობი	%	ფართობი	%	ფართობი	%	ფართობი	%
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	
7	10,6	23	0,0	50	1,7	—	—	8	0,3	11440	28,0
—	—	253	1,6	147	4,9	1	0,0	11	0,5	2444	6,0
—	—	—	—	1	0,0	—	—	—	—	662	1,6
—	—	—	—	3	0,1	—	—	—	—	30	0,1
—	—	3	0,0	—	—	—	—	3	0,1	56	0,1
3	4,9	1	0,0	9	0,2	—	—	—	—	706	1,7
3	4,9	9	0,0	—	—	—	—	—	—	738	1,8
46	69,6	75	0,5	4	0,1	—	—	1	0,0	406	1,0
4	6,0	165	1,1	—	—	—	—	—	—	258	0,6
—	—	4332	28,7	31	1,4	2	0,0	43	1,9	4410	10,9
—	—	4758	32,2	356	13,0	721	83,2	2107	89,9	7989	19,5
—	—	121	0,8	7	0,2	—	—	3	0,0	131	0,3
—	—	25	0,0	593	19,9	—	—	—	—	622	1,5
—	—	1	0,0	42	1,4	—	—	—	—	43	0,1
—	—	63	0,4	—	—	23	2,8	—	—	86	0,2
—	—	1	0,0	69	2,3	1	0,0	30	1,3	101	0,2
—	—	3	0,0	3	0,1	—	—	—	—	214	0,5
—	—	331	2,2	216	7,3	—	—	1	0,0	553	1,4
—	—	947	6,3	47	1,6	—	—	—	—	1034	2,5
—	—	604	4,0	129	4,3	—	—	4	0,2	852	2,1
—	—	603	4,0	—	—	—	—	—	—	603	1,5
—	—	1	0,0	360	12,1	—	—	—	—	364	0,9
—	—	1134	7,5	240	8,1	5	0,8	82	3,6	3905	9,5
3	4,0	1639	10,7	636	21,3	113	13,2	51	2,2	3263	8,0
66	100	1000	100	2973	100	866	100	2344	100	40909	100



როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ვენახების მოყვანაში ბრივი შემადგენლობა საკმაოდ ქრელია, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ჯიშობრივ განლაგებაში შესამჩნევია გარკვეული კანონზომიერება. თვითეულ რაიონს თავისი საკუთარი ასორტიმენტი აქვს. კახეთში ფართოდაა გავრცელებული რქაწითელი, საფერავი და მწვანე (კახური). რქაწითელს უკავია ნარგაობის 77,2%; იგი ძირითადი ჯიშია კახეთში; მას მოჰყვება საფერავი (მთელი ფართობის 15,1%) და მწვანე (5,4%). საფერავის ხვედრითი წონა კახეთში ფილოქსერის გამოჩენამდე გაცილებით მეტი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ საფერავმა ნაკლები გამძლეობა გამოიჩინა ამ მავნებლის წინააღმდეგ, საფერავის ფართობი უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე რქაწითელისა და შემდეგში, განადგურების გზაზე დამდგარი ვენახების აღდგენის დროს, უპირატესობა პირველში რქაწითელს ეძლეოდა.

რაც შეეხება მწვანეს, — ეს ჯიშში უფრო გამძლე გამოდგა ფილოქსერის წინააღმდეგ, ვიდრე საფერავი, მაგრამ იგი სხვა ჯიშებზე უფრო ძლიერ ზიანდება ნაცრისაგან, რის გამოც მწვანის ნარგაობაც შედარებით მეტად შემცირდა.

ამჟამად მიღებულია ზომები საფერავისა და მწვანეს გაშენების დასაჩქარებლად და მათი ხვედრითი წონის გასაღიძვრებლად, რადგან ამ ჯიშებიდან მიღებული ღვინოები მაღალი ხარისხისაა.

ქვემო ქართლის ძირითადი ჯიშში აგრეთვე კახური რქაწითელია (მთელი ნარგაობის 74,1%), ქართლის წითელი ჯიშში თავკვერი აქ 5,7%-ს შეადგენს; სხვა ჯიშები აქ უმნიშვნელო რაოდენობითაა.

ქართლ — სამხრეთ ოსეთში რამოდენიმე წამყვანი ჯიშია. მაგრამ ადგილობრივ ჯიშებიდან სქარბობენ ჩინური (ატენური), მთელი ფართობის 12,8% უკავია, შემდეგ მიდის გორული მწვანე — 11,9% და რქაწითელი — 11,6%. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აქ ჯიშ ალიგოტეს (მუხრანული), რომელიც ქართლის პირობებში მაღალ მოსავალსა და ხარისხოვან პროდუქციას იძლევა (სუფრის ღვინო და შამპანური ღვინომასალები); ამასთანავე გამძლეობას იჩენს სოკოვან ავად-



მყოფობათა წინააღმდეგ საერთოდ, და კერძოდ, ნაცრის
წინააღმდეგ. საფერავს აქ სულ 183 ჰექტარი, ანუ 3,2% უკავია.

აღსანიშნავია აგრეთვე ქართლში წმინდა შამხანური ჯი-
შების ყურძნის დანერგვა — პინო-ფრანისა და შარლონესი,
რომელთა ფართობი 82 ჰექტარს შეადგენს. ამ ჯიშების გაშე-
ნება დაიწყო საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს და საქ.
კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 28 ივლისის
დადგენილების შემდეგ „საქართველოს სსრ-ში მევენახეობის-
სა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების შესახებ“.

დიდ ფართობს — 42,9%-ს ყველა ვენახებისა, ჰიბრიდე-
ბი — პირდაპირი მწარმოებლები შეადგენენ, რომლებსაც,
როგორც ზევით იყო აღნიშნული, მიუხედავად მათი პროდუქ-
ციის მდარე ხარისხიანობისა, მოსახლეობა ხალისით აშენებს
მათი მაღალი მოსავლიანობისა და ფილოქსერისა და სოკოვან
ავადმყოფობათა წინააღმდეგ გამძლეობის გამო.

მესხეთში — მევენახეობის ახალ რაიონში, რომელიც
ქართლის რაიონის გაგრძელებას წარმოადგენს, შენდება იგი-
ვე ჯიშები, რაც ქართლში, სახელდობრ ალიგოტე (მუხრანუ-
ლი), რაც მთელი ნარგაობის 69,6% შეადგენს, ჩინური, გო-
რული მწვანე და სხვა.

იმერეთის ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა, ნიადა-
გობრივ-კლიმატური პირობების სიტრელის გამო, ძლიერ დი-
და; საქართველოს მასშტაბით არსად ისეთი მრავალფეროვა-
ნება არაა ჯიშებში, როგორც იმერეთში; მასთან, ნარგაობის
სიტრელეს ადგილი აქვს არა მარტო მიკრორაიონების მიხედ-
ვით, არამედ ცალკეულ ვენახებშიც.

მიუხედავად ამისა, ამა თუ იმ ჯიშის გავრცელებაში შემ-
ჩნეულია ერთგვარი კანონზომიერება. საერთოდ, მთელ იმე-
რეთში, ცოლიკაურის ჯიში სჭარბობს, რომელსაც ყველა ნარ-
გაობის 32,2% უკავია, შემდეგ მიდის ციცქა — 28,7%, და-
ნარჩენ ჯიშებს კი, რომლებიც გავრცელებულია ცალკეულ
მიკრორაიონებში, უკავიათ თვითუფს არა უმეტეს 3 — 6%-
ისა იმერეთის ვენახების საერთო ფართობიდან.

როგორც აღნიშნული იყო, იმერეთის ვენახების ძირითად
ჯიშებს ცოლიკაური და ციცქა შეადგენენ. ამ ჯიშების გეო-



გრაფიული განლაგება შემდეგნაირია: ციკქა უმეტესად გავრცელებულია იმერეთის აღმოსავლეთ ნაწილში, დასავლეთისაკენ თანდათანობით მცირდება; ცოლიკაურის გეოგრაფიული განლაგება საწინააღმდეგო მიმართულებისაა — იგი უმეტესად გავრცელებულია იმერეთის დასავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთით კი კლებულობს.

იმერეთის ტერიტორიაზე ციკქასა და ცოლიკაურის გეოგრაფიულ განლაგებაში ასეთი კანონზომიერება აიხსნება ცალკეული რაიონების ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების თავისებურებით: აღმოსავლეთ იმერეთში, სადაც ქვეთიხნარი და თიხნარი ნიადაგები სჭარბობს კალციის კარბონატების დიდი რაოდენობით, ციკქა ბევრად უკეთესი ხარისხის ღვინოს იძლევა, ვიდრე ცოლიკაური; დასავლეთ რაიონებში კი პირიქით — ცოლიკაურის ღვინო უკეთესი ხარისხისაა.

ამას გარდა, ჯიში ციკქა შედარებით ნაკლებგამძლეა სოკოვან ავადმყოფობათა წინააღმდეგ, რომლებიც მეტად გავრცელებულია დასავლეთ იმერეთის უფრო ნესტიანი ჰავის პირობებში; ჯიში ცოლიკაური კი მათ წინააღმდეგ მეტი გამძლეობით ხასიათდება.

იმერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მის განსაზღვრულ ტერიტორიაზე, მაგრამ დიდი ხვედრითი წონით, გავრცელებულია ჯიში რკო, რომელსაც 947 ჰექტარი, ანუ 6,3% უჭირავს.

იმერეთის განსაზღვრული რაოდენობის მიკრორაიონებში, მაგრამ საკმაოდ დიდ ფართობებზე გვხვდება ჯიში ღონდლაბი და აგრეთვე ჰიბრიდები — პირდაპირი მწარმოებლები.

თითქმის ყველა რაიონში დიდი ოდენობითაა წარმოდგენილი „დანარჩენი ჯიშების“ ჯგუფი (იმერეთში 10,7% მთლიანად); ამ ჯგუფში 1947 წლის აღწერით შესულია მეორეხარისხოვანი ჯიშები, რომელთაც ადგილობრივი მიკრორაიონული მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ, და აგრეთვე ხარისხოვანი ჯიშები, როგორც კრახუნა, ქვიშხური, ოცხანური და სხვა, მათი ძლიერ მცირე გავრცელების გამო.

ასევე ჭრელია რაჭა-ლეჩხუმის ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა. აქა გვხვდება, როგორც ადგილობრივი, ისე სა-

ქართველოს სხვა რაიონებიდან (იმერეთი, სამეგრელო-აფხაზეთი) შემოტანილი ჯიშები. ამ რაიონის ცალკეული მიკრო-რაიონები ძლიერ განსხვავდება ერთი მეორისაგან თავისი ჯიშობრივი შემადგენლობით. ქვემო-რაჭაში ყველაზე მეტად გავრცელებული ჯიში ალექსანდროულია (წითელი ჯიში), შემდეგ წულუკიძის თეთრა (თეთრი ჯიში). ზემო-რაჭაში უპირატესი ჯიშები მწვანეა (თეთრი ჯიში) და საფერავი (წითელი ჯიში); აქვე ძლიერ გავრცელებულია ჰიბრიდები — პირდაპირი მწარმოებლები. ჰიბრიდები ძლიერ გავრცელდა ფილოქსერისაგან ვენახების მასიურად განადგურების შემდეგ, როგორც ისეთი ჯიშები, რაც უკვე იყო ნათქვამი ზევით, რომლებიც ადვილად შენდება და ნაკლები მოთხოვნილების არიან ბუნებრივი პირობების მიმართ.

თავისი ჯიშობრივი შემადგენლობით ლეჩხუმი შესამჩნევად განსხვავდება რაჭის რაიონებისაგან. ძირითადი ჯიში აქ იმერული ჯიში ცოლიკაურია, რომელიც აქ გავრცელებულ იქნა ფილოქსერის გამოჩენის შემდეგ.

ამის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ ნამყენის საწარმოებლად პირველ ხანებში აქ არც საჭირო ცოდნა იყო და არც პირობები; მოსახლეობას იმერეთიდან ჯიშ ცოლიკაურის მზა ნამყენი შემოჰქონდა, რომელიც ამ რაიონის პირობების შესაფერისი ჯიში აღმოჩნდა.

ძლიერაა წარმოდგენილი ყველა მიკრორაიონებში „დანარჩენი ჯიშების“ ჯგუფი, რომელიც ნაკლებმნიშვნელოვანი ჯიშებისაგან შედგება და რომლებიც აღწერით ცალკე დამოუკიდებელი სახით არ არიან აღრიცხული.

რაჭა-ლეჩხუმის მთელი რაიონის ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა ძირითადი ჯიშების მიხედვით შემდეგია: ალექსანდროული 593 ჰა — 19,9% ყველა ნარგაობისა, ცოლიკაური 386 ჰა — 13%, წულუკიძის თეთრა 360 ჰა — 12,1%, რაჭული მწვანე 216 ჰა — 7,3%.

გურია-აჭარისა და სამეგრელო-აფხაზეთის რაიონებში ყველაზე მეტად გავრცელებულია იმერული ჯიში ცოლიკაური, რომელსაც გურია-აჭარის რაიონების ნარგაობის 83,2% უკავია, სამეგრელო-აფხაზეთის რაიონებში კი 88,9%, უმნიშვნე-



ნელო რაოდენობით გვხვდება ადგილობრივი ჯიშები — აჭარაში — ჩხავერი და სამეგრელოში — ოჯალეში.

იმერული ჯიშის ცოლიკაურის ასე დანერგვა და ძლიერ გავრცელება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე აიხსნება ასევე ადგილობრივი დიდმნიშვნელოვანი ჯიშების ფილოქსერისაგან განადგურებით, რომლებიც მალაშტამბიანი (მალარი) ნარგაობის სახით იყვნენ გავრცელებულნი, ნამყენის გამოყვანისათვის კი საჭირო პირობები და ცოდნა აქ არ იყო და მოსახლეობასაც ამის გამო მზა ნამყენი (ცოლიკაური) მეზობელ იმერეთიდან შემოჰქონდა. ეს ჯიში, მისი მაღალი მოსავლიანობისა და სოკოვან ავადმყოფობათა წინააღმდეგ გამძლეობის გამო სავსებით შესაფერისი აღმოჩნდა ადგილის ნესტიანი პირობებისათვის და ძლიერი მეტოქე ადგილობრივი ჯიშებისა.

საქართველოს მევენახეობის მდგომარეობის შესახებ ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მევენახეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მთავარი საკითხთაგანი ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახების აღდგენა ახალი ვენახების გაშენებით ფილოქსერაგამძლე საძირეზე დამყნული ვაზით.

ვებებით რა ამ საკითხს, პირველ ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ მუშაობა ამ დარგში საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობდა; მაგრამ უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით 1936 წლიდან საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს ისტორიული დადგენილების შემდეგ „საქართველოს სსრ-ში მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების შესახებ“ — მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა.

მიღწევად ამ მხრივ უნდა ჩაითვალოს მყარი ბაზის შექმნა ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახების აღსადგენად და შემდგომ განსავითარებლად საძირე ვაზების სადედეების გაშენების გაფართოების გზით, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკას ფილოქსერაგამძლე საძირე მასალით.

ამ მნიშვნელოვან საკითხს უკანასკნელ დრომდე ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. სადედეების გაშენება დიდი და-

გვიანებით დაიწყო; გაშენება ნელი ტემპით მიმდინარეობდა და არასაკმაო რაოდენობით სწარმოებდა.



საძირე ვაზის სადედეების დინამიკა უკანასკნელი ორო ათეული წლის განმავლობაში შემდეგ სურათს იძლევა:

წლები	ფართობი ბოლოს ჰა	$\frac{\%}{1930}$ $\frac{\%}{წელთან}$ -ში შედარებით
1930	321	100
1932	416	130
1935	580	180
1940	815	254
1947	734	230
1951	1225	382

როგორც ვხედავთ, საძირე ვაზის სადედეების ფართობებს ზრდა 1940 წლამდე ძლიერ ნელა მიმდინარეობდა და მხოლოდ ამ დროისათვის მათი ფართობი შედარებით 1930 წელთან 2,5 ჯერ იზრდება. სამამულო ომის წლებში სადედეების ნაწილი წყობიდან გამოვიდა, მაგრამ ომის შემდგომ წლებში ეს ფართობი აღდგენილ იქნა და 1951 წლის დასაწყისისათვის 1225 ჰექტარს უდრის, რაც 1940 წლის (ომის წინაწლის) ფართობთან შედარებით 50%-ით მეტებას წარმოადგენს.

საძირე ვაზის სადედეების მდგომარეობა ჯერ კიდევ არაა საკმაოდ დამაკმაყოფილებელი იმის გამო, რომ მათ მოვლა აკლდა მთელი რიგი განვლილი წლების მანძილზე. ნარგაობა მეჩხერიანია და მოსავლიანობა შედარებით დაბალი. ჰექტარზე 40 — 45 ათასი ცალი 110 სანტიმეტრიანი ლერწის შესაძლებელ მოსავლის ნაცვლად ფაქტიური მოსავალი ამჟამად 27 — 30 ათას ცალს შეადგენს.

ახლა გაზრდა სადედეების მოსავლიან ჰასაკში შესვლით სადედეების პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

საძირე ვაზის სადედეების ჯიშობრივი შემადგენლობა
შემდეგნაირია:



რიპარია X რუპესტრის	3309—590 ჰა—48,2 %
" "	3306— 81 "— 6,6 "
" "	101—14—228 "—18,6 "
ბერლანდიერი X რიპარია	420ა—109 "— 8,8 "
რიპარია X ბერლანდიერი	5ბბ—122 "—10,0 "
შასლა X ბერლანდიერი	41ბ— 8 "— 0,7 "
სოლონის X რიპარია	1616— 2 "— 0,2 "
რუპესტრის დიულო	78 "— 6,3 "
დანარჩენი ჯიშები	7 "— 0,6 "
სულ	1225 ჰა 100 %

აღსანიშნავია, რომ სადედეების ჯიშობრივ შემადგენლობაში მცირედაა წარმოდგენილი ბერლანდიერის ჰიბრიდები — სულ 239 ჰექტარი, დაახლოებით 20%, მაშინ როდესაც საქართველოს გასაშენებელი ვენახებისათვის საუკეთესო ნიადაგების მასივები, რომლებიც მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა, თითქმის ყველა რაიონებში კირის დიდ რაოდენობას შეიცავს და ვაზის საძირედ სწორედ ბერლანდიერის ჰიბრიდებს მოითხოვს.

საძირე ვაზის სადედეების 1225 ჰექტარ საერთო ფართობიდან კოლმეურნეობებში მთელი ფართობის 995 ჰექტარი, ანუ 81,2% ირიცხება, საბჭოთა მეურნეობებში 230 ჰექტარი, ანუ 18,8%.

სადედეების მეურნეობა უკანასკნელ წლებამდე საბჭოთა მეურნეობების ხელში იყო; კოლმეურნეობებს ძალზე მცირედი ფართობი ჰქონდათ, რის გამოც კოლმეურნეობების სადედეების უდიდესი ნაწილი ახალგაზრდა ნარგაობისაგან შედგება. საბჭოთა მეურნეობების სადედეები მთლიანად სრულასაკოვანია.

მევენახეობის ცალკეულ რაიონებს შორის სადედეები განლაგებულია იმისდა მიხედვით თუ როგორია ამა თუ იმ რაიონის მოთხოვნილება საძირე მასალაზე. სადედეების მთელი ფართობის დაახლოებით ერთი მესამედი იმერეთზე მოდის, დაახლოებით ამდენივე — კახეთზე; დანარჩენ რაიონ-

ნებში, გარდა ქვემო ქართლისა (მარნეულისა და ბოლნისის) და ბოლნისის რაიონებისა (მარნეულისა და ბოლნისის რაიონების) მინისტრაციული რაიონები, სადედეები მცირე რაოდენობითაა.

მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში სადედეების შედარებით დიდი ფართობია თავმოყრილი, რადგან ამ რაიონების ეკოლოგიური პირობები ხელსაყრელადაა მიჩნეული საძირე ვაზის სადედეების გასაშენებლად.

მარნეულის რაიონში მდებარეობს სამტრედიის გიაურარხის საბჭოთა მეურნეობა, რომლის პროდუქცია (საძირე) ადგილობრივად მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით მოიხმარება. ამ მეურნეობის სადედეს რესპუბლიკური მნიშვნელობა აქვს; მეურნეობა ამარაგებს თითქმის ყველა რაიონს, რომელსაც თავისი საძირე არა ჰყოფნის.

ვაზის მყნობის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებანია მიღწეული.

საძირე ვაზის სადედეების გაფართოება და მათი პროდუქციის ზრდა ხელს უწყობს ნამყენი ვაზის წარმოების ზრდას. ამას ხელს უწყობს აგრეთვე ნამყენი ნერგის გამოსაყვან სათბურების ფართო მშენებლობა.

ნამყენის წარმოების გაფართოებასთან ერთად იზრდება პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგის გამოსავალი.

ნამყენის წარმოებისა და პირველხარისხოვანი ნამყენის გამოსავლიანობის დინამიკა მოცემულია შემდეგ ცხრილში (საქართველოს ტექნიკური კულტურების სამინისტროს ცნობებით):

რიგ. №№	წლები	დამყენილია (ათასი ცალი)	მიღებულია პირველი ხარისხის (ათასი ცალი)	პირველი ხარისხის ნამყენის გამოსავალი %/0-ში
1	1934	11550	2310	20
2	1937	23692	9081	38
3	1940	48706	18021	37
4	1941	48729	17055	35
5	1944	2376	808	34
6	1945	12135	4004	33
7	1950	32750	9825	30
8	1951	35607	14242	40

როგორც ვხედავთ, ნამყენის წარმოება და მისი გამოსავალი დაწყებული 1934 წლიდან, თანდათან და შესწავლის იზრდება და მაქსიმუმს 1940 — 1941 წლებში აღწევს; ომის წლებში წარმოება თანდათან კლებულობს, 1944 წლისათვის მინიმუმამდე დადის (2376 ათასი ცალი), შემდეგ ისევ იზრდება და 1951 წელს დამყენილია 35607 ათასი ცალი და პირველხარისხოვანი ნამყენის გამოსავალი 40% უდრის. 1952 წლისათვის დადგენილია ნამყენის წარმოების დიდი გეგმა.

1936 წლამდე ნამყენის წარმოება თავმოყრილი იყო თითქმის მთლიანად საბჭოთა მეურნეობების ხელში, რომლებიც აწარმოებდნენ, როგორც თავიანთი საჭიროებისა, ისე კოლმეურნეობისათვის. 1936 წლიდან შემოღებული იქნა კოლმეურნეობათა დაკრედიტება ნამყენისათვის საჭირო მასალის შესაძენად და სათბურების მშენებლობა, რის გამოც ნამყენის წარმოება კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა, კოლმეურნეობებმა უკვე აითვისეს ეს საქმე და საბჭოთა მეურნეობების მხრივ დახმარებას ნაკლებად საჭიროებენ.

1939 წლიდან საბჭოთა მეურნეობანი აწარმოებენ მყნობას მხოლოდ თავიანთი საჭიროებისათვის.

ვამთავრებთ რა საქართველოს მევენახეობის არსებული მდგომარეობის მიმოხილვას, ვეხებით ვენახების მოსავლიანობის საკითხს.

ზუსტი ცნობები ვენახების მოსავლიანობის შესახებ რესპუბლიკის მასშტაბით არ მოიპოვება, რადგან არა სწარმოებს ყოველწლიური მთლიანი აღრიცხვა იმ ვენახების მოსავლიანობისა, რომლებიც კოლწევრთა ინდივიდუალურ სარგებლობაშია. ამიტომაც ამ საკითხის განხილვისას ვკმაყოფილდებით სხვადასხვა საჭიროებისათვის წარმოებულ საორიენტაციო გამოანგარიშებით.

ამგვარი მონაცემების თანახმად ვენახების მოსავლიანობა რესპუბლიკაში ომის წინა წლებში საერთოდ 40 ცენტნერს აღწევდა ჰა-ზე საშუალოდ და მთლიანი პროდუქცია კი 130 — 150 ათას ტონას.

ცალკეული რაიონებისა და ჯიშების მიხედვით მოსავლიანობა 30 — 40%-ის ფარგლებში მერყეობს.



ყოველწლიური აღრიცხვის მონაცემები არსებობს ექვსი წელიწადის განმავლობაში (1948 — 1950 წ. წ.) ჰექტარზე 53 ცენტნერ ყურძენს შეადგენს.

ცალკე საბჭოთა მეურნეობებში ადგილი აქვს საშუალო მოსავლიანობის მნიშვნელოვან მერყეობას (დაახლოებით 20-დან 100 ცენტნერამდე), დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე (სარწყავი და ურწყავი, სეტყვა და სხვა), ნარგაობის ასაკზე, ჯიშობრივ შემადგენლობაზე და თვით ნარგაობის მდგომარეობაზე. მოსავლიანობა ცალკეულ ნაკვეთებზე ჰექტარიდან 150—180 ცენტნერს აღწევს (ხირსის, ყულარის და სხვა საბჭოთა მეურნეობები).

საბჭოთა მეურნეობების ვენახების მთელი ყურძნის მოსავალი წლიურად საშუალოდ 4 — 6 ათას ტონას შეადგენს.

ომისწინა ოფიციალური ცნობები კოლმეურნეობების ვენახების მოსავლიანობის შესახებ ხელთ არა გვაქვს, მაგრამ ცნობილია, რომ იგი ჰექტარზე 30—40 ცენტნერს შეადგენდა. ცალკეულ კოლმეურნეობებში (სოფ. კარდანახი, სვირი და სხვა) ცალკე ნაკვეთებზე მიღებულ იქნა 100—150 ცენტნერი ჰა-ზე და ამაზე მეტიც.

კოლმეურნეობის ვენახების წლიური მოსავალი 50—60 ათას ტონა ყურძენს შეადგენდა.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობების ვენახების მოსავლიანობა ომისწინა წლების მოსავლიანობაზე მეტია და 45 ცენტნერამდე აღწევს.

როგორც ვხედავთ, როგორც საბჭოთა მეურნეობების, ისე კოლმეურნეობების ვენახების მოსავლიანობა შედარებით დაბალია, მაგრამ იგი წლიდან წლამდე იზრდება ვენახების მოვლის გაუმჯობესების და სასუქების შეტანის შედეგად, რაც იმის გარანტიაა, რომ იგი მნიშვნელოვნად გაიზრდება უახლოეს დროში.

საქართველოში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, დაბალშტამბიანი („დაბლარი“) ვენახების გარდა არის აგრეთვე მაღალშტამბიანი („მაღლარი“) ვენახები.



მაღლარი ვენახების განლაგება საქართველოს რაიონების მიხედვით, 1947 წლის სრულიად საკავშირო ვენახების აღწერის მონაცემებით, შემდეგ სურათს იძლევა:

რიგითი №№	რაიონები	სულ		მათ შორის იხაბელას ჯიში	
		ძირი	ჰექტარზე გადაყვან.	ძირი	ჰექტარზე გადაყვან.
1	კახეთი	21627	86	19152	76
2	ქვემო ქართლი . .	1161	5	696	3
3	ქართლი — სამხრეთ ოსეთი	2131	9	711	3
4	მცხეთი	1435	6	—	—
5	იმერეთი	228859	915	207750	831
6	რაჭა-ლეჩხუმი . . .	85119	340	77750	311
7	გურია-აჭარა	869927	3322	852505	3217
8	სამეგრელო-აფხაზეთი	1517452	6116	1057720	4265
	სულ	2737711	10779	2216284	8706

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაღლარი ვენახები, თავიანთი ნარგაობის ხასიათის მიხედვით, დამოკიდებული იმაზე თუ რომელ რაიონშია, დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. აღმოსავლეთ საქართველოში მაღლარის ვაზები ერთეული ძირების სახით გვხვდება, თითქმის მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთებზე, როგორც ქალაქად, ისე სოფლებში. ამ რაიონებში მაღლარი შედგება, უმთავრესად, სუფრის ყურძნის ჯიშებისაგან და განკუთვნილია სუფრის ყურძნის სახით მოსახმარად.

რაჭა-ლეჩხუმში (ცაგერის ადმინისტრაციულ რაიონში) მაღალშტამბიანი ვაზები უმთავრესად მთლიანი ნარგაობის სახით გვხვდება საშუალო შტამბზე, 1,5 მეტრის სიმაღლეზე. („ოლიხნარის“ ტიპის მიხედვით) და გაშენებულია ადგილობრივი ჯიშებით. ასეთ ნარგაობას საყრდენად ხის მაღალი სარები აქვს, რომლებიც ერთმანეთზე გადაბმულია ასეთივე გრძელი, ჰორიზონტალურად დაწყობილი სარებით.



იმერეთში, და განსაკუთრებით გურია-აჭარისა და რელო-აფხაზეთის ზღვისპირა რაიონებში, მაღალშტამბიანი ნარგაობანი, ჟმთავრესად, გაშენებულია დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის სახმარ მიწებზე (ეზოებში, ლობე-მესერებზე, სახნავ-სათესში, თხმელნარ ტყეში და სხვა) და შეშვებულია ხეებზე.

აფხაზეთში, კერძოდ გუდაუთის ადმინისტრაციულ რაიონში, და აგრეთვე (უფრო იშვიათად) სხვა რაიონებში, შემოღებულია საყრდენად გამოსადეგი ხეების რიგში დარგვა (ხურმა, თხმელა და სხვა), რომლებსაც ვაზებს ძირებში მიურგავენ. ამგვარად წარმოდგება მაღლარის მთლიანი ნარგაობა.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში, განსაკუთრებით ზღვისპირა ზონაში, მაღლარის ვაზების დიდი ჟმეტესობა ამერიკული ჯიში იზაბელასაგან (ჰიბრიდი) შედგება, რომელიც შემოტანილ იქნა იმ რაიონებში ფილოქსერისა და სოკოვან ავადმყოფობათა გაჩენის შემდეგ ქალ. ოდესიდან გასული საუკუნის მეორე ნახევარში.

იზაბელას ჯიში სწრაფად და ძლიერ ვრცელდება იმის გამო, რომ იგი იოლი გასაშენებელია, დიდმოსავლიანი და შედარებით გამძლე ფილოქსერისა და სოკოვან ავადმყოფობათა წინააღმდეგ. ეს მოვლენა — იზაბელას გავრცელება, არასასურველ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან თუმცა იგი უკეთესია სხვა სახის ჰიბრიდებზე, მაგრამ მდარე ხარისხის ღვინოს იძლევა, და მასთან, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო სდევნის ადგილობრივ მნიშვნელოვან ჯიშებს, რომლებიც ცნობილი არიან მაღალხარისხოვანი ღვინოებით: ჩხავერი, ჯანი, მტევანდიდი, ალადასტური, ოჯალეში და სხვა.

მაღლარის ნარგაობა ამჟამად თანდათან მცირდება, რადგან იზაბელას ჯიში არაა ფილოქსერას წინააღმდეგ აბსოლუტურად გამძლე, იგი უკვე სუსტდება; ამასთანავე, გურია-აჭარისა და სამეგრელო-აფხაზეთის მოსახლეობა გადაღის დაბალშტამბიანი ვაზების გაშენებაზე და იზაბელას ადგილობრივი მნიშვნელოვანი ჯიშებით სცვლის. ამ მოვლენას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მოსახლეობამ ისწავლა ფილოქ-



სერისა და სოკოვან ავადმყოფობათა წინააღმდეგობის გაძლიერების ხერხები, რის გამოც, იზაბელას, როგორც შედარებით გამძლე ჯიშს, ეს უპირატესობა დაეკარგა.

მალარ ნარგავებს, გარდა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისა და რაქა-ლეჩხუმისა, თითქმის არავითარი მოვლა არა აქვთ; პერიოდულად სწარმოებს მხოლოდ მისი გასხვლა — ზედმეტი შტოების შექრა (ვაზის კრონის შეთხელება).

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1951 — 1955 წლებში ღონისძიებათა გატარება დაბლარი ვენახების გასაფართოებლად აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის რაიონების გვერდით ისეთ რაიონებშიც, სადაც უპირატესი მდგომარეობა ამჟამად მალარებს უკავია, ამიტომაც, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო მალარის ნარგაობა თანდათან შემცირდება და ადგილს დაუთმობს უფრო კულტურულ მევენახეობის ტიპს — დაბლარს.

IV

მეღვინეობის თანამედროვე მდგომარეობა¹

მევენახეობა საქართველოში მეღვინეობის მიმართულებისაა; თითქმის მთელი მოსავალი ღვინოზე გადასამუშავებლად მიდის; მისი მცირე ნაწილი იხმარება მოსახლეობის მიერ ყურძნის სახით; რამოდენიმე ნაწილი გადამუშავდება ბექმეზისა და ჩურჩხელასათვის; შემოღებულია აგრეთვე ყურძნის გახმობა, — ასევე მცირე რაოდენობით, ძირითადად შინა მოხმარებისათვის.

საერთო ჯამში, მთელი ყურძნის დაახლოებით 95% ღვინოდ მუშავდება; დანარჩენი 5% სხვა სახის პროდუქციაზე.

საქართველოში მეღვინეობას ეწევიან, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციები (სამტრესტი, საქშამპანკომბინატი, ადგილობრივ მრეწველობის საწარმონი და სხვა), ისე კოლმეურნეობები და ცალკეული გლეხური მეურნეობანი.

¹ უმეტესი ღვინოების დახასიათება ამ თავში მოცემულია ა. ა. ეგოროვის შრომის მიხედვით: „ამიერკავკასიის ღვინოები“ — „კრიშიზდატი“ — 1947 წ.



ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობის გამო (კლიმატი, ნიადაგი, რელიეფი და სხვა), საქართველო მეღვინეობის მხრივ მთელ რიგ მაკრორაიონებად და მრავალ მიკრორაიონებად იყოფა.

საქართველოს ძირითადი მეღვინეობის რაიონი კახეთია. კახეთი კლასიკური ქვეყანაა სუფრის, როგორც თეთრი, ისე წითელი ღვინოებისა. ბუნებრივი პირობების თავისებურებათა მიხედვით აქ ბევრგვარი ღვინოები მუშავდება, რომლებიც თავიანთი გემური და სხვა თვისებებით ძლიერ განსხვავდება ერთი მეორისაგან. ადგილობრივი, ანუ კახური წესით სუფრის ღვინოების დამუშავებასთან ერთად, სახელმწიფო მეურნეობებში გავრცელებულია ევროპული ტიპის ღვინოების წარმოება.

ადგილობრივი, ანუ კახური წესით ჭაჭაზე დადუღებით გამომუშავებულ ღვინოებს ჩაის ფერი აქვს, ძელგია, ტანინის შემცველი, ახალგაზრდობაში რამოდენიმე უხეში; მათი სიმაგრე ჩვეულებრივ $10 - 12^{\circ}$, ზოგიერთ მიკრორაიონებში კი $13 - 14^{\circ}$ აღწევს, მცირემჟავიანია $4 - 6\%$.

ევროპულ ღვინოებს შორის პირველი ადგილი შემდეგ მარკებს უკავია: № 64 წინანდალი, № 66 ნაფარეული და № 65 მუკუზანი. ამ ღვინოებს საერთო ხასიათი აქვთ, მაგრამ ერთიმეორისაგან მაინც განსხვავდებიან. მარკა წინანდალს № 64-ს, საერთო ჰარმონიასთან ერთად რამოდენიმე მეტი სხეული აქვს, რის გამოც ეს ღვინო ისეთი მსუბუქი არაა, როგორც ნაფარეული. ყველა ეს ღვინოები რქაწითელიდან მუშავდება და ამ ჯიშის დამახასიათებელ ბუკეტს პირველში სინაზე-სიფაქიზე აკლია, მაგრამ შენახვის დროს სიძველის დიდმნიშვნელოვან ბუკეტს ანვითარებს. მუკუზანი რამოდენიმეტი დაბლა დგას პირველი ორი მარკის ღვინოებზე, მას აკლია ჰარმონია და ხალისი. ამ ღვინოების სიმაგრე $10,5 - 12^{\circ}$ სპირტიანობას უდრის, საერთო მჟავიანობა კი $6 - 8\%$.

ცალკე აღსანიშნავია მწვანის თეთრი ღვინო, „მანავის მწვანის“ სახით (სამტრესტის მანავის საბჭოთა მეურნეობა), რომელიც სირბილით და სპეციფიკური დახვეწილი ბუკეტით გამოირჩევა.



გარდა კარგი, და ხანდახან შესანიშნავი თეთრი ღვინოების, კახეთში, განსაკუთრებული ღირსებისაა ადგილობრივი ჯიშის საფერავის წითელი ღვინოები. ეს ღვინოები მძლავრადაა შეფერილი, ძლიერი სტრუქტურისაა, ახალგაზრდობაში რამოდენიმეთი უხეშია და მძიმე, მაგრამ იზიდავენ თავიანთ შინაარსითა და შემადგენელი ნაწილების ჰარმონიით. ხანგრძლივად წლების განმავლობაში შენახვა — დაძველების შემდეგ მათგან განსაკუთრებული სილამაზის იშვიათი ღვინოები დგება.

თეთრი ღვინო

წითელი ღვინოები, ისევე როგორც თეთრი, აგრეთვე იყოფა ორ ჯგუფად: ევროპული ტიპის ღვინო, და ადგილობრივი, კახური წესით გაკეთებული ღვინო, მაგრამ მათ შორის არ არის ისეთი ღრმა განსხვავება, როგორც თეთრ ღვინოებში, რადგან ორივე ტიპში ღვინო ერთგვარად, ჭაჭაზე დაღუღებით მზადდება; ევროპული ღვინისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ მეტი მჟავიანობის შენარჩუნება, ადგილობრივი წესით დამუშავებულ ღვინისათვის კი ყურძენი დაგვიანებით, მეტი შაქრიანობის დაგროვების შემდეგ იკრიფება, რის გამოც მჟავიანობა კლებულობს. ამას გარდა, ადგილობრივი წესით დამუშავების დროს ღვინო მეტხანსაა გაჩერებული ჭაჭაზე და ამიტომაც იგი რამოდენიმედ უხეშია.

ჩვეულებრივად, ადგილობრივი ღვინო, ხის დიდ კასრებში — ჩანებში კი არა დულს, არამედ ქვევრებში, სადაც უკეთესი პირობებია დუღილისა და ახალგაზრდა ღვინოების პირველი შენახვისათვის, რადგან იქ ტემპერატურა ერთგვარია და შედარებით დაბალი.

წითელი ღვინოებიდან ყურადღების ღირსია სამტრედიის სამარკო ღვინოები № 45 წინანდალი, № 46 მუკუშანი და № 47 ნაფარეული. აქ იგივე სურათი მეორდება, რაც იგივე მარკების თეთრ ღვინოებში: წინანდალი და ნაფარეული მუკუშანზე მაღლა დგანან. პირველი ღვინოები უფრო სრულია, ვიდრე მეორე.

ამ ნომრების ღვინოებში ჯიშში განსაკუთრებულად მყდვენდება ინტენსიური შეფერვის, არომატისა და ბუკეტის მხრივ; ღვინოები გემოზე ჰარმონიულია, ხალისიანი, სრული. მარკა



ამ რაიონში შესამჩნევი ადგილი უკავია საკონსტიტუციის ხდას და ყურძნის წვენის წარმოებას (ბოლნისის ადმინისტრაციული რაიონი).

ხრამისა და მაშავერას მდინარეების აუზში ღვინოები მზადდება უმთავრესად კახური ჯიშების რქაწითელისა და საფერავისაგან. აქაური ღვინოები მსუბუქია, ორდინარული ვენახების უხვი რწყვის გამო. ამ რაიონის ღვინოები გამოიყენება უმთავრესად საკონიაკე სპირტის გამოსახდელად.

რქაწითელისა და საფერავისაგან სუფრის ღვინოების გარდა მზადდება ორდინარული შემაგრებული ტკბილი ღვინოები.

რქაწითელის ჯიშის ყურძნიდან მზადდება აგრეთვე საკმაოდ მაღალი ხარისხის ყურძნის წვენი.

ქართლი — სამხრეთ ოსეთის რაიონებში ამ ბოლო დროს მეღვინეობამ შამპანური ღვინომასალების წარმოების მიმართულება მიიღო; შამპანური ღვინომასალები მზადდება, როგორც ევროპული ჯიშებიდან (ალიგოტე, პინო, შარდონე), ისე ადგილობრივი ჯიშებიდან (გორული მწვანე, ჩინური). ამასთან ერთად, რიგ მიკრორაიონებში (ატენი, მეჯვრისხევი და სხვა) მზადდება აგრეთვე ხარისხოვანი სუფრის ღვინოები.

არაგვისა და ქსნის ხეობებში ცნობილია სოფელ საგურამოს საფერავის ღვინო, რომელიც კახურს უახლოვდება.

მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში მზადდება საფერავის კარგი წითელი ღვინო, მაგრამ მასზე უკეთესია თეთრი ღვინო, განსაკუთრებით ალიგოტესი. აქ ამ ჯიშს მოსახლეობამ მუხრანულიც კი შეარქვა, რაც ალიგოტეს ახალ სინონიმს წარმოადგენს.

მუხრანის საბჭოთა მეურნეობის ალიგოტე ძლიერ ხალისიანია, მსუბუქი, საკმაოდ სრული, რბილი, ჯიშური ბუკეტით.

ქართლის სხვა რაიონების ღვინოებიდან აღსანიშნავია ხიდისთაური, ჩინურისა და გორული მწვანეს ჯიშების ღვინოები. ღვინო ხიდისთაური თავკვერის ჯიშიდან კეთდება, უბრალო წითელი, ადგილობრივი მნიშვნელობის ღვინოა. მისი შეფერვა მდიდარი არაა, თუმც საკმაოდ ინტენსიურია. ბუკეტი თუმცა ჯიშური აქვს, მაგრამ უბრალო, აქვს საკმაო სიხალისე.



ჩინურისა და გორული მწვანის თეთრი ჯიშები ატენის განთქმულ ღვინოს — ატენურს.

ღვინო ატენური ცნობილია უძველესი დროიდან; იგი საკლებით თავისებურია და ორიგინალური. მისი სიმაგრე 11 — 12° უდრის, საერთო მჟავიანობა 5,5 — 6,5‰, შაქრის ნაშთებით — მოტკბო. მზადდება ადგილობრივი ჯიშებიდან, ძირითადად ჩინურისა და გორული მწვანისაგან. იგი ქვევრებში ღულს და ქვევრებშივე ინახება. ნიადაგის შედარებით დაბალი ტემპერატურის გამო — 10°, დუღილი ნელა მიმდინარეობს და ღვინო მცირედით დაუდუღარი რჩება, დარჩენილი შაქარი ნელ-ნელა დადუღდება. ღვინო გაყენთილია CO₂-ით და ამის გამო, განსაკუთრებით ზაფხულში, სიცხეში, მეტად სასიამოვნოა, იგი თავისებური ბუნებრივი შამპანურია. სიცხეში, როცა ქვევრის სიღრმიდან ღვინოს ამოიღებენ, ღვინო ცივია და ხალისიანი, წყურვილსა ჰკლავს და ენაზე სასიამოვნოდ ეკიდება — CO₂. სამწუხაროდ, ღვინის გადაზიდვის დროს გაზი ადვილად იკარგება, რის გამოც გამომუშავებულია ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ამ ტიპის ღვინის შენახვას მისი ბუნებრივი სახით.

იმერეთი საქართველოს მეღვინეობის მეორე ძირითადი რაიონია. აქაც ადგილი აქვს ბუნებრივ პირობათა განსაკუთრებულ სიჭრელეს, რაც გავლენას ახდენს მეღვინეობის მიმართულებასა და პროდუქციის ხარისხზე.

ამ ბოლო დრომდე რაიონში მზადდებოდა სუფრის ღვინოები, უმთავრესად თეთრი ღვინოები, ნაწილობრივ, შემაგრებული ტკბილი ღვინოები.

ამჟამად კი, საქართველოში საბჭოთა შამპანურის წარმოების კომბინატის დაარსებიდან (1936 წ.), დაწყებულია შამპანური ღვინომასალების მასიური დამზადება ჯერ ადგილობრივი ციცქა ჯიშიდან, რომელიც ხაჩისხოვან მასალას იძლევა, და ბოლოს ამ მიზნისათვის გაშენებულ ევროპულ ჯიშებიდან (პინო, შარდონე, ალიგოტე).

იმერეთს რამოდენიმე კარგი ჯიში მოეპოვება: ციცქა, ცოლიკოური და კრახუნა. ეს უკანასკნელი ჯიში იძლევა ძვირფას შინაარსიან ღვინოს, რომელიც ახლო უდგება კახურ, ად-



გილობრივი წესით დაყენებულ თეთრ ღვინოს. კრახუნის ღვინო სწრაფად გადის მადერნიზაციის პროცესს, რის გამოც თავისდათავად მოითხოვს მისგან მადერის დამზადებას.

ორი სხვა ჯიში — ციცქა და ცოლიკოური — იძლევა სუფრის თეთრ მშვენიერ ღვინოებს. ჯიში ციცქა მიღებულია ქართული შამპანურის ძირითად ჯიშად და ჯერჯერობით იგი ამას ამართლებს. ცოლიკოურს უშვებენ სამარკო ღვინის სახით № 67-ის სახელწოდებით.

სხვა თეთრი ჯიშებიდან აღსანიშნავია სოფელ თეთრი წყაროს კაპისტონი; ღვინო მომწვანო — ჩალისფერია ჯიშური სასიამოვნო ბუკეტით; იგი რბილია, ნაზი, დახვეწილი და ჰარმონიული. ასეთი კარგი ღვინო მზადდება ამ ჯიშიდან საჩხერეში.

საჩხერეშივე ქვიშხურის ჯიშიდან დგება მშვენიერი თეთრი ღვინო ჯიშური ორიგინალური ბუკეტით, ცოცხალი, ჰარმონიული.

წითელი ჯიში ოცხანური — საფერე იძლევა ძლიერ ინტენსიურად შეფერილ, საკმაოდ შინაარსიან ღვინოს.

კახური ჯიში საფერავი ნაკლებადაა იმერეთში გავრცელებული, მაგრამ ამ ჯიშის ნარგაობა არგვეთის საბჭოთა მეურნეობაში (ზესტაფონის რაიონი) წვრილმიწიან ეწერ ნიადაგებზე იძლევა ძლიერ, განსაკუთრებით ინტენსიურად შეფერილ, ჯიშურ მკვეთრად გამოსახულ ბუკეტის, სრულ, არა უხეშ, ცოცხალ ღვინოს.

მელვინეობის მაღალი ხარისხის პროდუქციით გამოირჩევა რაჭა-ლეჩხუმის რაიონი. აქაური ღვინოები ძლიერ საინტერესოა და ორიგინალური.

წულუკიძის თეთრა იძლევა ძლიერ დახვეწილ, ღიაჩალისფერ, ცოცხალ ჰარმონიულ, რბილ, მსუბუქსა და სრულ სუფრის ღვინოს.

თჯალეში იძლევა წითელ სრულ ჰარმონიულ სუფრის ღვინოს სპეციფიკური ბუკეტით.

ალექსანდროული ყურძნის ჯიშიდან მზადდება როგორც სუფრის მშრალი ღვინო, აგრეთვე ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო, ეგრეთწოდებული „ხვანჭკარა“ (სოფ. ხვანჭკარის მიკრორაიონი). ეს ნახევრადტკბილი ღვინო იქმნება



იმით, რომ ყურძენი გვიან იკრიფება, რის გამოც აღწევს მხოლოდ ღვინის 13—13,5° სიმკვრივეს, მძაფრი დუღილი ჩერდება და ღვინოში რჩება 4—5% შაქარი. ამ ღვინოს საკმაოდ ინტენსიური შეფერვა აქვს, ბუკეტის სასიამოვნო წყობა, სუფრის ღვინის საფუძვლებისა და სიტკბოს ჰარმონიული შეთავსება, მასში არაა ზედმეტი, უსიამოვნო სიტკბო. სამწუხაროდ ეს ღვინოები ზაფხულის სიცხეების დაწყებისას დადუღებას იწყებენ.

ამ ღვინის ტიპური თვისებების შესანარჩუნებლად და მასში დარჩენილი შაქრის ხელმეორედ დუღილის შესაჩერებლად ამჟამად მიღებულია ღვინის პასტერიზაცია ბოთლში.

გური-აჭარისა და სამეგრელო-აფხაზეთის რაიონებში მეღვინეობას, მევენახეობის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის გამო, ადგილობრივი მნიშვნელობის ხასიათი აქვს. აქ მზადდება საშუალო ხარისხის ღვინოები; ცალკეულ რაიონებში, სადაც კირნარი ნიადაგებია, მზადდება რამოდენიმეთი უკეთესი ღვინოები.

აღსანიშნავია გურიის ჯიშის ჩხავერის ბუნებრივად შუშხუნა ღვინოები, რომელიც დგება გურიასა და აფხაზეთში. თუმცა ეს ღვინოები რამოდენიმეთი ორიგინალური და სასიამოვნოა, მაგრამ მათ არა აქვთ მუდმივი კონდიცია (წლიური კლიმატური პირობები გავლენას ახდენენ მათ თვისებაზე) და არატრანსპორტაბელურია, ამდენადვე მათ, არსებული ტექნოლოგიის პირობებში, განსაკუთრებული პერსპექტივები არა აქვთ. ამ უკანასკნელ დროს დადგენილია ჩხავერის შამპანური ტიპის მიხედვით მომზადების ტექნოლოგია, რაც უზრუნველყოფს ამ ღვინის პირველსაწყისი თვისებების შესანარჩუნებას. აფხაზეთის ჯიშებიდან კარგი ხარისხის ღვინოს იძლევა ავასირხვა (თეთრი) და განსაკუთრებით კაკიკი (წითელი).

ნათქვამიდან ჩანს, რომ საქართველოს მეღვინეობა მდიდარია მრავალნაირი ტიპის ღვინოებით, მათი ფართო ასორტიმენტით; ამასთან ერთად, თვითველი რაიონის ღვინოს თავისი სპეციფიკა აქვს.

საქართველოს ღვინოების მდიდარი ასორტიმენტის გამოვლინება, ცალკეული ტიპების ღვინოების სტანდარტისა და



ტექნოლოგიის დახუსტება და მეღვინეობის მრეწველობის დარაიონება შეადგენს ამ უკანასკნელი ორი-სამი ათწლეულის წლის საქმეს.

ამის გატარება შესაძლებელი გახდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იმის შედეგად, რომ მაგარ საფუძველზე დადგა მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, მეღვინეობის წვრილი, დაქუცმაცებული წარმოებანი და კოოპერატიული ამხანაგობანი გაერთიანებულ იქნენ მსხვილ, ძლიერ სახელმწიფო მეღვინეობის მრეწველობის ორგანიზაციებად.

სახელმწიფო მეღვინეობის მრეწველობა თავმოყრილია ორი ორგანიზაციის ხელში — საქართველოს სსრ-ის კვების მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებისა და ღვინის მრეწველობის ტრესტში (სამტრესტი) და საბჭოთა შამპანურის წარმოების საქართველოს კომბინატში (საქშამპანკომბინატი). გარდა ამ ორი მსხვილი ორგანიზაციისა, მეღვინეობას ეწევიან, შედარებით მცირედი მასშტაბით, ადგილობრივი მრეწველობის მეღვინეობის საწარმონი.

მეღვინეობის მრეწველობის სახელმწიფო ორგანიზაციები შეიარაღებული არიან საწარმოო საშუალებებით და მათ აქვთ საკმაოდ ფართო ქსელი ყურძნის დამზადებისა და გადამუშავების პუნქტებისა.

საქართველოს მეღვინეობის ორგანიზაციებს (სამტრესტი, საქშამპანკომბინატი) აქვთ მთელი რიგი მსხვილი საწარმოებისა, როგორცაა მაგალითად წინანდლის საბჭოთა მეურნეობის მარანი, სადაც ყურძნის გადამოშავებისა და ღვინომასალების დამუშავების ყველა პროცესები სრულად მექანიზებულია; გურჯაანის ღვინის ქარხანა, აგრეთვე მთლიანად მექანიზებული; საქშამპანკომბინატის ავჭალის შამპანური ღვინოების ქარხანა, 1950 წელში დამთავრებული და სავსებით მექანიზებული.

მეღვინეობის მრეწველობის დიდი საწარმოები აქვს აგრეთვე: სამტრესტს — ვარციხეში, ზესტაფონში, თბილისში; საქშამპანკომბინატს — ზესტაფონში, თბილისში და სხვა.

საქართველოს მეღვინეობის ორგანიზაციები ამუშავენ



ღვინოს როგორც საკუთარი მოსავლის ყურძნიდან (საბჭოთა მეურნეობების პროდუქცია), ისევე კოლმეურნეობებისა და კოლწევრებისაგან კონტრაქტაციით დამზადებულ (შესყიდულ) ყურძნისაგან. ეს დამზადება წლითიწლობით იზრდება: 1950 წლის ყურძნის დამზადება ორნახევარჯერ მეტია 1940 წელს დამზადებულ ყურძენზე და ორჯერ მეტი 1945 წლის დამზადებაზე.

მეღვინეობის საწარმოების მიერ გადამუშავებული საბჭოთა მეურნეობების ყურძნის მოსავალი ომამდე (1940 წ.) წლიურად 4 ათას ტონას შეადგენდა, ამჟამად კი 6 — 8 ათასს აღწევს.

მეღვინეობის მრეწველობის მზა პროდუქციის გამოშვება სამტრესტის მიერ ომის წინა წლებში წლიურად 1 — 1,2 მილიონ ღეკალიტრს შეადგენდა; ომის წლებში ღვინის გამოშვება შემცირდა მოსავლიანობისა და საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში ყურძნის დამზადების შემცირების გამო.

ომის შემდგომ წლებში პროდუქციის გამოშვება თანდათან მატულობს და ამჟამად იგი ომის წინა დონეს ბევრად აღემატება.

რაც შეეხება საქშამპანკომბინატის წარმოებას, აქაც ძირითადი პროდუქციის — შამპანური ღვინოების გამოშვება ომის წლებში რამოდენიმეთი შემცირდა, მაგრამ 1950 წელს ორჯერ გადააჭარბა ომის წინა დონეს.

საქშამპანკომბინატი უშვებს აგრეთვე, არა დიდი რაოდენობით, მშრალ, სამარკო ღვინოებს თავისი დამზადების ზონის ცალკეულ მიკრორაიონების ღვინომასალებიდან (ატენი, მეჯვრისხევი და სხვა). ამ ღვინოების წარმოება დაწყებულია 1945 წლიდან.

სახელმწიფო მეღვინეობის მრეწველობასთან ერთად თანდათან ვითარდება საკოლმეურნეო მეღვინეობა, რომელიც ამუშავებს თავისი ვენახების ყურძენს. ბევრი კოლმეურნეობის მარანი უკვე უშვებს მაღალხარისხოვან ღვინოს, რის გამოც მაღალი ჯილდოები მოიპოვეს.

ასე, მაგალითად, საუკეთესო ღვინისათვის გამართულ რესპუბლიკურ კონკურსზე, რომელიც მოაწყო 1946 წელს



ქ. თბილისში საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის მინისტრომ, მაღალი ხარისხის ღვინის წარმოებისათვის დაჯილდოებულ იქნენ პირველი პრემიით (10.000 მან. თვითუღი) შემდეგი კოლმეურნეობანი:

1. სიღნაღის რაიონის სოფ. ტიბაანის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა (თეთრი ღვინო).
 2. ყვარლის რაიონის სოფ. ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (წითელი ღვინო).
 3. ამბროლაურის რაიონის სოფ. ზვანჭკარის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ (ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინო).
- მეორე პრემია (5.000 მანეთი თვითუღი) მიიღო 6 კოლმეურნეობამ, მესამე პრემია (3.000 მანეთი თვითუღი) — 10 კოლმეურნეობამ.

ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ სახელმწიფო ორგანიზაციების გვერდით კოლმეურნეობებსაც აქვთ სრული შესაძლებლობანი გამოუშვან საკოლმეურნეო სამარკო ღვინოები.

V

მევენახეობა-მელვინეობის წარმოება საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში

მევენახეობა-მელვინეობის წარმოება, ისე როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დანარჩენ დარგებისა, წარმოდგენილია ძირითადად მსხვილი სოციალისტური საწარმოების სახით საბჭოთა მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო არტელებში (კოლმეურნეობებში). ეს ორი სექტორი მსხვილი სოციალისტური მეურნეობებისა თავისი შინაგანი ორგანიზაციის მხრივ სხვადასხვაგვარია.

განვიხილოთ მოკლედ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წარმოების ძირითადი მაჩვენებლები.

ა. საბჭოთა მეურნეობები

საქართველოში მევენახეობის 24 საბჭოთა მეურნეობაა, სადაც 2697 ჰექტარი ვაზის ნარგაობაა, საიდანაც ვენახი 2431 ჰექტარს შეადგენს და საძირე ვაზის სადედუ 216 ჰექტარს.



მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები რიცხობრივად უმეტესად უბლიკის ყველა საბჭოთა მეურნეობების 35% შეადგენენ.

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობანი ჩამოყალიბებულია ან ყოფილ საუფლისწულო მამულებისა და მემამულეთა მეურნეობების ბაზაზე (წინანდალი, ნაფარეული, მუკუზანი, კარდანახი, მუხრანი და სხვა) ანდა (უმეტესი მათგანი) შექმნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (ხირსა, ყვარელი, არგვეთა, დილომი, ბახვი და სხვა).

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები ოთხი სისტემისაა:

ა) საქართველოს შამპანური ღვინოების კომბინატი — საკავშირო ქვემდებარების ორგანიზაციაა — მასში გაერთიანებულია 6 საბჭოთა მეურნეობა;

ბ) მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებისა და მეღვინეობის მრეწველობის ტრესტი (სამტრესტი) — რესპუბლიკური ქვემდებარების ორგანიზაციაა — მასში გაერთიანებულია 15 საბჭოთა მეურნეობა;

გ) რაილმასკომების მეურნეობანი, რაიონული ქვემდებარების მეურნეობანი — 3 საბჭოთა მეურნეობით და დ) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომელსაც აქვს 1 სამოსწავლო მეურნეობა.

ცალკეულ მეურნეობებში ვენახებისა და სადედეების შემდეგი ფართობია (1951 წლის 1-ლი იანვრისათვის):

რიგ. №	რაიონებისა და საბჭოთა მეურნეობების დასახელება	ორგანიზაციების დასახელება	ფართობი-ჰა		
			ვენახების	საძირების სადედეების	სულ
I. კახეთი					
1	წინანდალი	სამტრესტი	396	2	398
2	ნაფარეული	"	166	—	166
3	მუკუზანი	"	190	56	246
4	კარდანახი	"	76	—	76
5	ყვარელი	"	194	—	194
6	ხირსა	"	367	11	378



რიგ. №№	რაიონებისა და საბ- კოთა მეურნეობების დასახელება	ორგანიზაციების დასახელება	ფართობი ჰა-ში		
			კენახებისა	საძირე ვე- ბის სადეკა- რებისა	სულ
7	მანავი	სამტრესტი	50	—	50
8	გურჯანი	ადგილობრივი მრეწ.	12	—	12
9	თელავი	"	95	—	95
10	სიღნაღი	"	41	—	41
II. ქვემო ქართლი					
1	ყულარი	სამტრესტი	159	—	159
2	გიაურარზი	"	78	86	164
3	ბოლნისი	სამტრესტი	171	—	171
4	დიღომი	"	97	—	97
III. ქართლი—სამ- ხრეთ ოსეთი					
1	აღიანი	შამპანკომბინატი	33	—	33
2	მუხრანი	სას. სამ. ინსტიტუტი	102	—	102
IV. მესხეთი					
1	აწყური	შამპანკომბინატი	35	—	35
V. იმერეთი					
1	ვარციხე	სამტრესტი	63	—	63
2	ვაზისუბანი	"	—	48	48
3	ვაკევი	შამპანკომბინატი	37	—	37
4	არგვეთა	"	49	—	49
5	თერჯოლა	"	27	—	27
VI. გურია-აჭარა					
1	ბაზვი	სამტრესტი	19	—	19
VII. სამეგრელო- აფხაზეთი					
1	ბომბორი	სამტრესტი	24	13	37
სულ			2481	216	2697



ვენახების ფართობის სიდიდის მიხედვით მეურნეობების შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

ვენახების ფართობით	ჯგუფში მეურნეობების რაოდენობა
50 ჰექტარამდე	10
50-დან 100 ჰექტარამდე	5
100-დან 150 ჰექტარამდე	1
150-დან 200 ჰექტარამდე	5
200-დან 250 ჰექტარამდე	1
250-დან 350 ჰექტარამდე	—
350-დან 400 ჰექტარამდე	2

მეურნეობათა უმეტესობას (15 მეურნეობას 24-დან) 100 ჰექტარზე ნაკლები ვენახის ფართობი აქვს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში მევენახეობის შრომის დიდ ტევადობასა და მის მაღალ შემოსავლიანობას, ეს მეურნეობები არ შეიძლება ჩაითვალოს პატარა მეურნეობებად.

ყველაზე მეტი ვენახის ნარგაობა წინანდლის საბჭოთა მეურნეობას აქვს — 398 ჰა და ხირსის საბჭოთა მეურნეობას — 378 ჰა; ეს მეურნეობები ამასთანავე წამყვანი მეურნეობებია მევენახეობა-მეღვინეობის მეურნეობებში და შეიარაღებულია წარმოების მაღალი ტექნიკით.

საძირე ვაზის სადედეები თავმოყრილია რამდენიმე მეურნეობაში. ძირითადი მათგანი, რომელთაც რესპუბლიკური მნიშვნელობა აქვთ, შემდეგი სადედეებია: გიაურარხის, მუკუნისა და ვაზისუბნის საბჭოთა მეურნეობები. აღნიშნული სადედეები საძირე მასალით — საძირე ლერწით ამარაგებენ საქართველოს მევენახეობის უმეტეს რაიონების კოლმეურნეობებს.

საბჭოთა მეურნეობების ვენახების ნარგაობის ჯიშობრივი შემადგენლობა სავსებით შეესაბამება რაიონებისათვის დადგენილ ასორტიმენტს. ძირითადი ჯიშებია: რქაწითელი, რომელსაც უკავია მთელი ფართობის 40%-მდე, საფერავი, დაახლოებით 20%-მდე. მწვანე, ცოლიკოური და საღვინე სხვა ჯიშები. სუფრის ყურძნის ჯიშებიდან გვხვდება ალექსანდრიის მუსკატი (გიაურარხის საბჭოთა მეურნეობა), განჯური (დილომის, გიაურარხისა და ხირსის საბჭოთა მეურნეობები), შასლა და სხვანი, რომელთა ფართობი 150 ჰექტარს აღწევს.



მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მეურნეობების ვენახების ფართობი შედარებით დიდი ხვედრითი წონის არაა, მათი მართვანიზებული როლი საქართველოს მევენახეობაში ფრიად დიდია.

ეს საბჭოთა მეურნეობები წარმოადგენენ მაღალი აგროტექნიკის ნიმუშებს; მათ მიერ ჩაყრილია ვენახების აღდგენის საფუძველი ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეების ბაზის შექმნითა და ნამყენის სანერგეების მოწყობით.

კოლმეურნეობებს სარგავი მასალით დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ საბჭოთა მეურნეობები ამარაგებდნენ, რომლებიც ყოველწლიურად 3 — 5 მილიონ ნამყენს აკეთებდნენ; 1936 წლიდან კი მყნობის საქმემ განვითარება იწყო კოლმეურნეობებშიც.

საკოლმეურნეო გლეხობამ საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის დროს აითვისა ვენახების მოვლის აგროტექნიკა, მყნობის საქმე და ეს ცოდნა თავის მეურნეობებში გადაიტანა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე კურსების მოწყობა მუშების მოსამზადებლად მთელ რიგ საპასუხისმგებლო სამუშაოების დარგში (სხვა, მწვანე ოპერაციები, ნიადაგის დამუშავება, წამლობა, მყნობა და სხვა).

ამას გარდა, საბჭოთა მეურნეობებში აღდგენილ იქნა უწინ საკმაოდ გავრცელებული მაღალი ხარისხით ცნობილი, მაგრამ შემდეგში თითქმის მოსპობილი ჯიშები, უმთავრესად ფილოქსერისა და სოკოვან ავადმყოფობისაგან; ასეთი ჯიშებია: მწვანე, ხიხვი, ჩხავერი და სხვა.

აგროტექნიკა საბჭოთა მეურნეობებში მაღალ დონეზე დგას: ყველაზე საპასუხისმგებლო ოპერაციები, როგორცაა სხვა, მწვანე ოპერაციები, ბრძოლა მავნებლებთან და სხვა, ყველაზე უფრო მეტი კვალიფიცირებული, ამ საქმეში დახელოვნებული მუშების მიერ სწარმოებს. ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულ ახალ საბჭოთა მეურნეობებში (ხირსა, ყვარელი და სხვა) და აგრეთვე წინა დროის საბჭოთა მეურნეობის ახალ აგროუბნებზე, სადაც რიგებშორის 2 მეტრია, ხვნი, კულტივაცია და ვენახების წამლობა სავსებით მექანიზებულია.



ყველა ეს სამუშაოები ტარდება მშობლიური წარმოების მევენახეობის სპეციალური ტრაქტორებით „კიროვეცი-33“.

უკანასკნელ წლებში, იმ საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ვენახების ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მასივებია (წინანდალი, ნაფარეული, ყვარელი, ხირსა, ყულარი) გოგირდის შეფრქვევისა და შაბიამნის ხსნარის შესხურებაში თვითმფრინავებია გამოყენებული.

ავიამეთოდით ბრძოლას ვაზის მავნებლების წინააღმდეგ, არა თუ ხელით მუშაობასთან შედარებით, არამედ ტრაქტორით დამუშავებასთანაც, გარდა სიიფისა და მუშახელის ეკონომიისა, რაც დიდად მნიშვნელოვანია, ის უპირატესობა აქვს, რომ სამუშაოები მეტად ხანმოკლე ვადაში სრულდება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საბჭოთა მეურნეობების ვენახების მოსავლიანობა მნიშვნელოვნად მერყეობს წლების მიხედვით; ასე, მაგალითად, 1936 წლიდან საშუალოდ ყველა საბჭოთა მეურნეობების მოსავლიანობა შეადგენდა (ერთი ჰექტარიდან ცენტნერებში):

1936 წ.	— 25	ცენტ.
1937 წ.	— 30	„
1938 წ.	— 32	„
1939 წ.	— 45	„
1940 წ.	— 45	„
1941 წ.	— 56	„
1942 წ.	— 49	„
1943 წ.	— 42	„
1944 წ.	— 22	„
1945 წ.	— 29	„
1946 წ.	— 29	„
1947 წ.	— 26	„
1948 წ.	— 43	„
1949 წ.	— 54	„
1950 წ.	— 32	„
1951 წ.	— 49	„
1952 წ.	— 54	„

დაბალი მოსავლიანობა საერთოდ და წლების მიხედვით, და მისი მნიშვნელოვანი მერყეობა შემდეგი გარემოებებით აიხსნება: 1936 წლამდე მევენახეობას ჯეროვანი ყურადღება



არ ექცეოდა, ვენახებს არა ჰქონდა სათანადო მოვლა, სახეობები
 ან სულ არ შეჰქონდათ, ან და მცირე რაოდენობით; ამის გამო
 ვენახები არაღამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო და დაბა-
 ლი მოსავლიანობითაც ხასიათდებოდნენ. 1936 წლიდან, საკავ-
 შირო სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომი-
 ტეტის ისტორიული დადგენილების შემდეგ „საქართველოს
 სსრ-ში მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვი-
 თარების შესახებ“, მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა.

ვენახების მოვლა გაუმჯობესდა: სისტემატურად შედიო-
 და ორგანიული სასუქი, შემოვიდა მინერალური სასუქების
 გამოყენება, საბჭოთა მეურნეობებში შევიდა წარმოების ახა-
 ლი საშუალებანი და ა. შ. ყველა ამან 1938 წლიდან სათანა-
 დო ეფექტი გამოიღო: მოსავლიანობა გაიზარდა და მაქსიმა-
 ლური მოსავალი — ჰექტარიდან საშუალოდ 56 ცენტნერი მი-
 ლებულ იქნა 1941 წელს.

ომის წლებში — 1942 — 1945წ. წ., მუშახელისა და გამწვევი
 ძალის ნაკლებობის გამო, მდგომარეობა კვლავ გაუარესდა
 და მოსავლიანობამ თანდათან დაცემა იწყო.

უკანასკნელ წლებში კი, მიუხედავად იმისა, რომ ვენახე-
 ბის მოვლა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მოსავლიანობა
 ერთბაშად არ გაზრდილა. 1946—1947 წლებში გატარებულმა
 ღონისძიებებმა გააუმჯობესა ვენახების მდგომარეობა, სათა-
 ნადო ეფექტმა მომდევნო წლებში იჩინა თავი და 1949 წელს
 მოსავლიანობა ჰექტარზე 54 ცენტნერამდე ავიდა და რამო-
 დენიმედ დაეცა 1950 წელს, არახელსაყრელი კლიმატური
 პირობების გამო, შემდეგ წლებში ისევ აიწია 49—54 ცენ-
 ტნერამდე.

ცალკეული საბჭოთა მეურნეობების მოსავლიანობა აგრე-
 თვე დიდ მერყეობას განიცდის და დამოკიდებულია ვენახე-
 ბის მოვლასა, წლის კლიმატურ პირობებსა, ნარგაობის ასაკსა
 და ვენახების საერთო მდგომარეობაზე.

ასე, მაგალითად, 1949 წელს (უკანასკნელი 9 წლის პე-
 რიოდში უმაღლესი მოსავლიანობის წელში) ყულარის საბ-
 ჭოთა მეურნეობაში საშუალო მოსავალი ჰექტარიდან 85,8
 ცენტნერს შეადგენდა, წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში



69,9 ცენტ., გიაურარხისაში 57,2 ცენტნერს, კარდანახში 52,1 ცენტნერს და ა. შ.

საბჭოთა მეურნეობებში ბლომადაა სტახანოველი, მაღალი მოსავლის ოსტატები: 1949 წელს წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში ჰექტარიდან 69,9 ცენტნერის მოსავლიანობის პირობებში საერთოდ მეურნეობაში, მერგოლურმა ზაქარია გიორგელაშვილმა ჰექტარიდან 106 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ბრიგადირმა რევაზ სავანელმა 89,6 ცენტ., იოსებ გაგნიძემ 74,4 ცენტნერი და ა. შ.

მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში მეურნეობის 44,4 ცენტნერი მოსავლის პირობებში, მერგოლურმა გაბრიელ მუჩოშვილმა 125 ცენტნერი მიიღო.

ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობაში, მეურნეობის საშუალოდ 55,5 ცენტნერ მოსავლიანობისას, მერგოლურმა გიორგი გურგენიშვილმა 103 ცენტნერი ყურძენი მიიღო ჰექტარზე და ა. შ.

საბჭოთა მეურნეობების პროდუქცია თითქმის მთლიანად ღვინოდ მუშავდება, გარდა დილომისა და გიაურარხის საბჭოთა მეურნეობებისა, სადაც სუფრის ყურძნის ჯიშები ქარბობს, ნაწილობრივ ხირსის საბჭოთა მეურნეობისა (განჯურის ჯიშის ნარგაობა) და ყულარის საბჭოთა მეურნეობისა, სადაც თუმცა რქაწითელი სქარბობს, მაგრამ მეურნეობის თბილისთან ახლო მდებარეობის გამო, მისი პროდუქცია ყურძნის სახით ქალ. თბილისის მოსახლეობას ხმარდება.

გარდა საკუთარი მოსავლისა, საბჭოთა მეურნეობები ამუშავებენ აგრეთვე გლეხურ-საკოლმეურნეო სექტორში (კოლმეურნეობები, კოლწევრები) დამზადებულ ყურძენს, გარდა ყულარისა და გიაურარხის საბჭოთა მეურნეობებისა, რადგან მათი ადგილმდებარეობის რაიონში ყურძნის დამზადება არა სწარმოებს.

სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებში მონოკულტურას ადგილი არა აქვს; ყველა ჩამოთვლილი მეურნეობანი, მევენახეობასთან ერთად, მისდევენ აგრეთვე მეხილეობას, მებოსტნეობას, მარცვლეული და საკვები კულტურების წარმოე-



ბას; აქვთ აგრეთვე მეცხოველეობის ფერმები — მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, მეცხვარეობისა და მელორეობისა; აქვთ აგრეთვე ხელოვნური ტყის ნარგაობანი (აკაცია) სარის მასალის მისაღებად და ა. შ.

საბჭოთა მეურნეობების პროდუქტიულობისა და აქედან შემოსავლიანობის ზრდას ხელს უწყობს სამუშაოების სწორი ორგანიზაცია.

საბჭოთა მეურნეობების მთელი მევენახეობის მეურნეობა იყოფა აგროსაწარმოო უბნებად, თვითეულ უბანზე 50—60 ჰექტარი ვენახით. ამ უბნების აგრომომსახურებას ეწევიან უბნის აგრონომები, რომელთა განკარგულებაში ორ-ორი საწარმოო ბრიგადაა, თითოში 20—30 მუშის რაოდენობით.

თვითეულ ბრიგადაზე მიმაგრებულია აგროუბნის ვენახების ნახევარი ფართობი (დაახლოებით 25 — 30 ჰა). თვითეულ მუშაზე ასევე მიმაგრებულია ნაკვეთები დაახლოებით 1 ჰექტარი. ბრიგადაზეა მიმაგრებული აგრეთვე წარმოების ძირითადი საშუალებანი.

შრომა საბჭოთა მეურნეობაში იმგვარადაა ორგანიზებული, რომ ბრიგადამ მთლიანად და თვითეულმა მუშამ წინასწარ იციან თუ სად იმუშაონ, რაში არიან პასუხისმგებელნი და რას მიიღებენ შრომაში. შრომის ორგანიზაციის ამგვარი წესი აღიდეგს მუშის დაინტერესებას და ხელს უწყობს მოსავლიანობის ზრდას, მით უფრო, რომ თანახმად დადგენილი წესისა, მუშები და ბრიგადირები ფულად პრემიას იღებენ მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს. პრემიებს იღებს აგრეთვე აგროპერსონალი და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები.

ბ. კოლმეურნეობები

საკოლმეურნეო სექტორი საქართველოს მევენახეობაში საკმაოდ ძლიერია. 1947 წლის ვენახების აღწერით კოლმეურნეობებში ირიცხებოდა 17.980 ჰექტარი ვენახი, ანუ რესპუბლიკის მთელი ვენახების ფართობის 37%; ამჟამად ვენახების



ფართობი გაზრდილია 26160 ჰექტარამდე და მთელი მშენებლობის ფართობის 46,4 %-ს შეადგენს.

ამგვარად საკოლმეურნეო მევენახეობის ხვედრითი წონა თანდათან მნიშვნელოვნად იზრდება.

აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა ახალი ვენახების მთლიან მასივებზე გაშენების გზით მიმდინარეობს, სადაც უბნები სწორადაა დაგეგმილი და დაცულია მათი მექანიზებული დამუშავებისათვის საჭირო პირობები.

უკანასკნელ დრომდე კოლმეურნეობებს არა ჰქონდათ საკუთარი ბაზა სარგავი მასალის წარმოებისათვის; კოლმეურნეობანი მზა მასალას (ნამყენს) საბჭოთა მეურნეობისაგან იღებდნენ. მაგრამ რამდენადაც დიდდებოდა ვენახების გაშენების გეგმები, იმდენად კოლმეურნეობებმა თვითონ აითვისეს მყნობის საქმე და უკვე 1939 წლიდან მთელი საჭირო სარგავი მასალა თვითონვე გამოჰყავთ.

ახალი ვენახების გაშენება კოლმეურნეობებში, როგორც წესი, სპეციალური კომისიების მიერ გამოყოფილ ნაკვეთებზე სწარმოებს.

ვენახების გაშენებისათვის კოლმეურნეობები იღებენ ნიადაგის ნიმუშებს ვენახებისათვის განკუთვნილ ნაკვეთებიდან იმის გამოსარკვევად, თუ კირის რა რაოდენობას შეიცავენ ნიადაგები და რა საძირე ვაზი შეესაბამება ამ ნიადაგებს, რასაც ადგენს მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ქალ. თელავი) ან ინსტიტუტის საცდელი სადგური (სოფ. საქარა).

საცდელი დაწესებულებების მითითებათა მიხედვით კოლმეურნეობანი აწარმოებენ ნამყენის დამზადებას ნაკვეთების ნიადაგების შესაბამის საძირეზე.

თვითონ ნამყენი ვაზის ჯიშის არჩევისას კოლმეურნეობები მტკიცედ იცავენ რაიონისათვის დადგენილ ვაზთა სამრეწველო ჯიშობრივ ასორტიმენტს.

ყოველწლიურად კოლმეურნეობები აშენებენ 2 — 3 ათას ჰექტარ ახალ ვენახს.



ახალი ვენახების გაშენება სწარმოებს, როგორც სამრეწველო მევენახეობის რაიონებში (კახეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სხვა), ისე ისეთ რაიონებშიც, სადაც ძირითად დარგებად სხვა კულტურებია მიჩნეული, როგორც ჩაი, ციტრუსები და სხვა.

საკოლმეურნეო მევენახეობა თავისი მიმართულებით ძირითადად მეღვინეობის ხასიათისაა; ამასთან, ყურძნის ნაწილს, დაახლოებით 50 %-ს, კოლმეურნეობები სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციებს აბარებენ, რომლებიც მას ღვინოდ ამუშავებენ, ნაწილს კი თვითონ კოლმეურნეობები ღვინოდვე ამუშავებენ. ყოველ რაიონში მოსავლის უმნიშვნელო ნაწილი პირდაპირ ყურძნად მოიხმარება და მუშავდება სხვადასხვა ჯალკოპოლო პროდუქტებად — ჩურჩხელა, ბექმეზი და სხვა.

საგარეუბნო რაიონების (ქალ. თბილისი) ზოგიერთ კოლმეურნეობებში და აგარაკების ზონის (აფხაზეთი) კოლმეურნეობებში ამ ბოლო დროს სუფრის ყურძნის ჯიშებს რგავენ ქალაქებისა და აგარაკების მოსახლეობის ყურძნით მომარაგების მიზნით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სუფრის ყურძნის ჯიშების ვენახების გაშენება კოლმეურნეობებში გაცილებით ჩამორჩება საქართველოს მევენახეობის განვითარების საერთო ტემპს.

მევენახეობის კოლმეურნეობებში, მევენახეობასთან ერთად, სხვადასხვა ოდენობით განვითარებულია სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც, როგორც მარცვლეული კულტურების წარმოება, რომელიც დიდად მნიშვნელოვანია ყველა რაიონებში, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა და სხვა. ყოველი ასეთი დარგი მევენახეობის მთავარ რაიონებში უკავშირდება ძირითად დარგს — მევენახეობას.

ვენახები კოლმეურნეობებში ძირითადად უზრუნველყოფილია სათანადო მოვლით; ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მევენახეობის ყველა კოლმეურნეობაში გამოყოფილია მევენახეობის სპეციალური ბრიგადები და რკოლები; ზოგიერთებში ცალკე ნაკვეთებიც კია მიმარგებული კოლწევრებს, რაც შრომის სანარდო და პრემიალური სისტემის პირობებში



დიდად ზრდის მევენახეობის დარგში მომუშავე კოლმეურნეობაში დაინტერესებას.

საკოლმეურნეო მევენახეობის სუსტ მხარეს ვენახების მექანიზებული წესით დამუშავებისა და მოვლის საქმის შეუფასებლობა წარმოადგენს. ამ უკანასკნელ დრომდე მექანიზებული იყო მხოლოდ ვენახების დარგვის წინ ნიადაგის მომზადება (პლანტაჟი). ამ საკმაოდ რთულ და განსაკუთრებით კი მძიმე ოპერაციას, რომელიც ხელით შესრულებისას ჰექტარზე, ნიადაგის თვისებების მიხედვით, 300—500 კაცდღეს მოითხოვს, ამჟამად ერთი ძალოვანი ტრაქტორი C 80 ასრულებს თავისი სპეციალური საპლანტაჟე გუთნით.

დარგვის წინ ნიადაგის მექანიზებული წესით მომზადება დღეს საქართველოში ყველგან სწარმოებს, სადაც იგი შესაძლებელია ადგილის რელიეფის მიხედვით.

1949 წლიდან ძირითადი მევენახეობის რაიონების სამანქანო-სატრაქტორო სადგურები იღებენ ვიწროჰაბარითიან ტრაქტორებს — კიროვეცი-35, რაც ბევრ კოლმეურნეობაში ვენახების რიგებს შორის მექანიზებული დამუშავების შესაძლებლობას ქმნის.

კოლმეურნეობების ვენახების მოსავლიანობა მაღალი არაა და მერყეობს 30—35 ცენტნერამდე.

საშუალო მოსავლიანობას მევენახეობის მეორეხარისხოვანი რაიონები სწევენ ძირს; მევენახეობის ძირითად რაიონებში (კახეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სხვა) მოსავლიანობა შედარებით მაღალია და 40—45 ცენტნერს შეადგენს. ცალკეული კოლმეურნეობების მოსავლიანობა კი ამაზე გაცილებით დიდია.

კოლმეურნეობებში ცოტა არაა მაღალი მოსავლის ოსტატი, რომლებსაც თავიანთი განსაკუთრებული მუშაობის მეთოდები აქვთ, რაც გამომუშავებულია ადგილობრივი პირობების შესწავლისა და პრაქტიკული დაკვირვების შედეგად.

ასე, მაგალითად, თელავის რაიონის (კახეთი) სოფ. აკურას კოლმეურნეობა „წინსვლაში“, სოციალისტური შრომის გმირი, კოლმეურნე გაბრიელ ვასილის ძე ჭურღულაშვილის მიერ მის რგოლზე მიმაგრებულა 9,2 ჰექტარ ურწყავი ვენახიდან სამი



უკანასკნელი წლის განმავლობაში მიღებულია ჰექტარიდან საშუალოდ 100 ცენტნერი ყურძენი. გარდა კარგი მოვლისა, რაც ყველა აგროლონისძიებათა დროულად და ხარისხიანად შესრულებაში გამოიხატება, ჭურღულაშვილმა მაღალ მოსავალს მიაღწია მით, რომ ნიადაგი განსაკუთრებული ბეჯითობით და თავისებური წესით დაამუშავა. გმირი ჭურღულაშვილი ნიადაგის დამუშავებას იწყებს ყურძნის მოკრეფის დამთავრებიდანვე, ნიადაგის ღრმად (20 — 25 სანტ.) გადაბარვით რიგებში — 50 სანტ. სიღართის ზოლზე. ამ ოპერაციის ჩატარების დროს იგი ვაზს მჭრელი დანით აცილებს ყველა ფესვებს, რომლებიც ხვდება დამუშავების სიღრმეზე. ამ უკანასკნელ ოპერაციას იმ მიზნით ატარებს, რომ გამოიწვიოს ვაზის ფესვის მეტ სიღრმეზე განვითარება, რაც მეტად მნიშვნელოვანია მცირენალექიანი ადგილის პირობებში. რიგების გადაბარვის შემდეგ ატარებს რიგებს შორის ნალარად ხვნას, რომლის დროსაც ვაზების ძირებს მიწა ბლომად შემოეყრება. ამით იგი ვაზებს იცავს ზამთრის ყინვებისაგან, მეორე მხრივ კი, — რიგებს შორის ნალარებში თოვლი დიდხანს ჩერდება, რაც ხელს უწყობს წყალის ღრმად ნიადაგში გაჟონვას.

გაზაფხულზე, გმირი ჭურღულაშვილი, რიგებს შუა ნახურ-გად გადახნავს და მიწის ზედაპირს კულტივატორით ასწორებს; შემდეგში იგი ნიადაგს სულ ფხვიერ მდგომარეობაში ინახავს, რათა უზრუნველყოს ნიადაგიდან ტენის აორთქლების მინიმუმამდე დაყვანა.

სოციალისტური შრომის გმირები ვალერიან ბიჭიას ძე ტალახაძე და ირადიონ ბიჭიას ძე კალანდაძე, ზესტაფონის რაიონის (იმერეთი) სოფ. დიდი განთიადის „ხოზე დიასის“ სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირები მაღალ მოსავალს (80—90 ცენტნერი ჰექტარიდან ურწყავ ვენახებში) იღებენ და სოციალისტური შრომის გმირობის საპატიო წოდება მით დაიმსახურეს, რომ სისტემატურად იყენებენ ორგანულსა და მინერალურ სასუქებს. მაგრამ მათი მუშაობის განსაკუთრებული ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ სასუქები მათ შეაქვთ 35 — 40 სანტიმეტრის სიღრმეზე სპეციალურ კვლებში, რითაც სასუ-



ქებს ვაზის ფესვებს უახლოვებენ და ხელს უწყობენ ათვისებას. გარდა „მშრალი“ სასუქისა, ტალახაძე და კალანდაძე იყენებენ აგრეთვე ნაკელის წუნწუხს მასში აზოტოვანი მინერალური სასუქის შერევით, რაც დიდად ზრდის წუნწუხის ეფექტიანობას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზის მსხმოიარე რქებითა და კვირტებით სწორად დატვირთვას.

საქართველოში, ამ ბოლო დრომდე, ვენახების ჯმეტესობა ისხვლებოდა ერთმხრივი და ორმხრივი შპალერის წესით, მაშინ როდესაც ბევრია ისეთი რაიონები და მიკრორაიონები, სადაც ადგილის პირობების მიხედვით, მაღალი აგროტექნიკის გამოყენების პირობებში შესაძლებელია ვაზის დატვირთვის შესამჩნევად გადიდება.

ბევრმა კოლმეურნეობამ და ცალკეულმა კოლწევრმა გაითვალისწინა ეს გარემოება და შემოიღო ვაზის გასხვლა მეტი დატვირთვით, რითაც მაღალ მოსავალს მიაღწია.

ერთ-ერთ მაგალითს მაიაკოვსკის რაიონის (იმერეთი) სოფ. მაიაკოვსკის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, მიტროფანე ალექსანდრეს-ძე ებანოძე წარმოადგენს. ამხ. ებანოძის ბრიგადაში 13,5 ჰექტარი ვენახია. დაიწყო რა მუშაობა კოლმეურნეობაში ბრიგადირად 1945 წელს, მან დაწვრილებით შეისწავლა ცალკეული ნაკვეთები და დასახა მოსავლიანობის ზრდის ახალი ღონისძიებანი მათი მდგომარეობის შესაბამისად.

გარდა ვენახის მოვლის გაუმჯობესებისა საერთოდ, განსაკუთრებული ყურადღება მან ვაზის გასხვლასა და მის დატვირთვას მიაქცია. შეუდგა რა მუშაობას, როგორც ბრიგადირი, მან პირველ წელსვე მიჰყო ხელი თავისი ბრიგადის ვენახების დატვირთვის თანდათან გადიდებას; თავისი მუშაობის მეოთხე წელს 6 ჰექტარ ძლიერ ვენახში, 3 კვადრატული მეტრის კვების არეთი, შემოიღო ვაზის გასხვლა 10 — 12 მსხმოიარე რქაზე და რამოდენიმე ნეკის დატოვებით ვაზი 90 — 100 კვირტით დატვირთა; 4 ჰექტარი მან გასხვლა 4 — 5 რქასა და 2 —



3 ნექზე 30 — 40 კვირტით; დანარჩენი 3,5 ჰექტარი, რაც მხოლოდ იყო განვითარებული, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებამდე მან გასხლა 1 — 2 სანაყოფე რქის დატოვებით.

გარდა იმისა, რომ ვენახის მთელი ფართობი მან გაჰყო რამოდენიმე ცალკე ჯგუფად გასხვლის წესისა და დატვირთვის ოდენობის მიხედვით, თვითეული ვაზის ძირს იგი ინდივიდუალურად უდგებოდა და, მაგალითად, როცა ერთ ვაზს 10 რქას უტოვებდა, მის მეზობელ ვაზს საჭიროების მიხედვით 2 — 3 რქაზე სხლავდა.

ასეთი მუშაობით გმირმა ებანოიძემ მიაღწია მოსავლიანობის ზრდას 46 ცენტნერიდან, რასაც იგი იღებდა საშუალოდ ჰექტარზე ომისწინა წლებში, 104 ცენტნერამდე უკანასკნელ სამ წელს.

ამგვარივე მეთოდებით, ვაზის დატვირთვის გაზრდით, მაღალი აგროტექნიკის გამოყენების პირობებში, მოსავლიანობის მნიშვნელოვნად ზრდას მიაღწია მევენახეობაში ბევრმა მოწინავემ: სამტრედიის მუკუშნის საბჭოთა მეურნეობის სოციალისტური შრომის გმირმა ვასილ გეთიაშვილმა უკანასკნელ წლებში ჰექტარზე 140 — 130 ცენტნერი მიიღო; ვიქტორ სიმონის ძე უგრეხელიძემ, სოციალისტური შრომის გმირმა, ცაგერის რაიონის (რაჭა-ლეჩხუმი) სოფ. ოყურეშის, კოლმეურნეობა „წინსვლას“ ბრიგადირმა, უკანასკნელ წლებში 100 — 120 ცენტნერი მიიღო; არჩილ მიხეილის ძე მაისურაძემ, სოციალისტური შრომის გმირმა, გურჯაანის რაიონის (ყახეთი) სოფ. ველისციხის, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა და ა. შ.

საქართველოს მევენახეობის მოწინავეების კარგი მუშაობის ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომლებმაც ვენახების მაღალ მოსავალს მიაღწიეს, მაგრამ საკმარისია აღინიშნოს, რომ მუშაობის თანდათანობითი გაუმჯობესებით მუშაკების სულ მეტი და მეტი რაოდენობა იმსახურებს სოციალისტური შრომის გმირის წოდებას, რომელთა რიცხვი ტერიტორიულად პატარა საქართველოში ყოველწლიურად 80 — 100 კაცს აღწევს.

მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა მევენახეობას და მეღვინეობაში

საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში მეცნიერულ-კვლევით მუშაობას გასული საუკუნის 90-იან წლებიდან ჩაეყარა საფუძველი.

დასავლეთ საქართველოში ფილოქსერის გამოჩენას და მასთან ბრძოლის მეთოდად გოგირდოვანი ნახშირბადის ინსექტისიდად მიჩნევის გამო, წამოყენებულ იქნა საკითხი ამ პრეპარატის მუდმივი ბაზა-საწყობის ჩამოყალიბების შესახებ. ასეთი ბაზის ადგილად მიჩნეულ იქნა სახელმწიფო უწყების პატარა ნაკვეთი შორაპნის მაზრის (ზესტაფონის რაიონი) სოფელ საქარაში.

ფილოქსერის კომიტეტის ექსპერტის აგრონომ ვლ. ალ. სტაროსელსკის შრომის შედეგად ეს ბაზა მცირე ხანში ამერიკული ვაზის სადედედ გადაკეთდა.

დიდ პრაქტიკულ ხასიათის საქმიანობასთან ერთად, აქ დიდი კვლევითი მუშაობაც მიმდინარეობდა ფილოქსერაგამძლე პიბრიდების გამოსაყვანად, ადგილობრივი ვაზის ჯიშებისა და მათთვის შესაფერი ნიადაგების შესასწავლად და საძირე ჯიშების შესარჩევად. თუმცა მიწათმოქმედების სამინისტროსა და სახელმწიფო მამულების ოფიციალური ცნობებით საქარა ამერიკული ვაზის სადედედ იყო ცნობილი მხოლოდ, მაგრამ სადედეს მუშაკების ენტუზიაზმისა და დიდი ერუდიციის წყალობით მან სახელოვნად შეასრულა საცდელი სადგურის ფუნქციები მევენახეობასა და მეღვინეობაში.

ვ. ა. სტაროსელსკის მიერ საქარაში დაწყებული საქმე, თუმცა გრძელდებოდა, მაგრამ მცირე მასშტაბით და მხოლოდ პირველი იმპერიალისტური ომის წინა წლებში ნაწილობრივ გამოცოცხლდა. გამწვავებული ომის წლებში მუშაობა კვლავ შეიკვეცა, კვლევითი მუშაობა კი მივიწყებას მიეცა.

1919 წელს იყო ცდა მუშაობის გამოცოცხლებისა და ამ მიზნით ამერიკული ვაზის საქარის სადედე ოფიციალურად ცნობილ იქნა მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელ სად-



გურად. სადგურის მიერ დაკავებული მიწა გაფართოვდა, მაკუ
 რამ მუშაობის გაშლა ამ პერიოდში შეუძლებელი გახდა!

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სადგური
 მომაგრდა საშუალებებით, მუშაკების შტატით და მუშაობა
 ჩაიდა ნორმალურ კალაპოტში.

პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიკური ბატონობის
 წლებში ფილოქსერამ კახეთის ვენახები გაანადგურა. კახეთი-
 დან საქარის სადგური დიდი მანძილითაა დაშორებული, კახე-
 თის მევენახეობის ყოველდღიური მომსახურება მას არ
 შეეძლო, რის გამოც დაისვა საკითხი კახეთში საცდელი სად-
 გურის დაარსების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და კომუ-
 ნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშე-
 წონილად სცნეს მევენახეობაში საცდელ-სამეცნიერო საქმის
 გაფართოება და დაადგინეს მისი განხორციელება.

კახეთის მევენახეობის საცდელ სადგურს საფუძველი
 ჩაეყარა 1922 წელს; იგი დაარსდა კახეთის ცენტრში—გურ-
 ჯაანის რაიონის სოფ. ურიათუბანში (ამჟამად ვაზისუბანი).

საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის ორივე სადგური
 მუშაობდა ძირითადად ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავ-
 შირებული იყვნენ ვაზის აგროტექნიკასა და ვენახების აღდ-
 გენასთან ფილოქსერაგამძლე საძირეზე — კერძოდ, ადაბტა-
 ციის საკითხებზე, და ამასთან დაკავშირებით ნიადაგების შეს-
 წავლაზე. მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა ჩატარებული ვა-
 ზის დაავადებათა და მავნებლების შესასწავლად, ენოქიმიასა
 და მიკრობიოლოგიაში და სხვა.

1929 წელს დაარსებულ იქნა მევენახეობისა და მელვინე-
 ობის მეცნიერულ-კვლევითი სრულიად საკავშირო ინსტიტუ-
 ტი. ინსტიტუტი ითვლებოდა ლენინის სახელობის სრულიად
 საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში და მოწოდე-
 ბული იყო დაემუშაებინა საცდელი საქმის მეთოდთა მევენ-
 ნახეობისა და მელვინეობის დარგში და აგრეთვე დახმარება
 გაეწია საბჭოთა კავშირის მევენახეობა-მელვინეობის საცდელ
 სადგურებისათვის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის დარგში;

ამავე დროს მას უნდა შეესრულებინა აღმოსავლეთ საქართველოს ზონალური საცდელი სადგურის ფუნქციები.

ინსტიტუტის მუშაკების შტატი დაკომპლექტებულ იქნა კვალიფიციური თანამშრომლებით, საბჭოთა კავშირის მევენახეობა-მელვინეობის სხვადასხვა რაიონებიდან და მუშაობა 1930 წელს დაიწყო.

თავდაპირველად ინსტიტუტი თბილისში მოეწყო, მაგრამ სადირექტივო ორგანოების მიერ ცნობილ იქნა მიზანშეწონილად ინსტიტუტის წარმოებასთან მიახლოება და ამ მიზნით ინსტიტუტი გადატანილ იქნა კახეთში, ქალ. თელავიდან სამი კილომეტრის დაშორებით, რკინიგზის სადგურის ახლო, სადაც ხელთ იყო პირველ ხანებში საჭირო შესაფერი ნაგებობანი და მიწის ნაკვეთები.

დაჩქარებით იყო მოწყობილი ლაბორატორიები — ენოქიმიური, მიკრობიოლოგიური, ნიადაგების შესწავლისა და მცენარეთა დაცვისა, ჟალკოპოლო სასმელების წარმოებისა, აგრომეტეოროლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიბლიოთეკა, სარდაფის მეურნეობა და სხვა; საფუძველი ჩაეყარა მდიდარი ამპელოგრაფიის კოლექციას (900 ჯიშამდე), მოეწყო გეოგრაფიული ნარგაობანი, ვაზის ფორმირების, ჯიშების კლონების, მეთოდური ნაკვეთები და სხვა.

გარდა საბჭოთა კავშირის მეცნიერულ-კვლევით დაწესებულებათა მეთოდური ხელმძღვანელობისა, მევენახეობა-მელვინეობის საკავშირო ინსტიტუტის მიერ შესრულებულ ძირითად სამუშაოებიდან აღსანიშნავია: სამუშაოები საბჭოთა კავშირის დარაიონებაზე მევენახეობის პროდუქციის წარმოების მიმართულების მიხედვით, მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაში ვენახების დიდი მასივების ტერიტორიის ორგანიზაციის საკითხები, შრომის ორგანიზაციის საკითხები მევენახეობაში; შედგენილ იქნა საკავშირო რაიონული სტანდარტული ასორტიმენტი, რაც შემდეგში რამოდენიმედ დაზუსტებულ იქნა; დამუშავებულ იქნა ამპელოგრაფიულ აღწერილობათა მეთოდოლოგია, გაიშალა სამუშაოები კლონური სელექციისა და ჰიბრიდიზაციაში, ჩატარებულ იქნა საქართველოს ადგილობრივი ვაზის ჯიშების ინვენტარიზაცია და მთელი შეგრო-



ვილი მასალა (250 ჯიშამდე) თავმოყრილ იქნა ინსტიტუტის ამპელოგრაფიულ კოლექციაში; გამოვლინებულ იქნა მრავალფეროვნების ეფექტიანობა წამყვანი კახური ღვინის ჯიშებზე; ფართოდ მუშავდებოდა საკითხები ნამყენის წარმოების გაუმჯობესების შესახებ, ვენახების სიდერაციაზე, დარგვის წინ ნიადაგების დამუშავების სიღრმეზე, მევენახეობაში სასუქების გამოყენებაზე; დადგენილ იქნა კახური ვაზის ჯიშების შედარებითი გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა წინააღმდეგ. ენოქიმიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში ფართო სამუშაოები იქნა ჩატარებული კახური ტიპის ღვინოების ანალიზებზე, ალკოჰოლიანი დუდილის პროდუქტებს შორის კორელაციის შესასწავლად, გლიცერინის განსაზღვრის მეთოდის კახზე, გოგირდის სიმქავის წონითი განსაზღვრის მეთოდზე; დადგენილ იქნა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ღვინოების დაუდულრად დარჩენის მიზეზები, სელექციაქმნილ იყო სიცივისგამძლე საფუვრები, შესწავლილ იქნა ღვინის ავადმყოფობანი და სხვა. ჩატარებულ იქნა სამუშაოები ღვინოების დამუშავებისა და გაწმენდის დროს სიცივისა და სითბოს გამოყენების შესახებ, ჭაჭის შენახვისა, მეღვინეობის ნარჩენებიდან ღვინისმქავის მიღების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, სარდაფებსა და ღვინის ქარხნებში მანქანების შემოღების შესახებ, წითელი ღვინოების დუდილის დროს მღებავ პიგმენტების გამოცლის შესახებ „გათუთქვის“ გზითა და სხვა.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ინსტიტუტის მიერ გამოცემულ იქნა და მომზადებული დასაბეჭდად 18 მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული შრომა, როგორც მევენახეობის, ისე მეღვინეობის საკითხებზე — რუსულსა და ქართულ ენებზე.

1934 წელს, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სისტემის მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, სპეციალიზებული ინსტიტუტები მიეკუთვნა სახალხო კომისარიატების სათანადო სამმართველოებს, მაგრამ რადგანაც საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში მევენახეობისა და მეღვინეობის სამმართველო არ არსებობდა, მეცნი-



ნახეობა-მეღვინეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტი ერკავკასიის მიწსახკომის გამგებლობაში გადავიდა, რის გამოც მისი მოქმედების მასშტაბი ამიერკავკასიით განისაზღვრა. ამ დროიდან ინსტიტუტს მევენახეობისა და მეღვინეობის ამიერკავკასიის ინსტიტუტი ეწოდებოდა. ინსტიტუტის მუშაობა რამოდენიმედ შეიკვეცა, რადგან მისი მუშაობის მასშტაბი ამიერკავკასიის ფარგლებს არ სცილდებოდა, მეთოდური ხელმძღვანელობა კი განისაზღვრა ამიერკავკასიის მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელ სადგურებზე ხელმძღვანელობით (სომხეთის, აზერბაიჯანის, საქარის), მაგრამ ამიერკავკასიის ინსტიტუტების შიგნით მისი მუშაობა ცოტათი განსხვავდებოდა იმ მუშაობისაგან, რასაც სრულიად საკავშირო ინსტიტუტი ასრულებდა.

ამიერკავკასიის სამეურნეო ზრდასთან დაკავშირებით, 1937 წელს ჩატარებული იქნა ამ მხარის მმართველობის რეორგანიზაცია, და ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ორგანოების ლიკვიდაციის გამო, მათი ფუნქციები სათანადო რესპუბლიკურ ორგანოებს გადაეცა. მევენახეობისა და მეღვინეობის ამიერკავკასიის ინსტიტუტს საქართველოს ინსტიტუტის სახელი ეწოდა, იგი საქართველოს მიწსახკომს დაექვემდებარა და ამგვარად, მისი მოქმედების მასშტაბი საქართველოთი განისაზღვრა, საქარის საცდელ სადგურს ინსტიტუტის ფილიალის სახე მიეცა.

საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი 1942 წელს აკადემიის სისტემაში გადავიდა.

მევენახეობისა და მეღვინეობის საქართველოს ინსტიტუტი, იყო რა მემკვიდრე ჯერ სრულიად საკავშირო, შემდეგ ამიერკავკასიის ინსტიტუტებისა, აგრძელებდა იგივე თემებზე მუშაობას, რომლებიც დაუმთავრებელი იყო ზემოაღნიშნული ინსტიტუტების მიერ და აგრეთვე საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის მთელ რიგ სხვა აქტუალურ საკითხებზე.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტისა და მისი ქსელის მიერ დამუშავებულ იმ მთავარ საკითხთაგან,

რომლებიც დანერგილია წარმოებაში, ან ამჟამად აღსანიშნავია შემდეგი:

hmtjbr

აგრომეტეოროლოგიური განყოფილებისა და აგროქიმიისა და აგრო-ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის მიერ გამოკვლეულია საქართველოს სსრ-ის მევენახეობის მასივების ეკოლოგიური დახასიათება ადგილობრივი ვაზის ჯიშებისა და ჯიშობრივი დარაიონებისა და მაღალხარისხოვანი სამრეწველო ვაზის ჯიშებისათვის ახალი ფართობების გამონახვის თვალსაზრისით. შესწავლილ იქნა აგრეთვე წყლის რეჟიმისა და ნიადაგის ქიმიური შემადგენლობის გავლენის საკითხი ვენახების ქლოროზით დაავადებაზე, რაც მთელ რიგ რაიონებში დიდ ზარალს აყენებს მევენახეობას.

შედგენილია სელექციონერებისა და ამპელოგრაფების მიერ ბოტანიკური, აგრობიოლოგიური და სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათებანი ადგილობრივი ვაზის ჯიშებისა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუშაკებთან თანამშრომლობით შედგენილია საქართველოს სსრ-ის მაღალხარისხოვანი სამრეწველო და პერსპექტივების მქონე ვაზის ჯიშების ამპელოგრაფია. იბეჭდება და დასაბეჭდად მზადდება ამპელოგრაფიული შრომები კახეთის, ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და აფხაზეთის ვაზის ჯიშების სორტიმენტზე.

გამოყოფილია დიდმნიშვნელოვანი და ხარისხოვანი კლონები სამრეწველო ვაზის ჯიშებისა — მწვანე 12, რქაწითელი 48, საფერავი — მსხვილმტევანი და საფერავი — ბუდეშური-სებური, რომლებიც გამრავლებულია წარმოებაზე გადასაცემად; მიღებულია აგრეთვე მნიშვნელოვანი კლონები ციცქასი, პინო-ფრანისა, ცოლიკატურის, ოჯალეშისა და ჩხავერის.

სახეთაშორისო და რასათაშორისო შეჯვარებით მიღებულია პერსპექტიული ახალი ჯიშები: ქართული — საადრეო, მთის-ვაზი, რქაწითელი X ქისი 3-28, მწვანე X საფერავი 3-22, ციცქა-შარდონე 48.

დამუშავებულია ვაზის მასიური სელექციის მეთოდი შესაბამისად ადგილობრივი პირობებისა, რაც გამოხატულებას პპოვებს მევენახეობის აგროწესებში.



გაუმჯობესებული და სრულყოფილია საძირე ვაზის დეგების მოვლა ვაზის ფორმირების საუკეთესო ხერხების გამოვლინებისა, ვაზის დატვირთვისა და მწვანე ოპერაციების სისტემის შემოღების შედეგად. დადგენილია, რომ საძირე ვაზის ფორმირება დაბალ ჰორიზონტალურ შპალერზე 25 — 30%-ით აღიდებს საძირე მასალის გამოსავალს.

დამტკიცებულია ნერგის სიგრძის დამოკლების მიზანშეწონილება 40 — 50 სანტიმეტრიდან 30 სანტიმეტრამდე, რაც საძირე მასალის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა და უზრუნველყოფს ვაზის უკეთეს განვითარებას.

გაუმჯობესებულია მყნობის წესი, რაც ნერგის გამოსავალს 20 — 25%-ით ზრდის.

ვენახებში ჩატარებული ცდებით გამორკვეულია, რომ 1 ჰექტარზე 200 კილოგრამ სრულ მინერალურ სასუქების, 30 — 40 სანტიმეტრ სიღრმეზე შეტანით ყურძნის მოსავალი 20 — 30%-ით იზრდება.

ინსტიტუტის დიდ მიღწევად უნდა მიჩნეულ იქნეს გამოვლინება ვაზის განსაკუთრებით მაღალი ეფექტიანი აღზრდა ორმხრივი კორდონისა და ორიარუსიანი შპალერის სისტემით, რაც საქართველოს უმეტეს რაიონებში უზრუნველყოფს მოსავლიანობის 40 — 50% -ით მატებას, ამჟამად მიღებულ ცალმხრივი და იშვიათად ორმხრივი შპალერის სისტემის ფორმირებასთან შედარებით.

დამუშავებულია სეტყვისაგან დაზიანებული ვაზის გასხვლის წესი, დამოკიდებით იმაზე, თუ რა პერიოდში მოდის სეტყვა და რამდენად აზიანებს ვაზს.

გამოვლინებულია შედარებით ქლოროზის გამძლეობა ჰიბრიდებისა ბერლანდიერი X რიპარია 5 ბბ, შასლა X ბერლანდიერი 41 ბ და ბერლანდიერი X რიპარია 420 ა.

ჩატარებულია გამოკვლევები საქართველოში ფართოდ გავრცელებული ვაზის ყველაზე საშიში ავადმყოფობებისა და მავნებლებისა. სამუშაოების ჩატარების შედეგად დადგენილია ფოთლის ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის რიგი მეთოდები, რომელთა შორის საუკეთესოა ცნობილი ვაზის

ძირზე მიწის შემოყრის მეთოდი ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში.

გამოვლინებულია ვაზის შედარებით მეტი ფილოქსერა-გამძლე ჯიშები — რქაწითელი, მწვანე, ჩინური, ციცქა, საკუთარ ძირზე გადაყვანის პერსპექტივით.

დამტკიცებულია მერიტოლისა და დღტ-ს მაღალი ეფექტიურობა ყურძნის ჭიის წინააღმდეგ და ჰექსაქლორანისა — მავთულა ჭიების და მარმარილოს ღრაჭას წინააღმდეგ.

შესწავლილია ვაზის სოკოვან ავადმყოფობათა — ჭრაქისა, ნაცრისა და რუხი სიდამპლის ბიოეკოლოგია.

მნიშვნელოვანი წარმატებანია მეღვინეობის დარგში ჩატარებულ კვლევით სამუშაოებში. შესწავლილია საქართველოს სხვადასხვა ტიპის ღვინოების ქიმიური შემადგენლობა და ორგანოლექტიური თვისებანი. მონაცემების საფუძველზე ჩატარებულია ხარისხოვანი მეღვინეობის დარაიონება მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

შესწავლილია და გაუმჯობესებული ისტორიულად ცნობილი, ბუნებრივად მოცქირალე ღვინოების ტექნოლოგია — ატენურისა, ალადასტურისა და ტვაშის, და აგრეთვე ბუნებრივად ტკბილი და ნახევრად ტკბილი ღვინოებისა — ხვანჭკარას, ოჯალეშისა, ქინძმარაულისა და უსახელაურის.

დამუშავებულია კახური ღვინოების დამზადების ახალი წესი, ფერმენტირებული ჭაჭის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

საქართველოში შამპანური წარმოების გაფართოებასთან დაკავშირებით, ინსტიტუტის მეღვინეებმა სხვა დაწესებულებათა მუშაკებთან ერთად ფართო მუშაობა ჩაატარეს შამპანოზაციისათვის გამოსადეგ მაღალხარისხოვანი ნედლეულის წყაროების გამოსაძებნად. კვლევითი სამუშაოების ჩატარების შედეგად გამოვლინებულია მეღვინეობის მრავალი რაიონი და მიკრორაიონი იმერეთსა და ქართლში, რომლებიც მაღალი ხარისხის შამპანურ ღვინო-მასალებს იძლევა, მნიშვნელოვნადაა გამდიდრებული ხარისხოვანი საკუბაჟე მასალებს სორტიმენტი ადგილობრივი რესურსების ხარჯზე.



დიდი დახმარება გაუწია წარმოებას ინსტიტუტმა ექსპერიმენტალური მუშაობით სადესერტო და საკონიაკე ყურძნის ჯიშების შერჩევის დარგში.

ენოქიმისა და ღვინის მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის მიერ გამოკვლეულია კორელიაციური დამოკიდებულება ალკოჰოლიანი დუდილის პროდუქტებს შორის. შესწავლილია რძის სიმჟავის გენეზისი სათანადო ალკოჰოლიანი დუდილის დროს და დამუშავებულია მისი აღმოჩენის ახალი მეთოდი.

შესწავლილია ქარვის სიმჟავის წარმოშობა ალკოჰოლურ-დუდილის პროცესში და აგრეთვე პროცესი ვაშლის სიმჟავის გარდაქმნა-სა.

დამუშავებულია მთელი რიგი მეთოდებისა ყურძნის შეფერვის განსასაზღვრავად, მათ შორის ქიმიური მეთოდი ენი-ნისა და ენიდინის გამოსარკვევად და სპექტროფოტომეტრული მეთოდი ყურძენსა და ღვინოში წითელ საღებავ ნივთიერებათა გამოსარკვევად.

დამუშავებულია მეღვინეობის ნარჩენებიდან კატეხინების მიღების მეთოდები.

შესწავლილია ყურძნის მთრიმლავ ნივთიერებათა ქიმიური ბუნება და იდენტიფიცირებულია რიგი ქიმიური კომპონენტები ვაზის ტანილებისაგან.

შესწავლილია ვაზის დამყანგველი ფერმენტები. გამოვლინებულია ტანილებისა და ანტოციანების გარდაქმნის კანონზომიერება ვაზში და ყურძნის გადამუშავებულ პროდუქტებში.

შესწავლილია ყურძნისა და ღვინის მთრიმლავი და შემფერავი ნივთიერებათა ბუნება და დამუშავებულია მათი განსაზღვრის უფრო სრულყოფილი ორიგინალური მეთოდები.

გამოვლინებულია ვენახების მიკროფლორა კახეთის ძირითად რაიონებში.

გამოვლინებულია ახალი თერმოფილური და სიცხის გამძლე საფუერების რასები, და აგრეთვე (სპეციალურად შამპანური წარმოებისათვის) კახური 7 — საფუერის წმინდა კულტურა, რომელიც გამოყენებულია მთელ საბჭოთა კავშირში.



მიღებულია საფუერების წმინდა კულტურა მალაქაძის
 ანი ტკბილის დასადუღებლად ტკბილი-მაგარი ღვინოების გა-
 მომუშავეების დროს.

გამოკვლევულია ზოგიერთი კახური ღვინოების დაუდუღებ-
 ლობის მიზეზები.

მცირე მიღწევები როდი აქვს ინსტიტუტს მალაქვალიფი-
 ციური მეცნიერი მუშაკების კადრების აღზრდის ხაზით. უკა-
 ნასკნელ წლებში მომზადებულია მეცნიერებათა 2 დოქტორი
 და 19 კანდიდატი.

ინსტიტუტის თანამშრომლებიდან ამჟამად ემზადებიან დი-
 სერტაციის დასაცავად 3 მეცნიერებათა დოქტორის და 6 მეც-
 ნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

ინსტიტუტის მიღწევების გავრცელებისა და უახლოეს
 დროში წარმოებაში დანერგვის მიზნით ეს მიღწევები სისტე-
 მატურად შუქდება ბეჭდვით ორგანოებში. გამოცემულია
 ინსტიტუტის 7 ტომი მეცნიერულ შრომებისა, 40-მდე მეცნი-
 ერულ-პოპულარული ბროშურა და 80-ზე მეტი სტატია, რომ-
 ლებიც ეხება მევენახეობისა და მეღვინეობის კომინშენლო-
 ვანეს პრობლემებს. შედგენილია აგროწესები მევენახეობაში
 და გამოცემულია იგი ტექნიკური კულტურების სამინისტროს
 მიერ; გადაცემულია დასაბეჭდად ტექნიკური წესები მეღვი-
 ნეობაში.

ყოველწლიურად ტარდება ინსტიტუტში მიწათმოქმედე-
 ბის ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურ-
 ნეობების აგრობერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კურ-
 სები.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მიერ შემოღებულია სპე-
 ციალური ლექციების კითხვა საბჭოთა მეურნეობებსა და
 კოლმეურნეობებში.

მევენახეობის მოწინავეების მდიდარი გამოცდილების გან-
 ზოგადობისა და გამოყენებისათვის ჩატარებულია მოწინა-
 ვეების მიღწევებისა და მათი მუშაობის მეთოდების შესწავლა
 საქართველოს მევენახეობის ძირითად რაიონებში, შრომა
 გაფორმებულია მეცნიერულ-პოპულარული ბროშურის სა-
 ხით და გადაცემულია დასაბეჭდად.

სისტემატურად ტარდება მაღალი მოსავლის ოსტატურად შეხვედრები და გამსვლელი მეცნიერული სესიები მევენახეობა-მელვინეობის საწარმოებში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არ იყო არც ერთი, არა თუ უმაღლესი, არამედ საშუალო სასოფლო-მეურნეობის სასწავლებელი. არსებობდა მხოლოდ სამი დაბალი სკოლა მებაღეობისა (თბილისის, ქუთაისის, წინამძღვრიანთკარის), სადაც იკითხებოდა მევენახეობისა და მელვინეობის მოკლე კურსი. იყო აგრეთვე ორი სკოლა „მებაღე მუშებისათვის“ (საქარა, ოძისი). ეს სკოლები უშვებდა მევენახე ტექნიკოსებს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ჩაეყარა საფუძველი სასოფლო-სამეურნეო განათლებას და გაიხსნა, როგორც უმაღლესი, ისე საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები.

ამჟამად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში მევენახეობის მოკლე კურსი იკითხება ექვს ფაკულტეტზე (აგრონომიული, სუბტროპიკული, მცენარეთა დაცვის, აგროეკონომიკური, მეაბრეშუმეობისა და ტექნოლოგიური), სრული კურსი კი იკითხება მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე, რომელიც ამზადებს მებაღე, მებოსტნე და მევენახე აგრონომებს.

როგორც მევენახეობის, ისე მელვინეობის კათედრები (ენოქიმიითა და სხვა დისციპლინებით) საკმაოდაა უზრუნველყოფილი კვალიფიციური კადრებით; მათ მომსახურებას უწევს 2 პროფესორი, 5 დოცენტი, 3 ასისტენტი, 4 ლაბორანტი; მათგან 3 დოქტორის ხარისხითაა და 4 მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით; ლაბორატორიებითა და სახელმძღვანელოებით სტუდენტობა უზრუნველყოფილია. 1941 წლიდან აგრონომ მევენახეებისა და ტექნოლოგ მელვინეების ყოველწლიური გამოშვება 60-70 კაცს შეადგენს.

პედაგოგიური სამუშაოების გარდა, როგორც მევენახეობის, ისე მელვინეობის კათედრასთან, საკმაოდ ფართოდაა გაშლილი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა.



მევენახეობასა და მეღვინეობაში სპეციალიზებული ტექნიკური ნიჭები საქართველოში არაა, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში არსებობს მევენახეობისა და მეღვინეობის განყოფილებები, სადაც იკითხება მევენახეობისა და მეღვინეობის სრული კურსი.

ძირითად მევენახეობის რაიონში—კახეთში არსებობს აგრეთვე მევენახეობისა და მეღვინეობის ერთწლიანი სკოლა, რომელიც ამზადებს მევენახე და მეღვინე ტექნიკოსებს.

როგორც აღნიშნული ტექნიკუმები, ისე სკოლა უზრუნველყოფილია მიწის ფართობით, ნარგაობითა და საჭირო სახელმძღვანელოებით.

საქართველოს რიგ ტექნიკუმებში მიმდინარეობს აგრეთვე მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან კავშირში.

მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადება ყოველწლიურად ტარდება საქართველოს სსრ-ის ტექნიკური კულტურებისა და კვების მრეწველობის სამინისტროების ხაზით.

VII

საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების უახლოესი პერსპექტივები

საქართველოს მევენახეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვის ნაწილში მოყვანილ იქნა ცნობები ვენახების ფართობების დინამიკის შესახებ. როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, საქართველოს არსებული ვენახების ფართობი მხოლოდ რამოდენიმედ აღარბებს ომისწინა (პირველი იმპერიალისტური ომი) ფართობს.

ომის წინ ვენახების ფართობი კი მინიმალურია. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და მასთან დაკავშირებით საკვები პროდუქტების, და მათ შორის ყურძნისა და ღვინის მოხმარების ზრდა მოითხოვს ამ პროდუქტების წარმოების დიდად გაფართოებას.

მევენახეობასა და მეღვინეობას ისეთი ადგილი უკავია სახალხო მეურნეობაში, რომ მათი განვითარება საქართველოს

მევენახეობის რაიონების მოსახლეობას უფრო მეტ უსრულველად ვეღოფილ, შექლებულ ცხოვრებას უქმნის.

საქართველოს ბუნებრივი პირობები და მყარი საწარმოო ბაზა მევენახეობისა და მეღვინეობის ფართოდ განვითარებას ოპტიმალურ პირობებს წარმოადგენენ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს 1936 წლის 28 ივნისის დადგენილებამ „საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების შესახებ“ შექმნა საძირე ვაზის სადედეებისა და სანერგეების დარგში მუშაობის ძირითადად გარდაქმნის სტიმული და უზრუნველყო მევენახეობის შემდგომი განუხრელი ზრდა.

1936 წლის შემოდგომიდან 1940 წლამდე გაშენებულია 9980 ჰექტარი ნამყენი ვენახი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი მოვლა და მიღწეულ იქნა ვენახების მოსავლიანობის ზრდა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 25 აპრილის დადგენილებით გათვალისწინებული იყო ხუთწლეულში-- 1940 წლიდან 1944 წლამდე (ჩათვლით) ახალი ვენახების გაშენება 31.670 ჰექტარის რაოდენობით და ვენახების ფართობის აყვანა 1944 წლის ბოლოსათვის 80.000 ჰექტარამდე; მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა შეაფერხა ამ გრანდიოზული გეგმის განხორციელება. ომის წლებში სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, დაზარალდა მევენახეობაც.

ომის შემდგომ წლებში ჩატარებულია დიდი სამუშაოები: ომის წლებში დაზიანებულ ვენახების აღდგენასთან ერთად გაფართოვდა ბაზა მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის საძირე ვაზის ახალი სადედეების გაშენებით.

შემდგომში საძირექტივო ორგანოების მიერ მიღებულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების უზრუნველსაყოფად.

ძირითადი მათგანი შემდეგია:

ვენახების ზრდა 1955 წლისათვის მისი ფართობის 60.000 ჰექტარამდე აყვანით, ასორტიმენტის გაუმჯობესება, ბაზის გაფართოება ნამყენი ვაზის წარმოებისათვის.

საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარება ვენახების მოვლის გასაუმჯობესებლად და ამის შედეგად მოსავლიანობის გადიდება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

გამომუშავება აგრეთვე ღონისძიებებისა მევენახეობა-მეღვინეობაში მექანიზაციის ფართოდ დასაწერგად.

ამ ღონისძიებათა შედეგად მევენახეობის შრომატევადიანობა უნდა შემცირდეს; ამავე დროს უღაოდ გაიზრდება ვენახების მოსავლიანობა.

მევენახეობის განვითარების 1951-1955 ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად დიდად გაიზრდება ამ დარგის მნიშვნელობა საქართველოს ბევრი რაიონის სოფლის მეურნეობაში, არა იმდენად დაკავებული ფართობის მხრივ, რამდენადაც კოლმეურნეობების შემოსავლიანობის გადიდებით.

განსაკუთრებით საინტერესოა სოციალური ცვლილებანი ამ დარგში და საკოლმეურნეო მევენახეობის ხვედრითი წონის ზრდა, რაცა ჩანს შემდეგი მონაცემებით:

ვენახების ფართობების დინამიკა სექტორების მიხედვით

სექტორები	1937 წ. 1/1		1941 წ. 1/1		1951 წ. 1/1		1956 წ. 1/1 გეგმა	
	ფართობი ჰა	სა- წილი % ერთობ.	ფართობი ჰა	სა- წილი % ერთობ.	ფართობი ჰა	სა- წილი % ერთობ.	ფართობი ჰა	სა- წილი % ერთობ.
საბჭოთა მეურნეობები	2078	5,0	2042	3,7	2561	4,6	3410	5,7
კოლმეურნეობები	7920	19,1	19704	36,0	22330	41,5	27297	45,5
კოლწევრები და მოსახლ. სხვა ჯგუფები	31407	75,9	31132	56,9	28947	53,7	29293	48,8
ს უ ლ	41405	100	54748	100	53838	100	60000	100



როგორც ვხედავთ, საკოლმეურნეო მევენახეობის რითი წონა ყოველწლიურად იზრდება, მცირდება ხვედრითი წონა კოლწევრებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფებისა.

ამგვარად საქართველოს წვრილი, დაქუცმაცებული გლეხური მევენახეობა თანდათან მსხვილ სოციალისტურ მევენახეობად იქცევა.

მნიშვნელოვანი ცვლილებანია გათვალისწინებული მეღვინეობის მეურნეობაშიც სახელმწიფო მრეწველობის მიერ ღვინოების გამოშვების გადიდების სახით.

ღვინოების გამოშვების საერთო ზრდის პირობებში, ტკბილი — შემაგრებული ღვინოების რაოდენობა სტაბილურია, 1950 წლის დონეზე დგას, სუფრის ღვინოების გამოშვება კი თითქმის ორჯერ იზრდება, რაც შეესაბამება საქართველოს მეღვინეობის ძირითად მიმართულებას.

სუფრის ღვინოების გამოშვების ზრდასთან ერთად იზრდება შამპანური ღვინოების გამოშვებაც.

საკავშირო მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 28 ივლისის სპეციალური დადგენილებით, კონიაკების წარმოების შემდეგი ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, დადგენილია კონიაკის ყოველწლიური წარმოების გეგმა 1957 წლამდე.

აღნიშნული დადგენილება მთელ რიგ ღონისძიებებს სახავს კონიაკის წარმოების ნედლეული ბაზის გასაფართოებლად, საკონიაკე სპირტის გამოხდისა და თბილისში კონიაკის ქარხნის მშენებლობის დასამთავრებლად;

განსაკუთრებით დიდი ამოცანაა დასახული მეღვინეობის პროდუქციის ზრდასთან ერთად ხარისხის გაუმჯობესების დარგში.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, საკავშირო მინისტრთა საბჭოს დადგენილება სხვა საკითხებთან ერთად, ასეთ ამოცანას სახავს:

გაიზარდოს მაღალხარისხოვანი, უფრო მნიშვნელოვანი ტიპების ღვინოების წარმოება, რისთვისაც ღვინომასალების გამომუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესებასთან ერთად,



გაერთიანდეს კუბაეები მსხვილ ჯგუფებად და შემცირდეს ღვინოების სახელწოდებანი 60-დან 25-მდე.

აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს კუბაეების ძირითად შემადგენლობას როგორც სამარკო, ასევე ორდინარული ღვინოებისათვის.

ღვინის მარკები რაოდენობით შემცირებული, მაგრამ ხარისხით გაუმჯობესებული, და მათი შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ღვინოების დასახელება	ღვინის რომელი მასალის ბაზაზე გამოიშვება ახალი ღვინო	ტექნოლოგია და დავარგების ვადა	რა ჯიშის ყურძნისაგან მზადდება
თეთრი სამარკო სუფრის ღვინოები ქართული ღვინო № 1	წინანდალი № 64, მწვანე საიუბილეო, ნაფარეული № 66, ენისელი, რუისპირის მწვანე	ევროპული, 3 წელი	რქაწითელი, მწვანე
ქართული ღვინო № 3 — თეთრი	გურჯაანი ევროპული, მუკუხანი № 65, მანავი, მანავის მწვანე	ევროპული, 3 წელი	" "
ქართული ღვინო № 7 — თეთრი	ცოლიკაური № 6 ვარციხე, რაჭული თეთრა	ევროპული, 3 წელი	ცოლიკაური, რაჭული თეთრა სემილიონი
ქართული ღვინო № 9 — თეთრი	ალიგოტე (მუნრანული)	ევროპული, 2 წელი	ალიგოტე (მუნრანული)
ქართული ღვინო № 12 — თეთრი	ტიბაანი	ქართული, 1 წელი	რქაწითელი
წითელი სამარკო სუფრის ღვინოები ქართული ღვინო № 2 — წითელი	თელიანი № 48	ქართული, დუღილი ტაჭახე უკლერტოდ, 3 წელი	კაბერნე



ქართული ღვინო № 4—წითელი	წინანდალი № 45, ნაფარეული № 47, მუკუზანი № 46, საფერავი, ყვარელი № 50	ქართული, დუღილი ჭაჭაზე უკლერტოდ, 3 წელი	
-----------------------------	---	--	--

თეთრი ორდინარული სუფერის ღვინოები			
ქართული ღვინო № 8—თეთრი	ღვინო № 8, რქაწითელი, წარაფი, ტიბაანი, გურჯაანი, კახური	ქართული, დუღილი ჭაჭაზე, დაუვარგებლად	რქაწითელი, მწვანე და სხვა თეთრი ჯიშები

ქართული ღვინო № 23—თეთრი	ღვინო № 22 და სხვ. თეთრი ღვინომასალები	ევროპული დაუვარგებლად	რქაწითელი, მწვანე და სხვ. თეთრი ჯიშები
-----------------------------	--	--------------------------	---

ქართული ღვინო № 6—თეთრი	ღვინო № 6 ღვინო № 10	ევროპული დაუვარგებლად	ცოლიკაური, კრაზუნა და სხვ. თეთრი ჯიშები
----------------------------	-------------------------	--------------------------	--

წითელი ორდინარული სუფერის ღვინოები			
ქართული ღვინო № 10—წითელი	ალექსანდროული და სხვ. წითელი ღვინოები დასა- ვლეთ საქართველო- სი	ქართული, დუღი- ლი ჭაჭაზე უკ- ლერტოდ და დაუვარგებლად	ალექსანდრო- ული, ოჯა- ლემი. უსა- ხელოური

ქართული ღვინო № 5—წითელი	ღვინო № 5, ღვინო № 18	ქართული, დუღილი ჭაჭაზე დაუვარგებლად	საფერავი
-----------------------------	--------------------------	---	----------

შემაგრებული სადესერტოსა- მარკო ღვი- ნოები			
ქართული ღვინო № 14—თეთრი პორ- ტვენის ტიპისა	საამო № 4, კარ- დენაზი № 39, ზი- რსა პორტვენის ტიპისა	ჭაჭაზე დაყენე- ბა, 3 წელი	რქაწითელი და სხვა თეთ- რი ჯიშები



ქართული ღვინო № 16 — თეთრი მადერის ტიპისა	ანაგა № 42 ვაჭირი № 40	დადუღება კაჭახე, 3 წელი	ქართული რქაწითელი სხვა თეთრი ჯიშები
ქართული ღვინო № 17 — ლიჭიორის ტიპისა	სალხინო	დუღილი კაჭახე და კუპაჟი ვაკუმ ტაბლით, 3 წელი	იხაბელა
შემაგრებული ტაბლიორდინარული ღვინოები			
ქართული ღვინო № 15 — თეთრი პორტუგალიის ტიპისა	ხირსა	დაუვარგებლად	რქაწითელი და სხვა თეთრი ჯიშები
ქართული ღვინო № 13 — წითელი პორტუგალიის ტიპისა	რატევაანი, კაგორი, ხირსა	ჭაჭის სითბოთი დამუშავება და მომწიფება, დაუვარგებლად	საფერავი
ქართული ღვინო № 18 — თეთრი პორტუგალიის ტიპისა	პორტუგალიი № 35, პორტუგალიი № 27, აფხაზეთის თაიგული	დაუვარგებლად	ცოლიკაური, კრახუნა და სხვა თეთრი ჯიშები
ნატურალური ნახევრად ტაბლიორდინოები			
ქართული ღვინო № 20 — წითელი	ხვანჭკარა	ქართული, დაუვარგებლად	ალექსანდროული
ქართული ღვინო № 19 — თეთრი	ტვიშის ცოლიკაური	ქართული, დაუვარგებლად	ცოლიკაური
ქართული ღვინო № 11 — თეთრი	ჩხავერი	ქართული დაუვარგებლად	ჩხავერი



ქართული ღვინო № 21 — წითელი	უსახელოური	ქართული დაუ- ვარგებლად	უსახელოური
ქართული ღვინო № 22 — წითელი	ქინძმარაული	"	საფერავი
ქართული ღვინო № 24 — წითელი	ოჯალეში	"	ოჯალეში
ქართული ღვინო № 25 — შუშხუნა თეთ- რი	ბაღდადი	კაპაევი, გაზირე- ბული პასტე- რიზაციით	ცოლიკაური

როგორც ჩანს, ნაცვლად მრავალსახელოდებიანი და მრავალი მარკის ღვინოებისა, რომლებიც ხშირად ძალზე განსაზღვრული რაოდენობით გამოდიოდა, თვითეული მარკის ღვინო ახლო მომავალში დიდი რაოდენობითა და გაუმჯობესებული ხარისხით გამოვა, რადგან კუპაეებში მონაწილეობას იღებენ მაღალხარისხოვანი ღვინომასალები, როგორცაა მწვანე, წარაფი და სხვა, რომლებიც აქამდე ცალკე მცირე ოდენობით გამოდიოდა.

მეღვინეობის პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია გეგმით როგორც პირველადი გადამუშავების საწარმოების, ისე ღვინის შესანახი, დასამუშავებელი და დასაძველებელი სარდაფების ქსელის გაფართოება და მეღვინეობის მრეწველობაში გაუმჯობესებული დანადგარ-მოწყობილობათა გამოყენება.

პარტიისა და ხელისუფლების მიერ, ამგვარად, შექმნილია და იქმნება ყველა პირობანი საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის ფართო განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში სსრკ-ის განვითარების 1951 — 1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ნათქვამია: „სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად კვლავ რჩება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლება“, კერძოდ, მევენახეობის დარგში მოცემულია დავალება

ყურძნის მოსავლის 55 — 60%-ით გაზრდისა, და ვენახის ფართობის 50%-ით გადიდებისა.

ამ უმნიშვნელოვანესი ღირეპტივების შესრულება მოითხოვს ჩვენგან საძირე ვაზის სადედეებისა და ნამყენის წარმოების საქმის ძირფესვიანად გარდაქმნას და შემდგომ გაუმჯობესებას, აგროტექნიკის დონის ამაღლებას, მრავალრიცხოვან მოწინავეთა მდიდარი გამოცდილების ფართო გაზიარებას, აგროკულტურასა და აგრობიოლოგიაში მეცნიერულ მიღწევათა წარმოებაში დანერგვას და მეცნიერთა კადრების მჭიდრო კავშირის წარმოების მუშაკებთან.

მევენახეობის დარგში მოცემულ დავალებასთან ერთად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ დიდი ყურადღებაა მიქცეული მეღვინეობის პროდუქციის ზრდასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე, ამ მიმართულებით მოცემულია ღირეპტივა: „მრეწველობის ყველა დარგში უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის ხარისხის შემდგომი სერიოზული გაუმჯობესება. გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს ასორტიმენტი, აგრეთვე გადიდდეს დეფიციტური სახეებისა და ხარისხების პროდუქციის წარმოება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად“.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგში მომუშავე მრავალრიცხოვანი კოლმეურნენი და საბჭოთა მეურნეობების მუშები, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, წარმოებაში მომუშავე მევენახე-აგრონომები და მეღვინე-ტექნოლოგები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა მუშაკები, რომლებიც შეუხრელად იბრძვიან ვენახების მოსავლიანობის ასამაღლებლად, მეღვინეობის პროდუქციის გასადიდებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად, საბჭოთა და პარტიულ ორგანოთა ხელმძღვანელობით, მომავალში კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით გააგრძელებენ ბრძოლას პარტიის ღირეპტივების წარმატებით შესასრულებლად, — ყურძნისა და ღვინის სიუხვისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის.

3060 1 806. 15 303.

Р. 113



И. Т. РЦХИЛАДЗЕ

**ВИНОГРАДАРСТВО И
ВИНОДЕЛИЕ ГССР**
(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1954